შევარდნაძე-პუტინის შეხვედრა - დეპუტატებმაც ვერაფერი გაიგეს A2

ჩინოვნიკები, კრიმინალები და სამართალდამცავები ერთად სამარშრუტო ტაქსების ბიზნესში A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 13 მარტი, 2003 წელი. №70 (282)

ფასი 50 თეთრი

## პერსონა

### აფხაზეთს ვერავინ წაგვართმევს. ამიტომაც არ ვიბრძვით მისთვის და ვკარგავთ

საუბედუროდ, დღეს ჩვენს მთავრობასთან ყველა მართალია - პედაგოგი, პენსიონერი, დემოკრატი, ზვიადისტი, მემარცხენე თუ მემარჯვენე... აფხაზებიც კი. ამ ყველაფერზე ხელისუფლება თვალს ხუჭავს და ასე თვალდახუჭული არწმუნებს ყველას, რომ კრიზისი არ არსებობს და წინ მივიწევთ...

B1

## ეკონომიკა

### "ყველაფერი ენერგეტიკაში გამეფებული კორუფციის ბრალია"

დეპუტატები ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი საზოგადოებრივი მღელვარებითა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს "დაწიოკებით" იმუქრებოდნენ.

A4

## უცხოეთი

### მოკლულია სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი

სერბეთის ტელევიზიის ცნობით, ჯინჯიჩს ქუჩაში, სერბეთის მთავრობის შენობის წინ ესროლეს. არაოფიციალური ინფორმაციით, თავდამსხმელები სამნი იყვნენ. თვითმხილველებმა ორი შეიარაღებული მამაკაცი დაინახეს, რომლებიც მანქანაში ჩასხდნენ და დიდი სისწრაფით მოშორდნენ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიას.

A5

## საზოგადოება

### თამბაქოს ინდუსტრიას ჯანმრთელობისთვის ფული არ ემეტება

თამბაქოს ეროვნული ცენტრი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოდის და სიგარეტის ბიზნესში ჩართულ კომპანიებს სპეციალურ გადასახადს აკისრებს.

A6

## სამართალი

### ვაჰაბიტური დაჯგუფების პანკისელი ხელმძღვანელი დაპატიმრებულია

"ცოტას ამოვისუნთქავთ და დავისვენებთ. გვაიძულებდა, ვაჰაბიზმის მიმდევრები გავმხდარიყავით" - ასე ახასიათებენ ჯოყოლოელები ცეზარ ბორჩაშვილს.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 11 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 11 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 9 |
| ჭიათურა | 11 |
| გაგრა | 9 |
| სამტრედია | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1700 |
| ევრო | 2.3918 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4941 |
| რუბლი | 0.0689 |

# უმძიმესი გადაწყვეტილება

გთავაზობთ გაერო-ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის ღია წერილს ერაყის კრიზისთან დაკავშირებით



REUTERS

გაერო არჩევანის წინაშე.

გაერო-ს ქარტია კატეგორიულია. "უმთავრეს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე" იგი უშიშროების საბჭოს აკისრებს.

უშიშროების საბჭოს წევრებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა იშვიათად ყოფილა ისეთი მძიმე, როგორც ამ კვირაში. უახლოეს დღეებში მანძილზე საბჭოს წევრებს ისტორიული გადაწყვეტილების მიღება მოუწევთ.

ამ გადაწყვეტილების კონტექსტს ის საკითხი შეადგენს, რომლის მნიშვნელობაც სცილდება ერაყს: მასობრივი განადგურების იარაღი და ის საფრთხე, რომელსაც იგი უქმნის დედამიწას. მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, რათა აღკვეთოს ამ საშინელი იარაღის გავრცელება, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი.

ამ ამოცანის შესრულება ერაყთან მიმართებაში სრულიად აუცილებელი და გადაუდებელია. რატომ? იმიტომ, რომ ერაყმა უკვე გამოიყენა ეს იარაღი. ორჯერ თავს დაესხა მეზობელ სახელმწიფოებს: 1980 წელს ირანს, 1990 წელს კი – კუვეიტს.

ამიტომაც, უშიშროების საბჭოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ერაყის განიარაღება. 1991 წლიდან მოყოლებული დღემდე, ამ მიზნით, მან რეზოლუციათა მთელი წყება მიიღო.

მთელ მსოფლიოში ადამიანებს სურთ, რომ კრიზისი მშვიდობიანად გადაწყდეს. მათ აშფოთებთ ის ნგრევა და ტანჯვა, რომელიც ომს თან სდევს, მიუხედავად იმისა, ხანგრძლივი იქნება ის, თუ ხანმოკლე. მათ კარგად აქვთ შეგნებული ის გრძელვადიანი შედეგები, რომლებიც ამ ომს უნდა მოჰყვეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

## ბენადი გაგულია: "ჩემმა პრეზიდენტმა დარეგულირებას ახალი იმპულსი შესძინა"

სეპარატისტული აფხაზეთის პრემიერმა არ იცის, რა "თამაშს თამაშობს ედუარდ შევარდნაძე"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

აფხაზეთის პრემიერი გენადი გაგულია მოსკოვში ჟურნალისტებს პირველად ეჩვენა. საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" ოფისში, პრემიერი, მოკოვში არძინბას წარმომადგენელთან იგორ აჰბასთან ერთად მივიდა. პრესკონფერენციის მთავარი თემა სოჭში პრეზიდენტთა შეხვედრის გაანალიზება იყო და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება, მაგრამ პრემიერმა, სამწუხაროდ, ზოგადი მომზადების დონით მსმენელები ვერ დააკმაყოფილა. ჟურნალისტთა ერთსულოვანი დასკვნით, რუსულ-ქართულ-აფხაზური საკითხის ღრმა ცოდნით ანრი ჯერგენია უფრო გამოირჩეოდა; უფრო მეტიც, ბატონი გაგულია გარკვეული მოსაზრებებით შებოჭილი იყო და ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქმნა, რომ სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდა.

პრემიერმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ გასული კვირა აფხაზეთისა და პირადად მის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო მარტო იმით, რომ "მისმა პრეზიდენტმა" - ვლადიმირ პუტინმა - ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებას ახალი იმპულსი შესძინა. ჟურნალისტებისათვის მაინც გაუგებარი დარჩა, თუ რა პოლიტიკური შედეგით დასრულდა სოჭის შეხვედრა.

"24 საათის" შეკითხვას, როგორია ოფიციალური სოხუმის პოზიცია საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე, გაგულიამ უპასუხა:

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრეზიდენტი მინისტრებს დათხოვნით ემუქრება

ზოგიერთ გუბერნატორს კი ჯანდაბისკენ უჩვენებს გზას

*გუშინდელი მთავრობის სხდომა საკმაოდ მდორედ დაიწყო: ცალკეულ საკანონმდებლო ცვლილებებზე საუბრებით; პრეზიდენტის მიერ "ცემისა და წამების, ასევე რელიგიური დევნის ფაქტების თაობაზე" გაკეთებული მსუბუქი კომენტარით, თუმცა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ბოლო საკითხად შეტანილი სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შერულების ანგარიში და პერსპექტივაში სერიოზული გარღვევისთვის განწირული კვარტლის საბიუჯეტო ვითარებას გაამწვავებდა.*

თამარ ხორბალაძე

**"საკითხის მოსმენა დავაგვიანეთ, ძალიან დავაგვიანეთ!"** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მას შემდეგ, რაც მოისმინა გიორგი ისაკაძის მოხსენება სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებისა და სსფ-ს მისიის მემორანდუმის შესახებ.

მოხსენებაში, შეიძლება ითქვას, ახალი არაფერი ყოფილა: პარლამენტის მიერ დასამტკიცებელი 3 კანონპროექტის ჩამონათვალი; ინფორმაცია 2002 წლის ბიუჯეტის გარღვევის შესახებ; ინფორმაცია იმის თაობაზე,

გაგრძელება A3 გვერდზე

## საქართველოში სერიოზული დანაშაული არ ხდება - ვითომ?

*ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინალური ფონის შესახებ დღეს ბევრს საუბრობენ. თუმცა, პოლიციაში ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი ხდება და ორიოდ თვეში წესრიგის დამყარებასაც შეძლებენ. თუ როგორ მოახერხებენ ამას სამართალდამცავი ორგანოები, მალევე ვიგრძნობთ. ამასობაში კი, ყველას მიავიწყდა, რომ საქართველომ, რამდენიმე წლის წინ, ევროსაბჭოს წინაშე კორუფციასა და კონტრაბანდასთან ბრძოლის ვალდებულება აიღო.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნები მთავრობის სხდომებზე ხშირად იწონებენ თავს კორუფციისა და მექრთამეობის სხვადასხვა გამოვლენილი ფაქტით, მაგრამ რეალურად, მათ მიერ გამოვლენილ სერიოზულ, მსხვილ კორუფციულ დანაშაულს ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე. ესეც რომ არა, "24 საათი" დაინტერესდა, პოლიციის მიერ "ნაპატაკარი" საქმეები მაინც თუ აღწევს სასამართლომდე. ამის გასარკვევად ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა მამალაძეს მივმართეთ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ხელოვნების ქურუმი

გარდაიცვალა გოგი გეგეჭკორი

B2



## უმცირესობის დიქტატით იმპროვიზებული პოლიტიკური იმპოტენცია

გიორგი ასანიშვილი

*ხელისუფლების მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციები, უკვე ორი დღეა, ამაოდ ცდილობენ მობილიზებას და მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ ორი კვირის წინათ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას. ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ორგანოში შევარდნაძის გუნდი ძველებურად ველარ აკონტროლებს მდგომარეობას და მისთვის სასურველ გადაწყვეტილებებს ელვის სისწრაფით ველარ აცხობს, იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ - ამჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობა, თანდათან, პოლიტიკურად იმპოტენტი ხდება. თავისი უძლურების დასაფარავად კი, იგი ისეთი აბსურდული განცხადებების კეთებაზე გადადის, როგორიც არის, მაგალითად - უმცირესობის მიერ უმრავლესობასა და, საერთოდ, პარლამენტზე დიქტატის განხორციელება. "ეს არის ოპოზიციის ძალადობა პარლამენტის წინააღმდეგ", - ხმამაღლა მოთქვამს ვიტალი ხაზარაძე, როდესაც ხედავს, რომ ოპოზიციამ ხელისუფლების კოზირების გაჭრა დაიწყო.*

უმრავლესობაზე უმცირესობის დიქტატს მსოფლიოს პოლიტიკური პრაქტიკა მართლაც იცნობს, მაგრამ ამის აუცილებელ პირობას სახელისუფლებო ბერკეტების ფლობა წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში, უმცირესობის მიერ უმრავლესობისთვის

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პრობლემა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

თვალსაზრისი

# როგორი საგადასახადო სისტემა უნდა აირჩიოს საქართველომ

## აბსურდია, რომ დაბალი გადასახადებით ამოვიღებთ მეტ შემოსავლებს და მეტ ხარჯებს გავწევთ

ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში იგეთი გაცხარებით არ კამათობენ საგადასახადო კანონმდებლობაზე, როგორც საქართველოში. ეს კამათი იწვევს ხშირ, წინასწარ დაუგეგმავ ცვლილებებს საგადასახადო კოდექსში და, შესაბამისად, გაურკვევლობას ინვესტორებში (უცხოელებსა და ადგილობრივებში). ეს ცვლილებები კი, როგორც წესი, კერძო ინტერესებით არის ნაკარნახევი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან ცოტა რამ აქვს საერთო.

იმის მიუხედავად, რომ ავტორებს ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვთ დღეს ამ წერილში დასმულ კითხვებზე და საგადასახადო სისტემაზე, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ზოგადი დისკუსიის გამართვა.

უახლოეს მომავალში ჩვენ მიმოვიხილავთ: საქართველოს საგადასახადო სისტემის დეტალურ ანალიზს; სამხრეთ კავკასიის საგადასახადო სისტემების შედარებით ანალიზს; საგადასახადო კოდექსში ბოლო წლებში მიღებული ცვლილებებისა და ამჟამად შემოთავაზებული ცვლილებების ანალიზს; საქართველოს საგადასახადო სისტემის მოდელს; სამხრეთ კავკასიის საგადასახადო ჰარმონიზაციის მოდელს.

მაგრამ მანამდე, როგორც ითქვა, ზოგადი დისკუსია – როგორი საგადასახადო სისტემა უნდა აირჩიოს საქართველომ?

ვფიქრობთ, ეს დისკუსია მით უფრო დროულია ახლა, როცა პარლამენტი განიხილავს საგადასახადო კოდექსის ახალ რედაქციას.

**ამჟამად საქართველოს მთავარი პოლიტიკური ამოცანაა, რომ უზრუნველყოს: 2003 და 2005 წლების არჩევნების სამართლიანად ჩატარება და პოლიტიკური პროცესიდან ნორმის აღდგენა; ძირითად ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში შეთანხმება და პოლიტიკური მემკვიდრეობითობა.**

ამიტომ, სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა შეთანხმდეს საგადასახადო სისტემის ძირითად პრინციპებზე უახლოესი ათი-თორმეტი წლისათვის და კამათს უფრო ტექნიკური ხასიათი მისცეს. ეს, თავის მხრივ, ჩვენი ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობას სტაბილურობას მისცემს, ინვესტიციების ზრდას მოიწვევს და უკეთეს საინვესტიციო გარემოს შექმნის.

შეთანხმების მისაღწევად პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე მთავარ კითხვას.

პირველი და მთავარი ამ კითხვებს შორის არის: **გვაქვს თუ არა სურვილი და უნარი, ამოვიღოთ კანონით დადგენილი გადასახადები?**

მეორე, თუ როგორ საგადასახადო სისტემის მოდელს აირჩევს საქართველო: **დაბალი გადასახადები და მინიმალური სოციალური ვალდებულებები; თუ მაღალი გადასახადები და მაქსიმალური სოციალური ვალდებულებები;**

მესამე კითხვაა, თუ **მეზობლებთან ინტეგრაციის როგორი მოდელი არის საქართველოს ინტერესებში?**

საგადასახადო სისტემა შედგება საგადასახადო პოლიტიკისა (საგადასახადო კანონმდებლობისაგან) და საგადასახადო ადმინისტრირებისაგან. საგადასახადო სისტემის ამ ორი ნაწილის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა შეუძლებელია.

საგადასახადო პოლიტიკა და მთავრობის უნარ-სურვილი - ამოიღოს დადგენილი გადასახადები - უნდა დაახლოვდეს ერთმანეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგადასახადო სისტემის, როგორც ეკონომიკის მოწესრიგების მექანიზმის ან შემოსავლების მატების შესაძლებლობის გამოყენება შეუძლებელია.

დღეს დადგენილი საგადასახადო კანონმდებლობა არ მუშაობს. ადმინისტრატორი გადამხდელთან მოლაპარაკებებით ადგენს გადასახადს და არა კანონმდებელი. ამ მხრივ, პრობლემებს კიდევ უფრო აღრმავებს საგადასახადო და საბაჟო სამსახურების ხშირი და არათანმიმდევრული რეორგანიზაცია, ხელმძღვანელობის ხშირი და სწრაფი ცვლა.

საგადასახადო ინსპექტორისა და მებაჟის შეფასების კრიტერიუმი მხოლოდ თვის ბოლოს გეგმის შესრულებაა. ეს კი შედეგად გვაძლევს წინასწარ გადახდებსა და სხვა მანკიერი მეთოდების დანერგვას.

არათანამიმდევრულია საგადასახადო პოლიტიკაც. **1997 წელს, საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, კოდექსში შევიდა შესწორებათა 55 პაკეტზე მეტი. ცვლილებები შეეხო 200-მდე მუხლს (სულ საგადასახადო კოდექსში 274 მუხლია). იყო შემთხვევები, როდესაც ერთი თვის განმავლობაში საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებათა სამი პაკეტი.**

უფრო მეტიც, შემოსავლების შემომტანი სექტორების დიდი ნაწილი დაბეგვრის დროიდან რჩება.

საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლი, რომელიც გარდამავალ დებულებებს ეხება, უკვე შედგება 64 (!) ნაწილისაგან და არეგულირებს: თამბაქოს ნაწარმის; ნავთობპროდუქტების; ავტომობილების; ბუნებრივი აირის; ენერგეტიკის სხვა სექტორების; სოფლის მეურნეობის; ნავთობსადენის; ბაზრობების; სამარშრუტო ტაქსების; რკინიგზისა და ეკონომიკის სხვა სექტორების დაბეგვრას.

როგორც აღვნიშნეთ, ცვლილებათა დიდი ნაწილი კერძო ინტერესებით იყო ნაკარნახევი.

ექსპორტიორებისათვის დასაბრუნებელი დღგ-ს საერთო მოცულობა 2003 წლის დასაწყისისათვის შეადგენდა 103 მილიონ ლარს.

ასეთ პირობებში კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რთულია საუბარი საგადასახადო კოდექსის და ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილების ავკარგიანობაზე.

მაგრამ ჩვენ ხომ მაინც უნდა გავცეთ პასუხი მთავარ კითხვას: **გვინდა თუ არა დავადგინოთ გადასახადები? გვინდა თუ არა ამოვიღოთ დადგენილი გადასახადები? მზად ვართ თუ არა, ამოვიღოთ გადასახადი მხოლოდ ბიზნესიდან (თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, ალკოჰოლი და სხვა)?**

მხოლოდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ აქვს აზრი საგადასახადო კოდექსზე დისკუსიის გაგრძელებას.

მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია, დავსვათ მეორე მნიშვნელოვანი კითხვა – როგორი საგადასახადო მოდელი უფრო მისაღებია ჩვენი საზოგადოებისათვის: დაბალი გადასახადები და მინიმალური სოციალური ვალდებულებები; თუ მაღალი გადასახადები და მაქსიმალური სოციალური ვალდებულებები?

**საქართველოს "ევროპული არჩევანი" – დაბალი გადასახადები და მაქსიმალური სოციალური ვალდებულებები – სამწუხაროდ, არა გვაქვს.**

ამ არჩევანის გაკეთების დროს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური ელიტა მკაფიოდ უნდა უხსნიდეს საზოგადოებას წარმოდგენილი არჩევანის რეალური შინაარსი.

დაბალი გადასახადები ნიშნავს, მრავალ სოციალურ პროგრამაზე საერთოდ უარის თქმას და სოციალური პროგრამების ტვირთის კერძო ბიზნესზე გადატანას.

**დაბალი გადასახადები ნიშნავს:** უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებაზე, პრაქტიკულად, უარის თქმას; ჯანდაცვის პროგრამების ნაწილზე უარის თქმას; სპორტის სახელმწიფო დაფინანსებაზე უარის თქმას; კულტურის პროგრამების დიდ ნაწილზე უარის თქმას.

არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ საგადასახადო სისტემის ასეთი მოდელი უფრო შეესაბამება ჩვენი ხალხის ინდივიდუალისტურ ბუნებას და სოციალური პროგრამების ტვირთის ზიდვას ბიზნესი სახელმწიფოზე უკეთ მოახერხებს და, შესაბამისად, არჩევანიც ამ მოდელზე შეჩერდება; მაგრამ ეს უნდა იყოს კარგად გააზრებული არჩევანი. **აბსურდია იმაზე საუბარი, რომ დაბალი გადასახადების დაწესებით ამოვიღებთ უფრო მეტ შემოსავლებს და, შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯების გაწევის შესაძლებლობა გვექნება. ამგვარი საუბარი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და პოლიტიკური უპასუხისმგებლობაა მხოლოდ.**

საგადასახადო სისტემის მოდელის არჩევისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ჩვენი უშუალო მეზობლებისა და სხვა ჩვენი მთავარი სავაჭრო პარტნიორების საგადასახადო სისტემის მოდელი. სწორედ ამგვარად უნდა გავცეთ პასუხი მესამე მნიშვნელოვან კითხვას – მეზობელ ქვეყნებთან რა დონის ინტეგრაცია ან კანონმდებლობების ჰარმონიზაცია არის საქართველოს ინტერესებში?

უფრო დავაკონკრეტოთ – როგორი უნდა იყოს საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა? რამდენად ღია უნდა იყოს საქართველოს ბაზარი ჩვენი სავაჭრო პარტნიორებისათვის? უნდა დაახლოვდეს თუ არა ამ ქვეყნების საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა და ტარიფები? უნდა დაახლოვდეს თუ არა სხვა ეკონომიკური კანონმდებლობაც.

ამ კითხვებზეც აუცილებელია გააზრებული პასუხის გაცემა საგადასახადო მოდელის შერჩევამდე.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

# გენადი გაგულია: "ჩემმა პრეზიდენტმა დარეგულირებას ახალი იმპულსი შესძინა"



*რომელი მათგანია გაგულიას პრეზიდენტი?*

პირველი გვერდიდან

- მე მესმის, რომ შევარდნაძემ უცებ მიიღო გადაწყვეტილება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანაზე. არადა, მის პასუხს აგერ თორმეტი წელია, ველოდებით. ჯერ კიდევ 1991 წელს იყო საუბარი საქართველოს ფედერაციულ მოწყობაზე და მის შემადგენლობაში აფხაზეთის ინტეგრაციაზე, მაგრამ მაშინ თბილისმა ჩვენი წინადადებები უკუაგდო. ასე რომ, ახლა შევარდნაძის ასეთი პასუხი ძლიერ დაგვიანებულია. ამჯერად აფხაზეთის საქართველოს ფედერაციაში შესვლის საკითხის განხილვასაც არა აქვს აზრი. ერთი სიტყვით, შევარდნაძეს დააგვიანდა.

**- როგორ შეაფასებთ ოფიციალური თბილისის განცხადებას, რომ ადრე თუ გვიან სოხუმს მაინც მოუწევს დათმობებზე წასვლა?**

- არ მესმის, რას ნიშნავს დათმობებზე წასვლა. აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა და არავის წინაშე ვალდებულნი არ ვართ, რაიმე დათმობებზე წავიდეთ. აფხაზმა ხალხმა თავისი არჩევანი უკვე გააკეთა.

**- სოჭში საუბარი იყო გალში სამმხრივი ადმინისტრაციის შექმნაზე.**

- ჩვენ ამ საკითხს არ განვიხილავთ, რადგანაც გალში ლტოლვილების დაბრუნება და იქ რაიმე სამმხრივი ადმინისტრაციის შექმნაზე საუბარიც კი აბსურდია. იქ ჩვენ უკვე გვაქვს ადმინისტრაცია და რა საჭიროა კიდევ ერთის შექმნა, არ მესმის. რათა საქართველოს იურისდიქცია გავავრცელოთ? ჩვენ ამაზე არ წავალთ. შევარდნაძე ასეთი დაპირებებით მხოლოდ საკუთარ ამომრჩეველს ეთამაშება. თუ ქართული მხარე საკუთარ თავზე აიღებს გალში ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას, ძალიან კარგი, მაგრამ მაშინ მას მოუწევს ომის განუახლებლობაზე დადებული პირობების შესრულებაც. ამას კი არ აკეთებს და რატომღაც პარტიზანებს განმათავისუფლებლებს ეძახის. ჩვენ კი ვითხოვთ, რომ ლტოლვილთა დაბრუნების შემთხვევაში, ამ ხალხმა მხოლოდ ჩვენი ადმინისტრაცია უნდა ცნოს. თანაც მათ დაბრუნებაზე თანახმანი მხოლოდ მაშინ ვიქნებით, როცა თბილისი იქიდან საკუთარ ბანდფორმირებებს მოაცილებს, და კიდევ ერთი - მონაჩმახია, თითქოს იქ ვინმე ლინჩის წესით აპირებდეს ქართველთა დასჯას. თუ გვესვრიან, ჩვენც ვესვრით, თუმცა, სროლას სულაც არ ვაპირებთ.

**- კი მაგრამ, პრეზიდენტმა პუტინმა სოჭში სამმხრივი შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ აღიარა საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. გამოდის, თქვენ ასეთი განცხადებებით "საკუთარი პრეზიდენტის" წინააღმდეგ გამოდიხართ?**

- დღეს რუსეთის პრეზიდენტის პოზიცია საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს და იგი თავის განცხადებებში საერთაშორისო პრინციპებს იცავს. რა იყო მაშინ, როცა სსრკ იშლებოდა? მაშინ ხომ არავინ გაითვალისწინა ჩვენი ინტერესები? არც გორბაჩოვმა, არც შევარდნაძემ არ გაუწიეს ანგარიში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

**- მაინც რა პოლიტიკურ შეფასებას მისცემდით სოჭის შეხვდრას, ნუთუ ეკონომიკურის გარდა სხვა საკითხები არ განხილულა?**

- იმ შეხვედრაზე განვიხილეთ მხოლოდ ის ფორმატი, რის გამოც უდანაშუალო ხალხი იტანჯება. სოჭში პოლიტიკური საკითხები არ განგვიხილავს. იქ საუბარი მხოლოდ კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ აღმავლობაზე იყო და იმ პროექტებზე, რაც ენგურჰესის რეკონსტრუქციას უკავშირდება.

**- თუ იყო საუბარი აფხაზეთში რუსეთის საკუთრებაზე?**

- ის ობიქტები, რაც დღეს რუსეთის წარმოება-დაწესებულებების ბალანსზეა, რუსეთის საკუთრების ქვეშ დარჩება.

**- რითი უნდა ავხსნათ სოჭის შეხვედრის შემდეგ თქვენი მოსკოვში ჩამოსვლა?**

- მე მოსკოვში ოთხი თვის მანძილზე უკვე ექვსჯერ ვიყავი. არც ეს ვიზიტია მოულოდნელი და სპეციალური. რუსეთთან ვმუშაობთ იმ საკითხების გადასაჭრელად, რაც საქართველოს, აფხაზეთისა და რუსეთის ინტერესებში შედის. ეს არის ურთიერთმოგებიანი თანამშრომლობა და ასეთივე პროექტები. ჯერ მარტო ენგურჰესის რეკონსტრუქცია სამივე მხარეს დიდ ეკონომიკურ მოგებას მოუტანს.

**- დასავლეთმა ერგურჰესის რეკონსტრუქციაზე 38 მლნ დოლარი გამოჰყო. სოჭის შეხვედრის მერე კი გაირკვა, რომ რუსეთი თავის ხელში იღებს ენგურჰესის რეკონსტრუქციას. რა ბედი ელის იმ თანხას და არსებულ გადაწყვეტილებას?**

- ენგურჰესის რეკონსტრუქცია ახფაზეთისა და რუსეთის მონაწილეობით განხორციელდება.

**- თუ არის ისეთი საკითხი, რაშიც თქვენ დღეს არ ეთანხმებით რუსეთის პრეზიდენტს?**

- პრეზიდენტების გადაწყვეტილებების გადასინჯვა არაეთიკურია. მათთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობის მიღება კი არ ნიშნავს გადაწყვეტილების მიღებას. დღეს რუსეთმა წარმატებული ნაბიჯი გადადგა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში, აფხაზეთის ეკონომიკურ აღორძინებაში. ათი წელია, ერთ ადგილს ვტკეპნით. დღეს რუსეთი დაინტერესებულია რკინიგზის მაგისტრალის სრულყოფილი ამოქმედებით. ახლა მეორე ელექტრომატარებელიც ამოძრავდება და ეს პირველ რიგში საქართველოს ინტერესებშია. რუსეთის მხრიდან საუბარია მხოლოდ ეკონომიკური პროგრამების ურთიერთხელსაყრელ ვარიანტებზე. ენგურჰესის აღდგენა და რკინიგზა სერიოზული ნაბიჯებია.

**- საქართველოს პრეზიდეტს ეთანხმებით, როცა იგი ამბობს, რომ თბილისამდე რკინიგზას საქართველო დაიცავს?**

- მე არ ვიცი, რა გეგმები აქვს საქართველოს. რა აქვს მხედველობაში შევარდნაძეს და სად რის დაფინანსებას აპირებს, ზუგდიდამდე თუ ქუთაისამდე... ასე ყველაფრის დაფინანსება შეიძლება.

# შევარდნაძე-პუტინის შეხვედრა - დეპუტატებმაც ვერაფერი გაიგეს

საქართველოს პარლამენტმა დღემდე ვერ მიიღო ამომწურავი პასუხი კითხვაზე – თუ რას ისახავდა მიზნად საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა, რომელიც სოჭში გაიმართა და რას აკეთებდა იქ აფხაზ სეპარატისტთა მთავრობის თავკაცი გენადი გაგულია.

ორი დღის წინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, დეპუტატები დაჟინებით მოითხოვდნენ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საგარეო საქმეთა მინისტრის მისვლას. თუმცა, მაშინ ეს არ მოხერხდა. სამაგიეროდ, გუშინ პარლამენტს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე ესტუმრნენ.

მათ მიერ გაკეთებული ინფორმაცია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და აფხაზეთის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის ერთობლივ დახურულ სხდომაზე მხოლოდ შვიდმა პარლამენტარმა მოისმინა. სამწუხაროდ, სხვა დეპუტატებმა ამ სხდომაზე დასასწრებად დრო ვერ გამონახეს.

უნდა ითქვას, რომ სხდომის პირველი ნაწილი ჟურნალისტებისთვის ღია იყო. მედიამ "ამომწურავი" ინფორმაცია მიიღო იმის თაობაზე, თუ როდის და სად გაიმართა პუტინისა და შევარდნაძის შეხვედრა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ პრეზიდენტების საუბრის ქრონომეტრაჟის თაობაზეც ისაუბრა. როგორც გაირკვა, ორი ქვეყნის პრეზიდენტებს დახურულ კარს მიღმა ორმოცი წუთი უსაუბრიათ, რის შემდეგაც მათ გენადი გაგულიაც შეუერთდა.


*აფხაზეთის საკითხის განხილვისთვის რამდენიმე დეპუტატმა მოიცალა.*

ამაზე სხდომა დაიხურა. საათნახევრის შემდეგ კი დეპუტატების ნაწილმა განაცხადა, რომ მათ ვერ მიიღეს პასუხი იმ მთავარ კითხვებზე, რომლებიც დღეს საზოგადოებას და, განსაკუთრებით, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას აწუხებს. თუმცა, დეპუტატთა ნაწილი აღიარებს, რომ სოჭის შეხვედრის შემდეგ აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში რაღაც სიახლეს უნდა ველოდოთ. ამას ტრადიციონალისტი თედო პაატაშვილიც აცხადებს, თუმცა მას უჭირს იმის თქმა, იქნება თუ არა ეს სიახლე საქართველოსთვის სასარგებლო.

მეორე მხრივ, გუშინდელი დღით საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი, რომელმაც განაცხადა, რომ სოჭის შეხვედრა საქართველოსთვის მხოლოდ დადებით შედეგს მოიტანს.

პრეზიდენტების შეხვედრაზე პარლამენტარები დეტალურად უკვე დღეს, პლენარულ სხდომაზე ისაუბრებენ, თუ, რა თქმა უნდა, კვორუმის შეგროვებას შეძლებენ.

*"24 საათი"*

## გამჭვირვალობის მცდელობა აჭარის ხელისუფლებაში

ნესტან ცეცხლაძე
*ბათუმიდან*

აჭარის ხელისუფლებში გაუმჭვირვალობის თემა ახალი არ გახლავთ. ალბათ, ბევრს ახსოვს რამდენიმე წლის წინანდელი აჟიოტაჟი აჭარის კონსტიტუციასთან დაკავშირებით. მაშინ მისი ეგზემპლარის შოვნას ბევრი ცნობილი იურისტიც კი ამაოდ ცდილობდა; ბევრი დღესაც "ოცნებობს" აჭარის კონსტიტუციის საბოლოო ვერსიის მოპოვებაზე. მათი შანსები ამჯერად იზრდება, რადგანაც აჭარის მთავრობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ცოტა გამჭვირვალობა მაინც შეიტანოს თავის მოღვაწეობაში. ახლახან, ბათუმში, გასული წლის სექტემბრით დათარიღებული ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ბეჭდვითი ორგანოს – "საკანონმდებლო მაცნეს" - პირველი ნომერი გამოჩნდა. მართალია, ჯერჯერობით, მისი შოვნა ნაცნობ-მეგობრების დახმარებით თუ შეიძლება, მაგრამ იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ ფასის განსაზღვრის შემდეგ გაიყიდება კიდეც. მანამდე კი საქართველოში ნაცნობ-მეგობრებს რა გამოლევს...

"მაცნეს" პირველი ნომერი ასლან აბაშიძის ორი წლის წინანდელი მოხსენებით იხსნება, როდესაც ავტონომიის მეთაური აჭარის უზენაესი საბჭოს წინაშე აჭარის საკანონმდებლო ორგანოს - აჭარის პარლამენტის - შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ეს ნომერი მთლიანად უზენაესი საბჭოს მიერ ორპალატიანი პარლამენტის ჩამოსაყალიბებლად შექმნილ სამართლებრივ ბაზას ეთმობა.

ერთწლიანი მოღვაწეობის მანძილზე აჭარის პარლამენტმა სხვადასხვა კანონებში შესატანი ათასამდე ცვლილება მიიღო. ძალაში შესულად კი არც ერთი არ ითვლება, რადგანაც არ გამოქვეყნებულა. ამიტომაც ცდილობდა ასე აქტიურად აჭარის პარლამენტის იურიდიული კომიტეტი ბიულეტენის გამოცემას.

"მაცნეს" სარედაქციო კოლეგიაში საბჭოთა სიოსმაგვარი რამ იგრძნობა - მის შემადგენლობაში, ძირითადად, ის პირები შედიან, რომლებსაც საკანონმდებლო საქმიანობასთან არაფერი ესაქმებათ: აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი, პროკურორი, სასამართლოს თავმჯდომარე...

## ასლან აბაშიძე სასურველი პრეზიდენტი?

ცენტრისტული ორიენტაციის პოლიტიკური პარტია "დათვი"-ს (დაე, ამობრწყინდეს თავისუფლების ვარსკვლავი, იბრწყინოს) თავმჯდომარე თემურ ხაჩიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის კანდიდატურას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში "ყველაზე მეტი შანსის მქონეს" უწოდებს. მის მოსაზრებას სავსებით ეთანხმება პოლიტიკური ორგანიზაცია "ერთობის" ლიდერი, პარლამენტარი ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის კანდიდატურას მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში "საკმაოდ პერსპექტიულს" უწოდებს.

ჯუმბერ პატიაშვილის განცხადებით, აბაშიძეს საკმაოდ **"რეალური შანსი და საშუალება გააჩნია, რათა პრეზიდენტობაზე პრეტენზია ჰქონდეს".**

**"თუ მოვლენები ისე განვითარდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობას საშიშროება დაემუქრა და ასლან აბაშიძე დაინახავს, რომ ქვეყანა არ მიდის აღორძინების, გამთლიანებისა და ამაღლების გზით, ამ შემთხვევაში იგი აუცილებლად წამოაყენებს თავის კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებზე"**, - განაცხადა, თავის მხრივ, აჭარის მეთაურის პრეს-მდივანმა თამაზ ბაკურიძემ.

*პრაიმ-ნიუსი*

## "ტრადიციონალისტები" ტრადიციას არ ღალატობენ

ფრაქცია "ტრადიციონალისტი" სამთავრობო და საპარლამენტო კრიზისზე საუბრობს და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლად ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტის შემოღებას მიიჩნევს.

„ტრადიციონალისტ" ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, მისი ფრაქცია საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის მოთხოვნით, დეპუტატთა 157 ხმის შეგროვებას დაიწყებს. შალამბერიძის თქმით, პარლამენტმა უნდა მიიღოს "ტრადიციონალისტების" მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც პრეზიდენტის, მთავრობის, პარლამენტის უფლებების შეზღუდვას და მის თვითმმართველობის ორგანოებსა და მოსახლეობაზე გადანაწილებას გულისხმობს.

მინისტრთა კაბინეტის შექმნის „ტრადიციონალისტის" მოდელის თანახმად, კრიზისის შემთხვევაში პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის და ხელახალი არჩევნების დანიშვნის უფლება აქვს.

**"დღევანდელ კონსტიტუციაში რომ მსგავსი მექანიზმი იყოს, ხელისუფლებაში შექმნილი კრიზისის სამართლებრივი გზით მოგვარება პრობლემა არ იქნებოდა"**, - განაცხადა ალექსანდრე შალამბერიძემ.

## ოსების ულტიმატუმი

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ეუთოს საქართველოს მისიისგან იმ ინფორმაციის უარყოფას ან დადასტურებას მოითხოვს, რომელზე დაყრდნობითაც ქართული მხარე აცხადებს, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მძიმე სამხედრო ტექნიკა დაფიქსირდა.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა ბორის ჩოჩიევმა შესაბამისი საპროტესტო წერილი ეუთოს ცხინვალის ოფისის ხელმძღვანელს განჩევს გუშინ გადასცა.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი. "გუდაუთაში რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზის ასაფრენი ზოლი, ობიექტების დაცვის რუსეთის ქვედანაყოფებმა ბეტონის ბლოკებით ჩახერგეს",** - განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გარი კუპალბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოხუმში "უაზრო" უწოდეს ქართული მხარის წინადადებას კოდორის ხეობაში წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის გარი კუპალბას განცხადებით, **"კოდორის ხეობის ერთჯერადი მონახულება ექსკურსიის ტოლფასია". პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შვეიცარიის თავდაცვის სამინისტროს ოთხმა ოფიცერმა, რომლებიც ამ ქვეყნის სამხედრო უწყების საქართველოში მყოფ დელეგაციის შემადგენლობაში შედიან, გუშინ ვერტმფრენით პანკისის ხეობა და საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთი დაათვალიერა, სადაც ახლო მომავალში ეუთოს მისიის მონიტორინგი დაიწყება. შვეიცარიელი ოფიცრები, ასევე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს მოინახულებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მსოფლიოს, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის" დირექტორი, პოლიტოლოგი გია ნოდია საარჩევნო კომისიებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მონაწილეობას დაუშვებლად მიიჩნევს.

როგორც გია ნოდიამ განაცხადა, ამომრჩეველთა ხმების დათვლის პრობლემათა უდიდესი ნაწილი სწორედ კონფლიქტებთანაა დაკავშირებული, რომელიც პარტიათა წარმომადგენლებს შორის ჩნდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკავშირში საქართველოს ელჩი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხში ევროკავშირს დახმარებას და აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებში მათი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას სთხოვს. მისი თქმით, რუსეთი ოფიციალურად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, იგი ამავე დროს პირდაპირ თუ შეფარვით აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას ეხმარება. მაგალითისთვის ელჩს აფხაზეთის მოსახლეობის პასპორტიზაცია მოჰყავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ლიდერმა თამაზ ნადარეიშვილმა ჯერჯერობით არ იცის, დასჭირდება თუ არა ჰააგაში შესატან სარჩელს ქვეყნის პირველი პირის ხელმოწერა. ამ ნიუანსებში იგი მაშინ გაერკვევა, როცა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დელეგაცია ჰააგიდან დაბრუნდება, სადაც ის სარჩელის შეტანის პროცედურას არკვევს. **მედია-ნიუსი**

... ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, ...

# უმცირესობის დიქტატით იმპროვიზებული პოლიტიკური იმპოტენცია

პირველი გვერდიდან

თავისი ნების მოხვევა შეუძლებელია და აღნიშნული ბრალდებები, კრავის მიერ წყლის ამღვრევის გზით მგლის ჩაგვრას წააგავს. სწორედ ასეთი სიტუაციაა შექმნილი დღევანდელ პარლამენტში: შეუძლებელია დასახელდეს თუნდაც ერთი საკვანძო თანამდებობა, რომელსაც უმცირესობა აკონტროლებს.

ამდენად, უმცირესობის მითიურ დიქტატზე ლაპარაკის ნაცვლად, უფრო უპრიანი იქნება, გულახდილად ითქვას, რომ ოპოზიციასთან დაპირისპირებაში უმრავლესობამ თითქმის მთელი თავისი რესურსი ამოწურა და უმცირესობასთან ბრძოლაში კანტუზიამიღებული, კოორდინირებულ ქმედებებს ვეღარ ახორციელებს. არადა, უკანდახევაც არ შეიძლება: კანცელარია სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას ითხოვს. არც ერთი ნაბიჯი უკან, თქვენს უკან პრეზიდენტია! - დაახლოებით, ასეთი შინაარსის სიტყვიერი ბრძანებაა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებიდან პარლამენტში მისული.

"უმცირესობის ძალადობისა და დიქტატის" ილუზორული ეფექტის შექმნის კიდევ ერთი მიზეზი თავად საპარლამენტო უმრავლესობაშია საძებნი. ამ უკანასკნელს ამჟამად არ ჰყავს ავტორიტეტული (ან თუნდაც ავტორიტარული) ლიდერი, რომელიც თანაგუნდელებს ხელისუფლების პოზიციის სისწორესა და ოპოზიციის "მოღალატეობაში" დაარწმუნებს. უფრო პირიქით არის: უმრავლესობის ლიდერთა უმეტესი ნაწილი ოდიოზური და არც თუ მაღალი ინტელექტის მქონე პოლიტიკოსია, რომელთა ყოფნაც სახელისუფლებო ბანაკში მხოლოდ კონიუნქტურული და პარადული ინტერესებით არის ნაკარნახევი და იდეურ-მსოფლმხედველობითი პრინციპებიდან არ გამომდინარეობს.

ამიტომაც არის, რომ ასეთი "პატარა ბელადები" არათუ ვერ ახერხებენ საპარლამენტო უმრავლესობის კონსოლიდირებას, არამედ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ მათი ქმედებები განაპირობებენ სახელისუფლებო ბანაკის შიგნით უთანხმოებების გაჩენას და "დიდი ბელადისადმი" რწმენის შერყევას. ამის მაგალითია, თუნდაც, დეპუტატ კობა ამირხანაშვილის ბოლოდროინდელი პოლიტიკური ტრანსფორმაცია: პრეზიდენტის მიმართ ხუთი ფრაქციის მიერ გამოხატული დემარშის დროს, ამირხანაშვილი ოპოზიციას ლანძღავდა და შევარდნაძის დამცველთა რიგებში იდგა, დღეს კი საპარლამენტო უმრავლესობის კურსს უკვე ღიად აკრიტიკებს...

ისე, უსამართლობა იქნება ყველაფრის "პატარა ბელადებზე"გადაბრალება. პირველ რიგში, ალბათ, თავად "დიდი ბელადი" სცოდავს, როდესაც საკანონმდებლო ორგანოში თავისი პოზიციების დაცვას ასეთ ხალხს ანდობს.



ზურაბ ჟვანია უმრავლესობის ძალადობის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, ამ დღეებში აშკარად გამოხატული საპარლამენტო კრიზისის მიზეზი უფრო ის არის, რომ უმრავლესობას "აღარ შეუძლია ძველებურად მართვა", ვიდრე ის, რომ უმცირესობას "აღარ სურს ძველებურად ცხოვრება". აქ იწყება და აქვე მთავრდება პარალელები 2003 წლის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსა და 1917 წლის რევოლუციურ პეტერბურგს შორის: მაშინდელი რუსეთისგან განსხვავებით, ამჟამად ჩვენთან ორხელისუფლებიანობის კი არა, საერთოდ უხელისუფლებობის საშიშროება უფრო არსებობს. ოპოზიციის პროტესტი და მის მიერ პოლიტიკური ბრძოლის ისეთი აპრობირებული ფორმის გამოყენება, როგორიც არის რეგისტრაციის შეგნებულად არგავლა, უმრავლესობის დემორალიზებისთვის და საპარლამენტო მუშაობის პარალიზებისთვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

სახელისუფლებო ფრაქციებს, სხვა გასაჭირთან ერთად, როგორც ჩანს, კიდევ ერთი უბედურებაც სჭირთ - ზოგიერთი ცნება ერთმანეთში ერევათ. მაგალითად, ერთმანეთისგან ვერ არჩევენ "კომპრომისსა" და "კაპიტულაციას". ყოველ შემთხვევაში, ისინი "კომპრომისად" მიიჩნევენ იმას, რაც, ფაქტობრივად, ოპოზიციის მიერ თეთრი დროშის აფრიალებას ნიშნავს.

**"ჯერ გავაუქმოთ უკვე მიღებული კანონი 115-ლარიანი მინიმალური ხალფასის შესახებ და ახალი კანონის შემუშავებაზე მერე ვილაპარაკოთ",** - ასე წარმოუდგენია პარლამენტში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა უმრავლესობას.

საპარლამენტო კრიზისიდან გამოსავალ გზებს ოპოზიციაც ეძებს, ოღონდ, ხელისუფლებისგან განსხვავებით - უფრო რეალურსა და კონსტრუქციულს. გუშინ გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, რომ პარლამენტის სხდომების ბოიკოტირების მეთოდი მას და მის თანაპარტიელებსაც არ აღაფრთოვანებთ, მაგრამ **"ეს არის იძულებითი ნაბიჯი იმ ძალადობის მცდელობაზე, რომელსაც სახელისუფლებო ფრაქციები მიმართავენ".**

ჟვანიას განცხადებით, მისი გუნდი ითვალისწინებს ქვეყანაში შექმნილ მძიმე ფინანსურ სიტუაციას, რის გამოც პირველი ივლისიდან მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა, პრაქტიკულად, უკვე შეუძლებელია და ამიტომ, მზად არის, კანონის ამოქმედების ვადების გადაწევის საკითხი განიხილოს, მაგრამ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მინიმალური ხელფასის გაზრდის საკითხი ქართული პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგიდან საერთოდ უნდა იქნას ამოღებული.

**"ჩვენ მზად ვართ გონივრულ კომპრომისებზე წასასვლელად და ხელისუფლების მხრიდან კონკრეტულ წინადადებებს ველოდებით, მაგრამ თუ მოხდება პარლამენტის მიერ მიღებული კანონის სრული იგნორირება, ვიბრძოლებთ ყველგან - პარლამენტშიც, სასამართლოშიც და, თუ საჭირო იქნება, ქუჩაშიც",** - აღნიშნავს ზურაბ ჟვანია.

მას საგანგაშოდ მიაჩნია ის გარემოება, რომ **"დღეს ხელისუფლება მხოლოდ ერთს ცდილობს - ოპოზიციისთვის ხელების გადაგრეხას და დიალოგის შეთავაზებაზე კარის დახურვას".**

**"როგორც ჩანს, ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, ხელისუფლება ამ გზას აირჩევს და ამით საკუთარ თავზე უმძიმეს პასუხისმგებლობას აიღებს. ძალიან სახიფათო პრეცედენტი შეიქმნება იმით, თუ ვიღაცას პარლამენტის მიერ მიღებული ესა თუ ის კანონი არ მოეწონება და მის გასაუქმებლად დაიწყებს ბრძოლას",** - მეტი გონიერებისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას "გაერთიანებული დემოკრატების" ხელმძღვანელი.

ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ზურაბ ჟვანია სთავაზობს მთავრობას, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი საპრეზიდენტო შენიშვნებით საკანონმდებლო ორგანოში დაბრუნდეს და მომავალში დისკუსია ამ მიმართულებით გაგრძელდეს. თუმცა, როგორც ჩანს, თავისი შეთავაზების რეალობისა თავად ჟვანიასაც ნაკლებად სჯერა.

**"კანცელარია იმგვარად მართავს პროცესს, რომ პარლამენტმა ყოველგვარი ქმედითუნარიანობა დაკარგოს, ისეთ სავალალო მდგომარეობაში დარჩეს, როგორშიც ამ დღეებში იმყოფება და ამით საკანონმდებლო ორგანო ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყაროდ იქცეს",** - აცხადებს ჟვანია, რომელიც პარლამენტში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას მთლიანად მთავრობას აკისრებს.

გუშინდელ ბრიფინგზე "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა ერთი საყურადღებო მინიშნებაც გააკეთა. **"ნებისმიერ ქვეყანაში, კანონის შეუსრულებლობის დროს მთავრობა აფიქსირებს, რომ კანონის განხორციელებას ვერ ახერხებს და თავის ადგილს უთმობს სხვას, ვისაც ეს ხელეწიფება"**, - აღნიშნა ჟვანიამ.

ნიშნავს თუ არა მისი რემარკა იმას, რომ საპარლამენტო კრიზისის გაჭიანურების შემთხვევაში, ოპოზიცია შეტევის მიმართულებას შეცვლის, მთავრობის გადაყენების მოთხოვნით გამოვა და შეეცდება, ქარის დამთესს ქარიშხალი მოამკევინოს? კითხვის ნიშანი ამ წინადადებიდან, ალბათ, უახლოეს დღეებში მოიხსნება.

# პრეზიდენტი მინისტრებს დათხოვნით ემუქრება



მირიან გოგიაშვილი



ედუარდ შევარდნაძე

პირველი გვერდიდან

რომ კვარტლის შედეგების შესასრულებლად მარტის მეორე ნახევარში 114 მილიონი (ორ თვეში მობილიზებულის ტოლი თანხა) უნდა შევიდეს, რაც არარეალურია; მინიშნება 2003 წლის ბიუჯეტის შესაძლო შემცირებაზე; იმაზე, რომ ენერგეტიკის თანხების შემოუსვლელობა სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას.

მართალია, ამ ინფორმაციის შემდეგ მირიან გოგიაშვილმა განაცხადა, რომ თვის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში 114-ის კი არა, 127 მილიონის მობილიზებას შეძლებს, მაგრამ არც სახელმწიფო მინისტრს და არც თავად პრეზიდენტს ფინანსთა მინისტრის ეს ოპტიმიზმი არ გაუზიარებიათ.

**"არაფერს იტყვი, ავთო?"** – ჰკითხა პრეზიდენტმა სახელმწიფო მინისტრს და მანაც ბევრი ისაუბრა **"ზოგადად ქვეყნის პრეზიდენტის მიერ წარმოებული პოლიტიკის წარმატებულობაზე"** და ამ პოლიტიკის ხელისშემშლელ ფაქტორებზეც; მაგალითად, პარლამენტზე, რომელიც **"სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო აჭიანურებს ხოლმე პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტების განხილვას";** ისაუბრა მთავრობის იმ წევრებზე, რომელთა პოლიტიკური ორიენტაცია ბოლომდე გაურკვეველია, რადგან ისინი **"ელოდებიან, რომელი პარტია გაიმარჯვებს და ამის მიხედვით მოღვაწეობენ."** სახელმწიფო მინისტრმა ამ ვრცელ გამოსვლაში, სიტუაციიდან გამოსავლის პოვნის მიზნით, პრეზიდენტს შესთავაზა სტრუქტურული რეფორმის განხორციელება და **"სკამიდან სკამზე მოხტუნავე ხალხის გაშვება."**

საქართველოს პრეზიდენტმა ეს აზრი დიდი სიამოვნებით აიტაცა:

**"არჩევნებამდე ერთი დღით ადრე გაგიშვებთ, თუ არ შეასრულებთ მიღებულ დავალებებს... არჩევნებზე ვისაც გინდათ, იმას მიეცით ხმა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე არჩევნების შემდეგ ერთი წელი კიდევ პრეზიდენტი ვარ."** პრეზიდენტის ეს გაფრთხილება არა მხოლოდ მინისტრების გასაგონად გაისმა: **"გუბერნატორებმა უნდა უზრუნველყოთ რეგიონებში ელექტროენერგიის გადასახადის შეგროვება... რომ იმუქრებით - თუ დენს არ მოგვაწვდით, გადავდგებითო, გადადექით მერე, ჯანდაბამდე გზა გქონიათ. ყველამ იცოდეს – ვინც ელექტროენერგიის საფასურს არ იხდის, დენს ვერ მიიღებს,"** – დაასკვნა პრეზიდენტმა.

გუბერნატორებს ახალ მისამართზე გაშვება არ გაუპროტესტებიათ, არც არჩევნების წინა დღეს "დასათხოვ" მთავრობას გამოუთქვამს უკმაყოფილება, ერთადერთი – კრიტიკის გამო ოპტიმისტურად განწყობილი მირიან გოგიაშვილი "გაიბუტა", რამაც უკვე საქართველოს პრეზიდენტი გაანაწყენა:

**"რას იბუტები, მირიან?! გამოსვლის დასაწყისში ხომ ვთქვი, გენდობი-მეთქი. არ ვთქვა, რომ შემოსავლების რაოდენობა საკმარისი არ არის?! შენმა უწყებებმა უნდა შეაგროვონ ფული, მე ხომ ვერ შევაგროვებ, არც კასირად ვვარგივარ და არც – ბუღალტრად,"** – თითქოს მოიბოდიშასავით პრეზიდენტმა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხვათა შორის – გუშინდელ მთავრობის სხდომაზე 115 ლარზეც ისაუბრეს, თუმცა ახალი არაფერი უთქვამთ.

# საარჩევნო კანონპროექტი მრავლდება, კონსენსუსის შანსი მცირდება

თამარ ასათიანი

*პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფში საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების მორიგი ვარიანტი შევიდა. მისი ავტორები ეროვნული თანხმობის დარბაზის წევრები არიან. მათთან ერთად, კანონპროექტს პროტექციას 15 პარლამენტარი (ძირითადად, ფრაქცია "მრეწველების" წარმომადგენლები) უწევს.*

გუშინ პარლამენტში ამ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. ახალი კოდექსი სამსჯავროზე გამოიტანა "მრეწველმა" ვახტანგ ძაბირაძემ. "დარბაზის" წევრთა ოპტიმისტური განწყობის მიუხედავად, საეჭვოა, მათ მიერ შემუშავებული წინადადებები პარლამენტმა გაიზიაროს. მით უფრო, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში ამ წინადადების განხორციელება აშკარად არარეალურია.

თავად განსაჯეთ: "დარბაზი" საარჩევნო ადმინიტრაციების დაკომპლექტებისას სრული პარტიული პარიტეტის დაცვის მომხრეა და, მათი აზრით, კომისიები იმ პარტიებმა უნდა დააკომპლექტონ, რომლებმაც, 1995 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნებში პირველი 15 ადგილი დაიკავეს. მათთან ერთად, პროექტის თანახმად, კომისიების დაკომპლექტებაში მონაწილეობას იღებენ ის პარტიებიც, რომლებმაც, **"პოლიტიკური მოსაზრებების გამო, 1992-1999 წლებში ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს (მაგალითად, "მრგვალი მაგიდა"), ან იყვნენ დევნილები და, პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილებით, საშუალება მიეცათ, შეექმნათ პოლიტიკური ორგანიზაცია და მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე გაიარეს რეგისტრაცია იუსტიციის სამინისტროში".**

მართალია, ვახტანგ ძაბირაძეს უჭირს ასეთი პარტიების ზუსტი რაოდენობის დასახელება, მაგრამ ირწმუნებს, რომ თუ ეს წესი მიიღეს, კომისიებს მხოლოდ 35-37 პარტია დააკომპლექტებს.



ვახტანგ ძაბირაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვახტანგ ძაბირაძე არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ სად მოძებნის ეს 35 პარტია არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე სათანადო კვალიფიკაციისა და საარჩევნო კოდექსის მცოდნე ადამიანებს, რომლებმაც საარჩევნო ადმინისტრაციები მთელ ვერტიკალზე უნდა დააკომპლექტონ. იგი აცხადებს, რომ **"ეს ამ პარტიების პრობლემაა".** მით უფრო, რომ პროექტის თანახმად, **"ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აჯამებს არჩევნების შედეგებს, ადგენს ოქმს და მიღებულ დოკუმენტაციასთან ერთად გადასცემს უზენაეს სასამართლოს, რომლის დიდი პალატა განიხილავს მიღებულ დოკუმენტაციას და ამტკიცებს არჩევნების შედეგებს".**

ახალი პროექტის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნება ყველა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ (დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ეს უფლება ენიჭებათ ან იმ პარტიებს, რომლებსაც პარლამენტში ერთი წარმომადგენელი მაინც ჰყავთ, ან მათ, ვინც მოახერხებს 50 000 მხარდამჭერის ხელმოწერის შეგროვებას). ეს კი ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის პროცედურის გართულების ნაცვლად, ეროვნული თანხმობის დარბაზი მის გამარტივებას გვთავაზობს, რაც საქართველოში პოლიტიკურ სპექტრს კი არ დაწმენდს, არამედ მას კიდევ უფრო ააჭრელებს.

ახალი პროექტის თანახმად, მოხსნილია ყველანაირი ფინანსური ცენზი და არჩევნები უნდა დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტმა (სხვათა შორის, ეს პროცედურა დღეს მოქმედი კანონითაც არის გათვალისწინებული, მაგრამ კანონის ეს მუხლი არც ერთი არჩევნების დროს არ ამოქმედებულა). თანაც, "დარბაზის" წევრები მოითხოვენ, რომ ცესკო-ს მიერ დასახელებული თანხა ფინანსთა სამინისტრომ კომისიის ანგარიშზე გადარიცხოს კენჭისყრამდე 80 დღით ადრე. თუკი ეს არ მოხდება, მაშინ ფინანსთა მინისტრმა თანამდებობა უნდა დატოვოს.

და კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც ეროვნული თანხმობის დარბაზი გვთავაზობს - საარჩევნო სისტემაა, რომელიც საქართველოში ერთხელ უკე იყო აპრობირებული. ეს 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მოხდა. როგორც ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, **"ამ სისტემამ შეძლო პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა იმგვარი სპექტრის შექმნა, რომელმაც საშუალება მისცა ქვეყანას, შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირებიდან სტაბილიზაციამდე მისულიყო. ამ სისტემას "დანაწევრებული" სიების სისტმასაც უწოდებენ, რადგან მაშინ საქართველო 10 საარჩევნო ოლქად იყო დაყოფილი და მანდატების რაოდენობა ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით პროპორციულად იყო დაწყობილი: თითოეული პოლიტიკური ორგანიზაცია ყოველ ოლქში ცალ-ცალკე წარმოადგენდა სიას მანდატების რაოდენობის მიხედვით. ამის გარდა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში იყო ე.წ. "საკომპენსაციო" სიაც. პარტიების მიერ რომელიმე ოლქში მიღებული ხმები, რომლებიც არ იყო საკმარისი მანდატების მოსაპოვებლად, თავს იყრიდა ცესკოში, ჯამდებოდა და ნაწილდებოდა თანაბრად".**

სხვათა შორის, ე.წ. "დანაწევრებულ" სიებზე საუბარი პოლიტიკურმა სპექტრმა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც დაიწყო, თუმცა ამ იდეამ მაშინ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. საეჭვოა, მას ახლა გამოუჩნდეს მომხრეები. ვახტანგ ძაბირაძე კი დარწმუნებულია, რომ ასეთი "დანაწევრებული" სიები არჩევნების შედეგების გაყალბების შესაძლებლობას მინიმუმამდე დაიყვანს.

# მშრალი შიმშილობა რუსთავში

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსმა თინათინ ნადირაშვილმა უკვე უვადო, მშრალი შიმშილობა გამოაცხადა. ნადირაშვილი ითხოვს: რუსთავის ვიცე-მერის თეიმურაზ დალაქიშვილის გადაყენებას; საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის სამართლებრივი ფორმის აღდგენას, რომელიც მას წელიწადნახევარია არ გააჩნია, და ამ სამსახურის კანონის მიხედვით დაფუძნებას; აგრეთვე - საპარლამენტო კომისიის შექმნას, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქმიანობას შეისწავლის. ნადირაშვილი აცხადებს, რომ ვიცე-მერი დალაქიშვილი მას პიროვნულად მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც მოადგილის პოსტზე ამ უკანასკნელის მიერ შეთავაზებული კანდიდატურა არ დაამტკიცა.

**"სამედიცინო პროგრამებისა და ფულის გამო ხდება ეს ყველაფერი. წელიწადნახევარია სამსახური, ფაქტობრივად, გაუქმებულია და სამართლებრივ ვაკუუმშია მოქცეული. არ გვაქვს ტელეფონი, არ გვაქვს დაფინანსება, არ გვაქვს დებულება და ასე შედეგ. ბოლო თვეების მანძილზე ტელეფონით მემუქრებოდნენ უშიშროების სახელით, ასევე ვისმენდი მუქარას მერიის მოხელეებისაგან. ამიტომ გადავწყვიტე, რომ პრეცენდენტი შემექმნა და შიმშილობა დამეწყო. სკამის გულისთვის არ ვაკეთებ ამას, უბრალოდ, მე, როგორც პიროვნება და პროფესიონალი, შეურაცხყოფილი ვარ. სარჩელი მქონდა შეტანილი სასამართლოში, პროკურატურაში, მაგრამ უშედეგოდ. იმ მაფიოზურ კლანებს, რომელსაც დალაქიშვილი წარმოადგენს, სურთ ფულის გასათეთრებლად და ათასგვარი მაქინაციებისათვის გამოიყენონ ეს სამსახური, თამაშის ასეთ წესებს მე არ დავეთანხმე. სანამ ვინმე კიდევ დაიღუპება ან დაავადდება ამ ქალაქში ცოფით ან თუნდაც სხვა ინფექციით, მანამდე მირჩევნია მე დავიწყო უწყლო შიმშილობა,"** - განუცხადა "24 საათს" ნადირაშვილმა.

ვიცე-მერი თეიმურაზ დალაქიშვილი ასეთი ბრალდებების მისმენით განცვიფრებულია და აცხადებს, რომ სულ სამიოდე დღეა, რაც ამ სამსახურის კურატორობა მას ჩააბარეს და აქამდე არანაირი შეხება ნადირაშვილთან და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან არ ჰქონია.

რუსთავის მერიის იურიდიული სამსახურის ინფორმაციით, ნადირაშვილის მოთხოვნები კანონსაწინააღდეგოა და არც მისი სამსახური ყოფილა სამართლებრივ ვაკუუმში. მართალია, 2001 წელს ქვემო ქართლის იუსტიციის სამსახურმა საზ. ჯანდაცვის ახალი დებულება არ გაატარა რეგისტრაციაში, თუმცა ძალაში დარჩა ძველი დებულება.

თინათინ ნადირაშვილსა და მერიის ჩინოვნიკებს შორის დაპირისპირება დიდი ხანია არსებობს, თუმცა ამჯერად მოვლენები დააჩქარა და გაამწვავა იმან, რომ მერია ანალოგიურ სამსახურს ქმნის და ნადირაშვილს, რა თქმა უნდა, თამაშგარეთ ტოვებს.

გასული წლის გვიან შემოდგომაზე ჯანდაცვის კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ და მმართველობამ უნდა შექმნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკუთარი სამსახური. მერიის იურისტი მადონა ბეგთაშაშვილი აცხადებს, რომ მერიაში უკვე შექმნილია სალიკვიდაციო კომისია, რომელშიც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც შედიან და რომელიც გააუქმებს აქამდე მოქმედ ცენტრს, რათა შემდეგ ახალი ჩამოაყალიბოს. ლიკვიდაციის პერიოდში გათავისუფლდება ცენტრის ყველა თანამშრომელი, თუმცა რამდენი დაბრუნდება უკან, არავინ იცის. მისივე თქმით, ნადირაშვილის მხრიდან პროტესტს სამართლებრივი საფუძველი არ აქვს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მანამდე იშიმშილოს, სანამ მისი მოთხოვნების ძირითადი ნაწილი მაინც არ მოგვარდება.

ის უკვე სამი დღეა შიმშილობს, თუმცა რუსთავის მერიიდან არავინ გამოხმაურებია. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის უფროსის მიერ დაწყებული შიმშილობის მიზეზები არც ჯანდაცვის სამხარეო სამმართველოს უფროსს, თამაზ მურჯიკნელს აინტერესებს. მურჯიკნელი საპასუხო კომენტარს არ აკეთებს და კითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად ჟურნალისტებს უვიცებსა და გაუნათლებლებს ეძახის.

# ქართული კომპანიები ხარისხის საერთაშორისო პრიზით დაჯილდოვდნენ



სს "მონოლითმშენის" პრეზიდენტი ნუგზარ მგელაძე, "გადამხდელთა კავშირის" თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი, შპს "გამას" პრეზიდენტი გიორგი ვეკუა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ნინო ნარჩემაშვილი

სს "მონოლითმშენი", რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინათმშენებლობებს ახორციელებს და აშშ-საქართველოს ერთობლივი ფარმაცევტული საწარმო, შპს "გამა" 3 მარტს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გამართულ ხარისხის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებისათვის სპეციალური პრიზით, ARCH OF EUROPE დაჯილდოვდნენ. ასეთ პრიზს, კონკურსის ორგანიზატორი, კომპანია B.I.D. მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის კომპანიებს ხარისხის, ლიდერობის, წამყვანი ტექნოლოგიებისა თუ ინოვაციებისათვის ანიჭებს.

გუშინ დაჯილდოების 39-ე ცერემონიალზე ქართული კომპანიების წარმატებას "საქართველოს გადამხდელთა კავშირში" სპეციალური პრეზენტაცია მიეძღვნა. კავშირის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, **"ამ პრიზის მფლობელი კომპანიები საერთაშორისო არენაზე პრიორიტეტით სარგებლობენ. გარდა იმისა, რომ თვითონ კონკურსი ძალზე პრესტიჟულია, მონაწილეებს პრიზი ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისათვის და ხარისხიანი მუშაობისათვის გადაეცემათ."**

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როცა ხარისხის საერთაშორისო პრიზით ქართული კომპანიები დაჯილდოვდნენ. იგივე პატივი რამდენიმე წლის წინ ქართველ ღვინის მწარმოებლებს - სს "ბაგრატიონს" და შპს "სამებას" ხვდათ წილად.

# "ბი-პი" და "შელი" ერაყულ ნავთობში წილებს ითხოვენ

თორნიკე შარაშენიძე

"ფაინენშალ თაიმსის" ცნობით, ბრიტანულმა ნავთობგიგანტებმა - "ბრიტიშ პეტროლიუმმა" და "შელმა" - მოლაპარაკებები გამართეს ქვეყნის მთავრობასთან, მოსალოდნელი ომის შემთხვევაში ერაყული ნავთობსაბადოების ბედის თაობაზე. მოგეხსენებათ, ეს საკითხი ყველა ნავთობკომპანიას აწუხებს, რომელსაც რაიმე ინტერესი აქვს ერაყში. იმავე რუსულ კომპანიებს დიდძალი წილი აქვთ ერაყულ საბადოებში, რაც პუტინისათვის კიდევ ერთი არგუმენტია, რომ მხარი არ დაუჭიროს ომს. ერაყულ ნავთობში ინტერესები აქვთ ჩინურ, ფრანგულ კომპანიებსაც. თუმცა, ამ უკანასკნელის პროტესტი მხოლოდ ამით არ უნდა იყოს გამოწვეული.

როგორც "ფაინენშალ თაიმსი" წერს, მხარეები დიდად არ ახმაურებენ შეხვედრის დეტალებს. მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რას წარმოადგენდა მთავარი თემა: "ბიპი"-მაც და "შელმაც" კატეგორიულად მოითხოვეს ბრიტანეთის მთავრობისაგან, რომ მათ ყველაფერი გააკეთონ, რათა ომის შემდეგ ერაყული ნავთობსაბადოები მთლიანად ამერიკელთა ხელში არ აღმოჩნდეს. ამ ორი გიგანტიდან იქ წილი მხოლოდ "შელს" გააჩნია და, ცხადია, მას ვერავინ შეეცილება, მაგრამ საუბარია სხვა საბადოებზე, რომელთაც, ბრიტანელ მენავთობეთა აზრით, ამერიკელთა გარდა არავის მიაკარებენ. მოგეხსენებათ, ბრიტანეთი აშშ-ის ყველაზე ერთგული მოკავშირეა ერაყულ საკითხში და, წესით, ვაშინგტონმა უნდა გაიზიაროს ინგლისელთა წუხილი.

ნავთობკომპანიათა წარმომადგენლებმა გაზეთს გაუმხილეს, რომ მთავრობა მათ არგუმენტებს გაგებით შეხვდა. თუკი ეს არგუმენტები მართლაც იმ საკითხს შეეხებოდა, რასაც "ფაინენშალ ტაიმსი" ვარაუდობს, მაშინ ლონდონსა და ვაშინგტონს შორის სერიოზული მოლაპარაკებები გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ამ ცნობამ მძაფრი კრიტიკა გამოიწვია ბრიტანეთის პარლამენტართა იმ ფრთისგან, რომელიც ომის წინააღმდეგ ილაშქრებს. მათი თქმით, მთავრობის მოლაპარაკებები "ბიპი"-სა და "შელთან" კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ომის უმთავრესი საბაბი ერაყული ნავთობია და არა მასობრივი განადგურების იარაღი და დემოკრატიის იდეალები.

თუმცა, თავად "ბიპი"-სა და "შელს" ძნელად თუ გაამტყუნებს ვინმე. ბიზნესი ბიზნესია და მათაც მხოლოდ ის სურთ, რომ ომის შემდეგ თანაბარ პირობებში იყვნენ. თუმცა, ისინი ახლაც გვარიან ხეირს ნახულობენ საწვავზე გაზრდილი ფასების გამო და კიდევ უფრო მეტ ხეირს ნახავენ ომის დაწყების შემდეგ, როცა ნავთობი კიდევ უფრო გაძვირდება.

ცხადია, ნავთობკომპანიების გარდა, გაძვირებული ნავთობი არავის ინტერესებში არ შედის. არადა, ოპეკმა, რომელიც ასეთ დროს ფასებს აწესრიგებს ხოლმე, ნავთობმოპოვების გაზრდაზე უარი თქვა - აქაოდა, ფასების აწევა მხოლოდ პანიკითაა გამოწვეული, სინამდვილეში კი საწვავის დეფიციტი არ არსებობსო.

## მონიტორინგი

### სახაზინო ვალდებულების განთავსება

თარიღი 12.03.03

| აუქციონის N | 10 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 119 დღე |
| ემისიის ოდენობა | 5,000,000 |
| მოთხოვნა | 7,019,600 |
| დისკონტის პროცენტი | 39% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 4,432,668 |
| დასაფარი თანხა | 5,000,000 |
| ბალანსი | -567,332 |

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მლნ. ლარებში

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 11 მარტი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 252.46 | 131.01 | 52% | 2.12 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 186.38 | 91.62 | 49% | 1.58 |
| საგადასახადო შემოსავლები | 151.98 | 82.45 | 54% | 1.56 |
| სოციალური ფონდი | 53.84 | 33.71 | 63% | 0.48 |
| საგზაო ფონდი | 12.23 | 5.69 | 47% | 0.05 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | | 41.76 | | |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 7 - 13 მარტის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6203 | 0.684 | 0.0053 |
| US$ | 1.612 | | 1.1021 | 0.0085 |
| €uro | 1.4626 | 0.9072 | | 0.0077 |
| ¥en | 189.36 | 117.47 | 129.44 | |

# "ყველაფერი ენერგეტიკაში გამეფებული კორუფციის ბრალია"

## ჩაბნელებული საქართველოს გამო, ჯოხი "სადისტრიბუციო კომპანიაზე" გადატყდა

მაია ურუშაძე

*გუშინ პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე ენერგიის საბითუმო ბაზრის მიერ წყვდიადში დატოვებული რეგიონების მაჟორიტარი დეპუტატები თავიანთი რაიონების ელექტრომომარაგების უმოკლეს დროში აღდგენას კატეგორიულად ითხოვდნენ. ამ ულტიმატუმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი საზოგადოებრივი მღელვარებითა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს "დაწიოკებით" იმუქრებოდნენ. პოზიციებს არც საბითუმო ბაზარი თმობს და იმ რეგიონებისთვის, სადაც გადახდის დაბალი მაჩვენებელია, ენერგომომარაგების აღდგენას არ აპირებს. მაჟორიტართა მძაფრი რეაქცია მთავრობის გუშინდელი სხდომის ერთგვარი გამოძახილი იყო. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ხომ პირდაპირ "ჯანდაბის გზას გაუყენა" იმ რეგიონების გამგებელ-გუბერნატორები, რომლებიც საბითუმო ბაზარს დენის ფულს არ უხდიან.*



ენერგეტიკის მინისტრი პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა მკაცრ შეფასებებს საბითუმო ბაზრის მხრიდან რეპრესიები მოჰყვა. ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლების ასამაღლებლად ბაზარმა დენის მიწოდება, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს შეუწყვიტა. ამან პარლამენტში რაიონების მაჟორიტართა აღშფოთება, ხოლო ქვეყნის მასშტაბით - მოსახლეობის საპროტესტო აქციები გამოიწვია. ვითარებაში გასარკვევად, თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ ნავაძემ სასწრაფოდ მოიწვია პარლამენტში სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა და საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი.

დეპუტატების რისხვა დასაწყისში დავით მირცხულავას დაატყდა თავს. მას შემდეგ კი, რაც მან განაცხადა, რომ ელექტროენერგიის გამორთვის შესახებ გადაწყვეტილებას საბითუმო ბაზარი იღებს, პარლამენტართა ვნებების ალში ალბერტო სოლისი გაეხვა.

დეპუტატები აცხადებდნენ, რომ ბაზრის მიერ გატარებულ "რეპრესიებში" კარგი გადამხდელი რაიონებიც მოჰყვნენ. როგორც გაირკვა, ეს "გაუგებრობა" იმის ბრალია, რომ ამ რაიონებს ელექტროკვების ცალკე ხაზები არ გააჩნიათ და "სახელმწიფო ელექტროსისტემა" მათ დენს "ჯიუტ" რაიონებზე – სამტრედიასა და ჭიათურაზე გავლით აწვდის. **"როცა საჩხერე ჩართულია, ჭიათურა, რომელიც საბითუმო ბაზარს კაპიკს არ უხდის, დენს უფასოდ იღებს,"** – აუწყა დეპუტატებს მირცხულავამ.

**"სამტრედიას როცა უწყვეტენ ელექტროენერგიის მიწოდებას, ხონიც ბნელდება. გამოდის, რომ მარტო ხონი ისჯება, რადგან სამტრედია სხვა გზებით მაინც ახერხებს დენის მიღებას,"** – ჩიოდნენ მაჟორიტარები. ამ "სხვა გზებში" კი ადგილობრივი ხელისუფლების ზეწოლა იგულისხმება, როცა საბითუმო ბაზრის განკარგულების საფუძველზე "დასჯილი" რაიონები "ელექტროსისტემის" დისპეტჩერებს ქვესადგურების ჩართვას მუქარით აიძულებენ.

საბოლოოდ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: საქართველოს სრული ჩაბნელების გამო პასუხისმგებლობა დაეკისრა "გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას", რომელიც ვალდებულია, რაიონების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური ამოიღოს და საბითუმო ბაზარს გადაურიცხოს.

**"როგორ გავზარდოთ დენის საფასურის ამოღება, როცა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გამრიცხველიანებაზე თეთრი არ დახარჯულა,** - იმართლებდა თავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ადეიშვილი, - **ამ დროს კი რეგიონებში შექმნილია პატარა სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებიც ელექტროენერგიას მხოლოდ საწარმოებს აწვდიან და, შესაბამისად, დენის საფასურის ამოღებასაც ასი პროცენტით ახერხებენ."**

პარლამენტარებს არ სჯერათ, რომ ხალხი დენის ფულს არ იხდის. **"ეს ყველაფერი ენერგეტიკაში გამეფებული კორუფციის ბრალია,** - განაცხადა დეპუტატმა ირაკლი ჩუბინიშვილმა და დასძინა, რომ ხალხი პურის ფულს იკლებს და დენის ფულს იხდის, მაგრამ ეს თანხები საბითუმო ბაზრამდე არ აღწევს და ჯიბეებში ილექება.

ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის კურატორები შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მართვის უფლებით გაცემაში ხედავენ. ეს, ფაქტობრივად უკვე ხორციელდება: კომპანიაში 18-თვიანი საკუთარი მენეჯმენტით ამერიკული საკონსულტაციო ფირმა "ფი-ეი ქონსალთინგი" შევიდა, რომელმაც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მართვის უფლებით გასაცემად უნდა მოამზადოს. როგორც "24 საათს" გია ადეიშვილმა განუცხადა, სადისტრიბუციო კომპანია ერთიანად გადავა უცხოური კომპანიის ხელში, **"ვინაიდან, თუ სადისტრიბუციო კომპანიას 200 ათასი აბონენტი მაინც არ ჰყავს, მისი საქმიანობა არ იქნება რენტაბელური."**

უეცრად გამწვავებულმა ენერგოკრიზისმა პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის ამ ბოლო დროს გახშირებული, წინასაარჩევნო რეგიონული ვოიაჟები გააბიაბრუა. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო კი ტრადიციული ვითარების გამოსწორებას, ტრადიციული ხერხებითვე გეგმავს: მირცხულავას განცხადებით, საბითუმო ბაზარი მაშინვე აღუდგენს ელექტრომომარაგებას რაიონებს, როგორც კი მათი ენერგოსადისტრიბუციო კომპანიები საბითუმო ბაზარს ელექტროენერგიის საფასურის უმოკლეს დროში გადახდის გარანტიებს წარუდგენენ.

ამასობაში, ენერგოკრიზისი გამწვავდა თბილისშიც. გუშინ დილიდან ჩაბნელებული იყო თბილისის 70 პროცენტი. როგორც გაირკვა, ამის მიზეზი "ეი-ი-ეს თელასსა" და "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" შორის წარმოშობილი გაუგებრობა გახდა. საქმე ისაა, რომ "ეი-ი-ეს თელასმა" გუშინწინ სომხეთიდან 100 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვიტა. ის ამ სიმძლავრის ჩანაცვლებას რუსული იმპორტით გეგმავდა, რის გამოც "კავკასიონის" ხაზით 125 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტის თაობაზე კომპანია "ვინგფილდს" შეუთანხმდა.

"ეი-ი-ეს თელასმა" რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი, ჯერჯერობით, ვერ მოახერხა. როგორც გაირკვა, მას "მხედველობიდან გამორჩა" საკუთარი გადაწყვეტილების შეთანხმება "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან", ამ უკანასკნელმა კი მოკლე დროში ვერ შეძლო ელექტრული სქემების ისე გადაწყობა, რომ რუსეთის დენი პირდაპირ თბილისისაკენ წამოსულიყო.

# სადაზღვევო კომპანიები ძალას იკრებენ

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოში სადაზღვევო საქმიანობა სულ რაღაც ათ-თორმეტ წელს ითვლის და, ფაქტობრივად, ახლა იკრეფს ძალასა და პოპულარობას. 2002 წლის მონაცემებით, საქართველოში დაზღვევის მოცულობამ 25,112 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, როცა 2000 წელს ეს ციფრი 18 მილიონ ლარამდე იყო. მოსახლეობა, მეწარმეები და ბიზნესმენები ნელ-ნელა აცნობიერებენ, რომ დაზღვევა - იქნება ეს ქონების, ჯანმრთელობის, ტვირთის, ავტომობილის, ბიზნესის თუ სხვა სახის - მათთვის საჭირო და სასარგებლოა, რომ აქ იმ გამონაკლის შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა დაბანდებული ფული არ იკარგება და არსებობს იმის მყარი გარანტია, რომ იგი ერთი-ორად ანაზღაურდება საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი (ჯიპიაი) ორი წლის წინ დაარსდა და ქვეყანაში ასეთი ტიპის პირველ ჰოლდინგურ კომპანიას წარმოადგენს. მისი დამფუძნებლები, რომელთა შორის რამდენიმე ცნობილი ქართული და საერთაშორისო კომპანიაა, მათ შორის - "თიბისი ბანკიც", მიიჩნევენ, რომ "კომპანია მოკლე დროში საქართველოს ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახდება, რადგან მას შესაბამისი პოტენციალი გააჩნია და საიმედო სტრატეგიული უცხოელი პარტნიორი (TBIH FINANCIAL SERVICES GROUP) ჰყავს, რომლის საკუთრებაშიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული მრავალი საპენსიო და სადაზღვევო კომპანია ირიცხება." "ჯიპიაი"-ს გენერალური დირექტორის პაატა ღაძაძის განცხადებით, **"საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი, როგორც ქართული კომპანია, საქართველოს ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია და, შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობს მის განვითარებასა და სრულყოფაში. კომპანიის მიზანია, ქვეყანაში საპენსიო და სადაზღვევო მომსახურების უნიკალური სისტემის შექმნა, რაც პარტნიორების სტაბილურობასა და წარმატებას შეუწყობს ხელს და შეამცირებს მათ რისკებს."**

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი საპენსიო უზრუნველყოფისა და ზოგადად სადაზღვევო სამსახურების გაწევას როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი კერძო პირებისა და კომპანიებისათვის. ხოლო თავისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად "ჯიპიაი" ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკებისგან დაზღვევას მიიჩნევს. რისკები კი აქ, მით უმეტეს - საქართველოში, საკმაოდ დიდია. კომპანიის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის გია კაკაბაძის განცხადებით, სადაზღვევო კომპანიის მომსახურება ბიზნესმენს საშუალებას მისცემს, თავიდან აიცილოს შესაძლებელი ფინანსური ზარალი და სწორად დაგეგმოს საწარმოო ხარჯები. კომპანია კი, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებს დროულად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე მოახდინოს ზარალის კომპენსაცია. მისივე თქმით, "ჯიპიაი ჰოლდინგს" საკმაოდ სოლიდური კაპიტალი გააჩნია, რაც, თავის მხრივ, სხვა აქტივებთან ერთად, პარტნიორებისა და კლიენტებისათვის საკმაოდ მყარ გარანტიას წარმოადგენს.

რაც შეეხება სადაზღვევო თანხებს, კომპანიაში აცხადებენ, რომ მისი პროცენტი რისკის ალბათობიდან გამომდინარე დგინდება. მაგალითად, ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის ღირებულება 0,2-დან 0,4 პროცენტამდე მერყეობს. ასე რომ, დაზღვევის მთელი ეფექტი ის გახლავთ, რომ იხდით ცოტას და იღებთ ბევრს, გინაზღაურდებათ მოყენებული ზარალი.

გია კაკაბაძის თქმით, კომპანია მისი პარტნიორების და ქვეყნის ეკონომიკის პროგრესირების ფონზე ვითარდება. იგი მხოლოდ კლიენტების ინტერესების გათვალისწინებით და კლიენტებისთვის მუშაობს.

დაბოლოს, სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მატულობს ბიზნესის დაზღვევის შემთხვევები. 2002 წლის მონაცემებით, სადაზღვევო ბაზარზე ქონების ნებაყოფლობითმა დაზღვევამ 23 პროცენტი, ხოლო თანხამ 5,798 მილიონი ლარი შეადგინა. ქვეყნის მოსახლეობა ნელ-ნელა აცნობიერებს, რომ დაზღვევა მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ნიშნავს.

# კერძო სექტორი და ფინანსთა სამინისტრო გადასახადების შემცირების მომხრეა

*ნავთობპროდუქტების სექტორიდან შემოსავლების გაზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აშშ-ს სავაჭრო პალატის მიერ ორგანიზებული კონფერენციის მთავარ მიზანს წარმოადგენს. კონფერენცია გუშინ დაიწყო და 16 მარტს დასრულდება. კონფერენციის მონაწილეები რჩევების პაკეტს შეიმუშავებენ, რაც ნავთობპროდუქტების სფეროში მოღვაწე ყველა მხარისთვის (კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები) მისაღები იქნება.*

სოფიკო ოხანაშვილი

ნავთობპროდუქტების სექტორიდან შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესებისა და ამ სფეროს ჩრდილოვანიდან ლეგალურ სექტორში გადაყვანის გზების ძიება გუშინ ერთად დაიწყეს სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა. ნავთობპროდუქტების სექტორში არსებული მდგომარეობის ზოგადი სურათი კონფერენციის მონაწილეებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლევან ჩრდილელმა და მთავარმა კონსულტანტმა ბჰამი შენოიმ წარუდგინეს. გუშინვე გამოიკვეთა ამ სექტორში არსებული ძირითადი ხარვეზები.

წარმოდგენილი მასალებით, ერთ-ერთ მთავარ პრობლემას კონტრაბანდული პროდუქციის სიჭარბე წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, მრავალ სხვა თავსატეხს იწვევს. კერძოდ, ამ სფეროში მოღვაწე კომპანიებს არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში უწევთ მუშაობა. კონტრაბანდული ბენზინისა და დიზელის საწვავის არსებობას ბაზარზე აღიარებს ფინანსთა მინისტრის მოადგილეც. ამის მიზეზად კი რას აღარ ასახელებს: ერგნეთის ბაზრობას, ეთნოკონფლიქტების ზონებს, არალეგალურ ნავთობსახდელებს, ფინანსთა სამინისტროში არსებულ კორუფციას, ყალბი დღგ-ს ფაქტურების პრაქტიკას, სახელმწიფო ადმინისტრაციის უნიათობასა თუ მოქმედი დაბეგვრის რეჟიმის სიმძიმეს.

ჩრდილელის თქმით, კონტრაბანდული ნავთობპროდუქტების შემოტანა ძირითადად, აზერბაიჯანიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, კახეთიდან ( უდაბნოს ტერიტორია) და ერგნეთიდან ხდება. ნავთობპროდუქტების სფეროში კიდევ ერთ პრობლემად ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ამ პროდუქციის წლიური მოხმარების ზუსტი აღრიცხვის უქონლობა დაასახელა. ფინანსთა სამინისტროს ექსპერტული გამოკვლევით ნავთობპროდუქტების ყოველთვიური მოხმარება 55-60 ათას ტონას შეადგენს. აქედან 32 ათასი ტონა ბენზინია, 24 ათასი ტონა კი, - დიზელი. მიმდინარე წლის ოფიციალური მაჩვენებლები კონტრაბანდული პროდუქციის ხვედრითი წილის გაზრდაზე მიუთითებს. ბჰამი შენოის გამოსვლამაც ცხადყო, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების სექტორში კონტრაბანდული პროდუქცია გაცილებით აღემატება ლეგალურს.

არსებული მდგომარეობიდან თავდასაღწევად, რამდენიმე კონკრეტულმა რეკომენდაციამ გუშინვე გაიჟღერა. ლევან ჩრდილელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ პრობლემების გადაჭრა არც ერთ კონკრეტულ უწყებას დამოუკიდებლად არ ძალუძს, ამიტომ მისი თქმით, აუცილებელია კონტრაბანდასთან საბრძოლველად რამდენიმე შესაბამისი უწყებების კომპლექსური მუშაობა. ნათობსახდელების კონტროლის, აზერბაიჯანისა და ერგნეთის საზღვრის ჩაკეტვის, სამხრეთ ოსეთის სტატუსის გარკვევის გარდა, ნავთობპროდუქტების სექტორიდან გადასახადების დონის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად ჩრდილელმა გადასახადების შემცირება დაასახელა: **"ჩვენ ისე ოპტიმალურად უნდა შევამციროთ გადასახადები, რომ ლეგალურობის კოეფიციენტის გაზრდასთან ერთად, ბიუჯეტში შემოსავლების მაჩვენებლებიც გაიზარდოს".**

ამ პოზიციას პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე შეეწინააღმდეგა. მისი თქმით, საქართველოში სხვადასხვა სექტორში გადასახადების შემცირებას არ გამოუწვევია ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა. ნავთობპროდუქტებზე გადასახადების შემცირების იდეა ამ ეტაპზე მისაღები აღმოჩნდა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. "კანარგოს" გენერალური მენეჯერის ლევან ფხაკაძის თქმით, ასეთი ნაბიჯი ხელს შეუწყობს კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბებას. **"გადასახადების მომატება ყოველთვის შეიძლება. მე ვეთანხმები იმ აზრს, რომ ეს სექტორი, ზოგადად, მაღალი განაკვეთით უნდა იბეგრებოდეს, მაგრამ ამ ეტაპზე გადასახადების შემცირება აუცილებელია",** - განაცხადა ფხაკაძემ.

# უმძიმესი გადაწყვეტილება

პირველი გვერდიდან


კოფი ანანი

ისინი შიშობენ, რომ ომი გამოიწვევს რეგიონულ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისებს. ომს შეიძლება მოჰყვეს, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომლებიც ახალ საფრთხეებს წარმოშობს. ხომ არ გაართულებს იგი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას? ხომ არ გააუარესებს ისრაელელებსა და პალესტინლებს შორის მშვიდობის პერსპექტივას? ხომ არ გააღრმავებს იგი ნაპრალს სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებსა და ერებს შორის? ხომ არ შეასუსტებს იგი ჩვენს უნარს, მომავალშიც ვითანამშრომლოთ საერთო პრობლემების გადასაჭრელად?

ეს სერიოზული კითხვებია და ყურადღებით განხილვას იმსახურებს.

ზოგჯერ შეიძლება საჭირო იყოს ძალის გამოყენება იმ საფრთხეების აღსაკვეთად, რომლებიც მშვიდობას ემუქრება – ქარტია ზუსტად განსაზღვრავს ძალის გამოყენების პირობებს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მას შემდეგ, რაც ყველა სხვა გონივრული ალტერნატივა ამოიწურება. ჩვენს შემთხვევაში - თუ დავრწმუნდებით, რომ ერაყის გასაიარაღებლად სხვა გზა აღარ დარჩა. გაერო, რომელიც იმისთვისაა დაფუძნებული, რომ "მომავალი თაობები ომის საშინელებისაგან იხსნას", ვალდებულია, მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები უკანასკნელ წამამდე ეძებოს.

დადგა უკვე ეს წამი? აი, ეს უნდა გადაწყვიტონ უშიშროების საბჭოს წევრებმა.

ეს მართლაც უმძიმესი გადაწყვეტილებაა. თუ ისინი ვერ შეძლებენ საერთო აზრამდე მისვლას და ზოგიერთი მათგანი გადაწყვეტს, საბჭოს სანქციის გარეშე იმოქმედოს, ამგვარი ქმედების ლეგიტიმურობა იმთავითვე ეჭვქვეშ დადგება. გარდა ამისა, ისინი ვერ მოახერხებენ პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას, რაც აუცილებელია სამხედრო ფაზის დასრულების შემდეგ გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად.

მეორე მხრივ, თუ უშიშროების საბჭოს წევრები, თუნდაც ბოლო წუთს შეძლებენ საერთო ენის გამონახვას და ერთობლივი ქმედებებით შეძლებენ მიაღწიონ ადრე მიღებული რეზოლუციების შესრულებას, მაშინ საბჭოს ავტორიტეტი კიდევ უფრო გამტკიცდება და მსოფლიოც უფრო უსაფრთხო იქნება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ერაყის კრიზისი ვაკუუმში არ მიმდინარეობს. განვითარებული მოვლენები დიდ გავლენას ახდენს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. რაც უფრო ფართო იქნება ჩვენი კონსენსუსი ერაყთან დაკავშირებით, მით უფრო მეტად შევძლებთ, ეფექტურად გავუმკლავდეთ მსოფლიოს სხვა წერტილებში მიმდინარე კონფლიქტებს, დაწყებული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტიდან. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მხოლოდ ამ კონფლიქტის სამართლიან გადაწყვეტას შეუძლია, რეგიონს მშვიდობა მოუტანოს.

ის, თუ როგორ გადაწყდება ერაყის კრიზისი, უდიდეს გავლენას იქონიებს საერთაშორისო საზოგადოების უნარზე, გადაჭრას ჩრდილოეთ კორეის პრობლემა, რომელიც არანაკლებ შემაშფოთებელ ხასიათს იძენს. გარდა ამისა, იგი გავლენას მოახდენს იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეძლებს საერთაშორისო საზოგადოება აფრიკის სისხლიანი კონფლიქტების მოგვარებას.

ომი არ არის ერთადერთი ტრაგედია, რომელიც კაცობრიობას ემუქრება. ტერორიზმთან ომი იქნება თუ საბედისწერო ტრიადასთან - სიღატაკესთან, გაუნათლებლობასა და დაავადებებთან ბრძოლა, სახელმწიფოებმა ერთად უნდა იმოქმედონ, რათა შედეგს მიაღწიონ. როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს კონფლიქტი, გაერო-ს როლი ისეთივე ცენტრალური იქნება, როგორც დღეს არის. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა გაერო-ს ერთიანობა შევინარჩუნოთ.

ბოლო თვეების განმავლობაში ყველანი დავრწმუნდით იმაში, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსოფლიოს ხალხები და ქვეყნები გაერო-ს, მის უშიშროების საბჭოს. რაც უფრო ახლოვდება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღების ვადა, იმედი მაქვს, რომ უშიშროების საბჭოს წევრები მით უფრო მეტი სიფრთხილით მოეკიდებიან იმ რწმენას, რომელიც მსოფლიოს ხალხებს აქვთ უშიშროების საბჭოს მიმართ და დაამტკიცებენ, რომ ამ რწმენის ღირსნი არიან.

# ბინ ლადენი - აშშ-ს სპეცსამსახურების სამიზნე

ლევან ღირსიაშვილი


ბინ ლადენი

დასავლეთის სადაზვერვო ორგანიზაციების ცნობით, ავღანეთის და პაკისტანის საზღვრის მთელ პერიმეტრზე ამჟამად მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია მიმდინარეობს, რომლის მიზანსაც "ალ-ქაიდას" ლიდერის, ოსამა ბინ ლადენის და მისი თანამებრძოლების დაპატიმრება წარმოადგენს.

აშშ-ს ადმინისტრაციის და პაკისტანის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, ამ მომენტისათვის დაპატიმრებულია რამდენიმე პიროვნება, რომელთაც "ალ-ქაიდასთან" თანამშრომლობაში ედებათ ბრალი. თავად მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტი კი, ჯერჯერობით, მოუხელთებელია.

"ბი-ბი-სი"-ს ცნობით, ვაშინგტონის და ლონდონის ოფიციალურ წრეებში უკვე საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ბრიტანეთის და აშშ-ს სპეცსამსახურებმა მაინც შეძლეს ბინ ლადენის კვალში ჩადგომა. დასავლეთის სპეცსამსახურთა წარმომადგენლების თქმით, "ალ-ქაიდას" ლიდერის დაპატიმრების ან ლიკვიდაციის შანსები ამჟამად საკმაოდ მაღალია.

როგორც ცნობილი გახდა, პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე მიმდინარე სპეცოპერაციას უშუალოდ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მაღალჩინოსნები ხელმძღვანელობენ. შემდგომ მოქმედებებს ისინი "ალ-ქაიდას" დაპატიმრებული მებრძოლებისგან მოწოდებული ინფორმაციების და ჩვენებების მიხედვით გეგმავენ. ამერიკელ მზვერავებს ადგილზე ეხმარებიან ამერიკელი სპეცრაზმელები, პაკისტანის საიდუმლო სამსახურების წარმომადგენლები და ადგილობრივ მოსახლეობაში ჩანერგილი ინფორმატორები.

ოსამა ბინ ლადენის წინააღმდეგ სპეცოპერაცია პაკისტანის ტერიტორიაზე ბელუჯისტანის პროვინციაში მიმდინარეობს. ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ამ პროვინციის ჩრდილოეთით მდებარე, პაკისტანის მთიან რაიონებს. ასეთი მასშტაბური და აქტიური სპეცოპერაციის მიუხედავად, ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ბინ ლადენის დაკავების შანსები მინიმალურია. მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს, რომლის თავიც 25 მილიონ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული, ცხადია, თავისი უახლოესი გარემოცვა საკმაოდ გულდასმით ეყოლება შერჩეული. ეჭვგარეშეა, რომ თუ ვინმემ იცის მისი ადგილსამყოფელი, მისგან, მოსყიდვის საშუალებით, ამ ინფორმაციის მიღება საკმაოდ რთული იქნება. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოსამა ბინ ლადენის ცოცხლად შეპყრობა თითქმის წარმოუდგენელია. ასეა თუ ისე, "ალ-ქაიდას" ლიდერზე ნადირობა დაწყებულია. ცხადია, ვაშინგტონს ერაყში ომის დაწყებამდე სურს თავისი უპირველესი მტრის ნეიტრალიზაცია. თუ რა ფორმით და როგორ შეძლებენ ამას დასავლეთის სპეცსამსახურები, ჯერ არავინ უწყის.

# აშშ-მ რუსეთი ატომური რეაქტორების დახურვაზე დაითანხმა


სპენსერ აბრაჰამი, ალექსანდრ რუმიანცევი და ელ-ბარადეი

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ აშშ-სთან გააფორმა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, რუსეთის ტერიტორიაზე ორი ბირთვული რეაქტორი დაიხურება. ჟელეზნოგორსკის და სევერსკის რეაქტორებში ბირთვული იარაღისათვის განკუთვნილი პლუტონიუმი იწარმოება. ამის სანაცვლოდ, ვაშინგტონი ვალდებულებას იღებს რუსეთს თბოელექტროსადგურების მშენებლობისათვის საჭირო ფინანსები გამოუყოს, რათა გაჩერებული რეაქტორების შედეგად, არ შეწყდეს წარსულში "დახურულ" ქალაქებად ცნობილი ტომსკ-7 და კრასნოიარსკ-26 ელექტრომომარაგება.

მიღწეული შეთანხების თანახმად, ვაშინგტონი რუსეთს ელექტროსადგურების მშენებლობისათვის, დაახლოებით, 500 მილიონ ამერიკულ დოლარს გადასცემს.

ხელშეკრულებას ხელი აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრმა სპენსერ აბრაჰამმა და რუსეთის ატომური ენერგიის მინისტრმა ალექსანდრ რუმიანცევმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში საერთაშორისო კონფერენციის დროს მოაწერეს. კონფერენციას, რომელიც ბირთვული მასალების გაუვრცელებლობას ეძღვნებოდა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი ელ-ბარადეიც ესწრებოდა.

**"ელექტროენერგიის წარმოებისათვის ამ რეაქტორების ჩვეულებრივი სახის საწვავით შეცვლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა რუსეთში შეწყდეს შეიარაღებისათვის განკუთვნილი პლუტონიუმის წარმოება და ეს ობიექტები დაიხუროს,"** - განაცხადა აბრაჰამმა.

**"დღეს ჩვენ უკვე დარწმუნებულები ვართ, რომ რეაქტორები დაიხურება და ქალაქების მოსახლეობას სითბო გარანტირებული ექნება,"** - დასძინა თავის მხრივ რუმიანცევმა.

როგორც ცნობილია, აშშ-მ ბირთვული იარაღისათვის განკუთვნილი პლუტონიუმის წარმოება ჯერ კიდევ 1980-იან წლებში შეაჩერა, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა სსრკ-აშშ-ს შეთანხმებას ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვასთან დაკავშირებით. რუსეთმა, თავის მხრივ, 10 ასეთი ობიექტი დახურა, თუმცა სევერსკის და ჟელეზნოგორსკის რეაქტორები კვლავ აგრძელებენ მუშაობას. მოსკოვი აცხადებდა, რომ ამ ობიექტების დანიშნულებას ქალაქების ელექტროენერგიით მომარაგება წარმოადგენდა.

ამჟამად ხელმოწერილი შეთანხმების მიხედვით, რეაქტორების მუშაობა საბოლოოდ 2011 წლამდე შეწყდება. ექსპერტთა შეფასებით, ამ ქარხნების მიერ ყოველწლიურად წარმოებული 1,5 ათასი კილოგრამი პლუტონიუმი სავსებით საკმარისია დღეში ერთი ატომური ბომბის დასამზადებლად.

# აშშ-ს საჰაერო ძალებმა „ბომბების დედა" გამოსცადა

11 მარტს შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა ამერიკის არსენალში არსებული ყველაზე დიდი არაბირთვული ბომბი გამოსცადეს. ამერიკელი გენერლების აზრით, დაახლოებით, 10-ტონიანი ბომბი ერაყის წინააღმდეგ ომში გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

პენტაგონის წარმომადგენლის შერილ ირვინის თქმით, ბომბის გამოცდა წარმატებით დასრულდა. ახალი ბომბის დამიზნება, რომელსაც არაოფიციალურად "ბომბების დედას" უწოდებენ, სატელიტის დახმარებით ხდება. ბომბი იმდენად ძლიერია, რომ პენტაგონი ბირთვული სოკოს მსგავსი ეფექტის მიღებას მოელოდა.




# მოკლულია სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი

ლევან ღირსიაშვილი


ზორან ჯინჯიჩი

*გუშინ ბელგრადში, შეიარაღებული თავდასხმის შედეგად მიყენებული ჭრილობებისაგან, საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი. სერბეთის ტელევიზიის ცნობით, ჯინჯიჩს ქუჩაში, სერბეთის მთავრობის შენობის წინ ესროლეს. არაოფიციალური ინფორმაციით, თავდამსხმელები სამნი იყვნენ. თვითმხილველებმა ორი შეიარაღებული მამაკაცი დაინახეს, რომლებიც მანქანაში ჩასხდნენ და დიდი სისწრაფით მოშორდნენ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიას. არ არის გამორიცხული, რომ მისი მკვლელობა სლობოდან მილოშევიჩის მხარდამჭერების მიერ იყოს ორგანიზებული. მილოშევიჩის ჰააგის ტრიბუნალისათვის გადაცემა, პროდასავლური ორიენტაციით ცნობილი, სერბეთის პრემიერ-მინისტრის, ზორან ჯინჯიჩის ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი.*

სერბეთის პრემიერ-მინისტრი, თავდასხმის შედეგად, მუცელში და ზურგში სნაიპერის ნასროლი ტყვიით დაიჭრა. მისი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. თავდასხმიდან ნახევარ საათში, ზორან ჯინჯიჩი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ეს ჯინჯიჩზე მეორე თავდასხმა იყო. პირველად მას ა.წ. თებერვალში ესროლეს, თუმცა, უშედეგოდ.

50 წლის ზორან ჯინჯიჩი, 2000 წლის შემოდგომაზე იუგოსლავიის იმჟამინდელი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის წინააღმდეგ დაწყებული სახალხო გამოსვლების ლიდერი იყო. სერბეთის მთავრობას ის 2001 წლის იანვრიდან ჩაუდგა სათავეში. ჯინჯიჩი თავიდანვე რეფორმისტული და დემოკრატიული იდეების მხარდამჭერით იყო ცნობილი.

**"თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემი მოკვლით კანონის და რეფორმების შეჩერებას მიაღწევენ, ღრმად ცდებიან,"** - განაცხადა ჯინჯიჩმა ჯერ კიდევ თებერვალში, მასზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გავრცელებული ინფორმაციის თანახამდ, ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მილოშევიჩის გადაცემის უკან სწორედ ზორან ჯინჯიჩი იდგა. ამის სანაცვლოდ კი, სერბეთის ხელისუფლებამ დასავლეთისგან ერთი მილიარდ 280 მილიონი ამერიკული დოლარი მიიღო. პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი არასოდეს მალავდა, რომ დასავლეთისგან ფინანსური დახმარების მისაღებად, მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს მილოშევიჩის საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემა წარმოადგენდა. 2001 წლის ივლისში, გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსთან" ინტერვიუში მან განაცხადა, რომ მზად იყო საკუთარი პოპულარობა ქვეყნისათვის ფინანსურ დახმარებაზე გაეცვალა. **"პოპულარობით ვერაფერს მიაღწევ, ხოლო კრედიტების დახმარებით კი რაღაცის მიღწევა შეიძლება,"** - აცხადებდა ჯინჯიჩი. უნდა ითქვას, რომ სერბეთის საზოგადოებაში ეს ფაქტი არაერთგვაროვნად იქნა აღქმული.

ჯინჯიჩის მკვლელობას საერთაშორისო გამოხმაურება გუშინვე მოჰყვა. პირველი განცხადება ამ ფაქტთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობამ გააკეთა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა პიტერ შიდერმა და გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა მკაცრად დაგმეს ჯინჯიჩის მკვლელობა და ამასთან დაკავშირებით თავიანთი ღრმა შეშფოთება და მწუხარება გამოხატეს. **"ეს მიუტევებელი დანაშაული სერბეთსა და ჩერნოგორიაში არსებული კრიტიკული ვითარების ფონზე განხორციელდა და მიზნად ისახავს იმ პროცესების შეჩერებას, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას ისახავს მიზნად. ბ-ნი ჯინჯიჩი ამ მიზნებს დაუღალავად ახორციელებდა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი, ამ ტრაგედიის მიუხედავად, არ შეფერხდება. სერბეთის და ჩერნოგორიის ხალხმა არ უნდა დაუშვას, რომ მათი ბედი კრიმინალებმა გადაწყვიტონ,"** - განაცხადა პიტერ შიდერმა.

## ინფორმაცია

### საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე ახალი ნებართვები გაიცემა

ავტობუსების და მიკროავტობუსების საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე წელს ახალი ნებართვები გაიცემა. სახმელეთო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ცნობით, ლიცენზიისა და ნებართვის ფორმას, გაცემის წესებს და პირობებს განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები. ცვლილებების პროექტი უკვე წარუდგინეს პარლამენტს.

ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, ყველა გადამზიდველ ფირმაზე ნებართვა 5 წლის ვადით გაიცემა. ადმინისტრაციას უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები გადამზიდველებთან 136 საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტზე. ეს ფირმები, რომლებთანაც ხელშეკრულებები კონკურსში მონაწილეობის და გამარჯვების შედეგად გაფორმდა, ახალ ნებართვებს ავტომატურად მიიღებენ. ხოლო რამდენიმე გადამზიდველს, რომელსაც კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია და რომელთანაც დროებითი ხელშეკრულებებია დადებული, ახალ კონკურსში მოუწევს მონაწილეობის მიღება.

ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ საგარეუბნო და საქალაქთაშორისო გადაზიდვებზე ახალი მარშრუტები არ გაიხსნება, რადგან ყველა სოფლის და ქალაქის მიმართულება გადატვირთულია. **მედია-ნიუსი**

### საჩუქრები - არქიტექტურის სამსახურისთვის

უახლოეს დღეებში, თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახური - "ინკოგნიტო" საქველმოქმედო ფონდისგან 25 ათას დოლარს მიიღებს. ქალაქის მთავარი არქიტექტორის, ირაკლი როსტომაშვილის განცხადებით, ნავარაუდევია ამ თანხით სამსახურის კუთვნილი შენობის გარემონტება, თანამედროვე ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა. როსტომაშვილის მონაცემებით, მალე არქიტექტურის სამსახური 15 ათას დოლარს მიიღებს საქართველოში ნავთობკომპანია "შევრონის" წარმომადგენლობისგანაც. რას მოხმარდება იგი, ჯერ საიდუმლოა. სამშაბათს თბილისის არქიტექტურის სამსახურმა უკვე მიიღო ასევე ინკოგნიტო საქველმოქმედო ფონდის მიერ რუსეთში 15 ათას დოლარად შეძენილი სამი მანქანა. მათი მეშვეობით დაგეგმილია თბილისში უკანონო მშენებლობებთან ბრძოლა. **ინტერ-პრესი**

### კომუნა ქუთაისურად

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრადიციულ სტუდკავშირს ალტერნატივა გამოუჩნდა - "სტუდენტური კომუნა." ახლად დაფუძნებულმა "კომუნამ" უკვე გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ქუთაისის უნივერსიტეტის 30 ლექტორი გამომძალველობაში დაადანაშაულეს. გამომძალველი პედაგოგების გვარები ორგანიზაციის წევრებს არ დაუსახელებიათ. მათი განმარტებით, სტუდენტებს სურთ, ისინი ფარული დაკვირვებით "ფაქტზე ამხილონ". "კაირებულ ფაკულტეტებზე ქრთამის ოდენობა 30-დან 150 დოლარამდე მერყეობს. აღნიშნულ ინფორმაციას ახალი სტუდენტური ორგანიზაცია უნივერსიტეტში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად ფლობს. კვლევის ფარგლებში 757 სტუდენტი გამოიკითხა. **ინტერ-პრესი**

### სამწუხაროდ, სამეგრელო ლიდერობს

სამი კვირის წინათ შიდსისა და ინფექციური პათოლოგიების ცენტრში მძიმე მდგომარეობაში მიყვანილი 6 თვის წალენჯიხელი პატარის გარდაცვალების მიზეზი შიდსი არ ყოფილა. ასეთ განცხადებას აკეთებს ბავშვის მკურნალი ექიმი ლალი შარვაძე. მისი ინფორმაციით, ავადმყოფს ბაქტერიული პნევმონია და მენინგოკოკური ენცეფალიტი დაუდგინდა, თუმცა, მის მშობლებს შიდსზე გამოკვლევას მაინც ჩაუტარებენ.

სამეგრელოს რეგიონის ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების განცხადებით, ბავშვს ვირუსი დედის მუცლიდან გამოჰყვა. ბავშვის ინფიცირების მიზეზი აღმოჩნდა მამა, რომელიც ერთხანს რუსეთში ცხოვრობდა. ყოველივე ამის შესახებ რეგიონის ჯანდაცვის დეპარტამენტმა მას შემდეგ შეიტყო, რაც შეამოწმა გარდაცვლილის დედის სისხლი, რომელმაც ექიმს სულ სხვა ავადმყოფობის გამო მიაკითხა. ინფიცირებულ მშობლებს კიდევ ჰყავთ წლინახევრის შვილი, საბედნიეროდ, მას შიდსის ვირუსი არ აღმოაჩნდა.

შიდსით დაავადებულთა რაოდენობით, სამეგრელო ერთ-ერთი „გამორჩეული" რეგიონია. შიდსის ვირუსის აღრიცხული 60 მატარებლიდან ცხრა უკვე გარდაიცვალა. აღრიცხულთაგან შვიდი წალენჯიხის რაიონის მკვიდრია, სამი - ჩხოროწყუს, დანარჩენი კი - ზუგდიდის; მათგან 11 იძულებით გადაადგილებული პირია. დაავადებულთაგან სამი ქალია; მამაკაცები, ძირითადად, ინტრავენური ნარკომანები არიან. დაავადებულთა უმეტესობას ვირუსი უკრაინიდან აქვს შემოტანილი. ბევრმა მათგანმა სამეგრელო უკვე დატოვა. **მედია-ნიუსი**

# თამბაქოს ინდუსტრიას ჯანმრთელობისთვის ფული არ ემეტება

ეთერ მამულაშვილი

*თამბაქოს ეროვნული ცენტრი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის ინიციატივით გამოდის და სიგარეტის ბიზნესში ჩართულ კომპანიებს სპეციალურ გადასახადს აკისრებს. უახლოეს დღეებში ცენტრთან სპეციალური საზოგადოებრივი ფონდი იქმნება, სადაც თამბაქოს მწარმოებელ და შემომტან ფირმებს მწეველებისთვის საკომპენსაციო თანხების შეტანა ევალებათ. ეროვნული ცენტრი, კეთილი ნების გამოსავლენად, კომპანიებს 29 მარტამდე აძლევს ვადას.*

საზოგადოებრივი ფონდი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, უახლოეს დღეებში ჩამოყალიბდება. ფონდის ბაზაზე შეიქმნება სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც იმ პაციენტებს მოემსახურება, ვისაც ჯანმრთელობა, სიგარეტის მავნე ზეგავლენით, საგრძნობლად გაუუარესდა. მკურნალობის ხარჯები დაიფარება თამბაქოს მწარმოებლების და იმპორტიორების მიერ ფონდში შეტანილი გადასახადებით. ეროვნული ცენტრის მოთხოვნით, ფონდში შესატანი თანხა ყოველთვიურად 2000 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს, რის შედეგადაც, ცენტრის გაანგარიშებით, ფონდში ერთი წლის განმავლობაში 800 000 ლარი მოიყრის თავს. ილუზია იმისა, რომ ხსენებული თანხა ყველა დაავადებულს ეყოფა, არც თამბაქოს ეროვნულ ცენტრს აქვს. **"ორი ათასი ლარი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩართული ბიზნესმენებისთვის ხუთი წუთის შემოსავალია. ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ, არაფერია იმასთან შედარებით, რა ზიანსაც აყენებენ ბიზნესმენები, საკუთარი ფინანსური ინტერესების გამო, ადამიანების ჯანმრთელობას. დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში ასეთი ფონდების შექმნით თავად თამბაქოს მწარმოებლები არიან დაინტერესებულები",** - ამბობს ცენტრის დირექტორი გელა კობეშავიძე.

ეს ყველაფერი კარგად იციან სიგარეტის ადგილობრივმა მწარმოებლებმაც, თუმცა დასავლეთის გამოცდილების გაზიარებას მაინც არ აპირებენ. ქართველი ბიზნესმენები აღიარებენ, რომ მათთვის 2000 ლარი მართლაც "ჯიბის ფულია", მაგრამ ხსენებული საქმისთვის მაინც არ ემეტებათ.

კომპანია "სამგორი", რომელიც ცნობილია სიგარეტების - "პირველის", "მტკვრის" და "პატრიოტის" წარმოებით, ყოველთვიურად ათასობით ლარს ხარჯავს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნებისთვის, მაგრამ თამბაქოს ეროვნული ცენტრის მოთხოვნის შესრულებას პრინციპულად არ აპირებს. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, რუსუდან ლაგვილავამ "24 საათთან" საუბრის დროს აღნიშნა: **"2000 ლარი გადავიხადოთ იმისთვის, რომ დაზარალებული გამოვაჯანსაღოთ, ეს, ფაქტობრივად, იმის აღიარება გამოდის, რომ ჩვენი ნაწარმი აავადებს მოსახლეობას, რაც, გარკვეულწილად, ანტირეკლამაც არის. ამიტომ ჩვენთვის ეს ფორმა მიუღებელია."**

ბუნებრივია, რომ თამბაქოს ეროვნული ცენტრი ასეთ პოზიციას მიუღებლად მიიჩნევს. ამიტომაც საკომპენსაციო გადასახადის ამოღებას ის იძულებით, სასამართლოს დახმარებით შეეცდება. **29 მარტს საქართველოს მასშტაბით მოეწყობა ყოველწლიური აქცია "საქართველო თამბაქოს გარეშე"**, სადაც მიიწვევენ თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებელ და იმპორტიორ კომპანიებს. აქციის დროს თამბაქოს ეროვნული ცენტრი, მათ, იგივე მოთხოვნებს უკვე საჯაროდ წაუყენებს. იმ შემთხვევაში თუკი კომპანიები გაჯიუტდებიან, მათ თავის მართლება უკვე სასამართლოში მოუწევთ. **"ჩვენ გვყავს ასეულობით დაზარალებული, რომლებსაც სასამართლოში მოწმეებად წავიყვანთ და გარწმუნებთ, თამბაქოს მწარმოებლებს გაცილებით მეტს წავართმევთ, ვიდრე ახლა მოვითხოვთ",** - იმუქრება გელა კობეშავიძე.

საზოგადოებრივ ფონდში საკომპენსაციო გადასახადების შეტანის გარდა, თამბაქოს ეროვნული ცენტრი სიგარეტის ბიზნესით დაკავებული კომპანიებისგან მოითხოვს: აიკრძალოს სიგარეტის ტელე, საგაზეთო, აუდიო და გარე რეკლამა; თამბაქოს ნაწარმში ტოქსიკური ნაერთების შემადგენლობა გაუთანაბრდეს კანონით დასაშვებ ზღვარს; მკაცრად გაკონტროლდეს ის ტერიტორია, სადაც იყიდება თამბაქოს ნაწარმი. ეს ეროვნული ცენტრის ის ძირითადი მოთხოვნებია, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაშიც თამბაქოს ადგილობრივ მწარმოებლებს, იმპორტიორებს და რეალიზატორებს თავის დაცვა ამჯერადაც სასამართლოში მოუწევთ.

**"ჩვენმა ცენტრმა ჩაატარა სპეციალური ლაბორატორიული შემოწმება და აღმოჩნდა, რომ სიგარეტის კოლოფზე მითითებული მაჩვენებლები არ შეესაბამება რეალურ მონაცემებს. თითქმის ყველა დასახელების თამბაქოს ნაწარმში ფისის და ნიკოტინის რაოდენობა დასაშვებზე 2-3 მილიგრამით მეტია",** - გვითხრა თამბაქოს ეროვნული ცენტრის მენეჯერმა, დავით მესხიშვილმა.

# ნავთობსადენის ზონაში მოხვედრილ მოსახლეობას პირობების გაუმჯობესებას ჰპირდებიან

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ირგვლივ ატეხილმა აჟიოტაჟმა საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ბორჯომელები, ძალზე შეაშფოთა. ჩვენი ქვეყნისთვის ამ მნიშვნელოვან სიახლეს, ბევრი მათგანის აზრით, სიკეთის გარდა, სერიოზული ზიანის მოტანაც შეუძლია.ალბათ, ამიტომაა, რომ ნავთობსადენის კონსორციუმმა მოსახლეობის გულის მოგება განიზრახა.*

ნანა ქადაგიშვილი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის კონსორციუმი მილსადენის დასავლეთით მდებარე - წალკის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონების 37 სოფლის მოსახლეობას ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ჰპირდება. შექმნილია პროგრამა, რომელსაც მილსადენის მშენებარე კომპანიები დააფინანსებენ. ზემოთ ჩამოთვლილ რაიონებში მისი განხორციელება, დაახლოებით, ორ თვეში დაიწყება. ამ პროგრამით კონსორციუმი ორი კურდღლის დაჭერას აპირებს - ნავთობსადენსაც დაიცავს და მოსახლეობასაც შემოირიგებს.

ნავთობსადენის მშენებლობის ზონაში მცხოვრებთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების პროგრამას განახორციელებს 5 ორგანიზაცია: "ქეა", ფონდი - "კონსტანტა", "ტექნიკური დახმარება საქართველოში", საერთაშორისო ფონდი "კურაციო" და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ფინანსების მიზნობრივად დახარჯვაზე პასუხიმგებლობას "ქეა" იღებს. "ქეა" თითოეულ თეთრს აღრიცხავს, რათა თანხა მიზანმიმართულად დაიხარჯოს", - აცხადებენ პროგრამის ორგანიზატორები.

პროგრამა აღნიშნული რაიონების სოფლებში ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ინვესტიციების ჩადებას ითვალისწინებს. პირველ ეტაპზე ადგილობრივი მოსახლეობისგან შეიქმნება 5-15 კაციანი საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პროგრამის ორგანიზატორებს მოსახლეობასთან ურთირთობის დამყარებაში დაეხმარება (მაგალითად, დანგრეული სკოლა, საბავშვო ბაღი, გზები, რის გაკეთებასაც ვერც მოსახლეობა ახერხებს და ვერც ჩვენი სახელმწიფო). ხსენებული პროგრამის მიხედვით, პრობლემების ფინანსური და მორალური მხარე მოგვარდება. მორალურ დახმარებად ითვლება გარემონტებული შენობის, თუ გზის მოვლა-პატრონობის სწავლება. "ქეა" ეცდება, მოსახლეობას ცხოვრების პირობებიც გაუუმჯობესოს და, საერთოდ, პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარებაც ასწავლოს", - გვარწმუნებენ პროგრამის ორგანიზატორები. ამ საქმისთვის გათვალისწინებულია 400-ათასდოლარიანი გრანტი, რომელიც 37 სოფელზე გადანაწილდება. პროგრამაში მცირე ბიზნესის განვითარებისთვის კრედიტების გაცემაც შედის. ოღონდ, თავდაპირველად დაფინანსდება მხოლოდ მომგებიანი პროექტები, მომავალში კი კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზეც გაიცემა.

# მომავალ სეზონამდე!

## ბაკურიანი - ვინ ისვენებს, ვინ შრომობს და ვინ ტყეს აჩანაგებს...






*ასე წარმოადგენს ბაკურიანს ერთ-ერთი სამოგზაურო ინტერნეტ საიტი*

ირინე სანებლიძე

*ბაკურიანს ასეთი ზამთარი არ ახსოვს: თოვლი წელს "წუწკურად" მოვიდა. ამას ბაკურიანლები გაჩეხილი ტყეებით და ბუნების მკაცრი კანონზომიერებით ხსნიან; ცოტა იყო დამსვენებელიც. მალე სეზონი დამთავრდება და ბაკურიანში, ადგილობრივების გარდა, აღარავინ დარჩება. სტუმრები მოგონებებით, ბაკურიანლები კი - ზაფხულამდე, საარსებო წყაროს მოლოდინში დარჩებიან...*

### ასეთებიც ხდება...

ბაკურიანში ნებისმიერ სეზონზე დიდიან-პატარიანად, თურმე, ყველა შრომობს. თავისუფალი დრო ადგილობრივებს ზამთარში საერთოდ არ აქვთ; თუ აქვთ და ისვენებენ: დასაძინებლად ადრე წვებიან, რომ მეორე დილის ალიონიდანვე ისევ იშრომონ.

თბილისურ "დამეხმარეს" აქ ვერ გაიგონებთ. უმცროსები, სწავლისაგან თავისუფალ დროს, ასაკის და სქესის განურჩევლად, უფროსებს საქმიანობაში ეხმარებიან; თუ ზამთარია - თხილამურებზე გიჟივით სრიალებენ, რაც ყველა ბაკურიანელს ყველაფერს ურჩევნია.

ადგილობრივები, ზამთარში, განსაკუთრებული აქტივობით შრომობენ, რადგან მთელი წელი, ძირითადად, ამ სეზონზე ნაშოვნი სახსრებით არსებობენ. როცა თანხა შემოელევათ, აღარც „ტირილში" მიდიან და აღარც ქორწილში, ან დაბადების დღეზე - როგორც წესი, ავადმყოფობას მოიმიზეზებენ ხოლმე.

„ფულის გასაკეთებლად" აქ წალვერიდან, ბორჯომიდან და ხაშურიდანაც ამოდიან. აქაურ ბიზნესში მასპინძლები ოჯახებით არიან ჩართულები: ისინი ან კვების ობიექტებს მართავენ (სადაც ოჯახის თავი „უფროსობს", დიასახლისი სამზარეულოში ტრიალებს, შვილები კი მიმტანებად მუშაობენ), ან მთელ ბაკურიანში მიმოფანტულები არიან და ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს.

პატარა ბაკურიანში ბიზნესის საწარმოებლად დიდი არჩევანია. ზოგი ბინას, ზოგიც თხილამურებს ან ციგებს აქირავებს. ვისაც მანქანა ჰყავს, "ტაქსაობს". ვისაც „ბურანი" ჰყავს ნაირ-ნაირი „ნაკლეიკებით" აჭრელებს, რომ დამსვენებელს თვალი მოსჭრას და არჩევანიც თავის სასარგებლოდ გააკეთებინოს.

იგივე მიზნითაა მორთული მარხილები და ეტლებიც. ერთი ბაბუ თავს იმით იწონებს, რომ მის ეტლში „ქეთო და კოტე არიან ჩაკარტოჩკებულები". "ბურანების", მარხილების, ეტლების და ცხენების პატრონები, რიგის გამო, არ ჩხუბობენ - აქაოდა, ჩემი ჯერიაო. ისინიც დამსვენებლის არჩევანზე არიან მინდობილები, ამდენად წარმოიდგინეთ, „ურაგანი", „ბუიანი", „კუკლა", „ჯეირანი", „ჯონდო", „ბონდი", „კლაუდია შიფერი", „მადონა", „მარადონა" და სხვა სახალისო სახელების მქონე ცხენები როგორ არიან მორთულები, ზოგს პომპონი ჰკიდია თავზე, ზოგს-საყურე ყურზე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასობით ადამიანი, მთელი წელი, ზამთრის სეზონზე ნაშოვნით არსებობს, ადვილი გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ არის ბაკურიანში ყველაფერი ძალიან ძვირი. ტრადიციულ ბაზარში, ზამთარში არატრადიციული ფასებია, რაც ცხადია, დამსვენებელზეა გათვლილი. თბილისის ბაზრობის ძირითად საქონელს აქამდეც ჩამოუღწევია. დახლებთან თუ ჯიხურებთან არაერთხელ დაინახავთ თვალებაჭრელებულ ბავშვს, რომელიც ტირილშეპარული ხმით მშობელს ემუდარება - „მიყიდე რამე!!!"

ერთ დახლთან ასეთი შემთხვევაც მომხდარა: მშობელს 50 ლარიანი კუპიურა მიუცია გამყიდველი ბებოსთვის, რომელსაც თამარ მეფე ვერ ამოუცვნია და მყიდველი ვალუტის გადამცვლელი პუნქტისკენ გაუგზავნია - ჩვენ ვალუტაზე არ ვვაჭრობთო.

ბაკურიანში იყიდება ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლება და არ შეიძლება...

### ხალხმა ყველაფერი იცის...

ბაკურიანლების მტკიცებით, ბორჯომ-ბაკურიანის ხე-ტყის მეექვსედიც კი აღარ არის დარჩენილი. ადგილობრივების ინფორმაციით, ბორჯომისა და ბაკურიანის ტყეში დაჩეხილი შეშით საზამთროდ სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი მარაგდება. გარდა ამისა, ხე, როგორც საშენი მასალა, ბორჯომსა და ბაკურიანში ძალიან იაფია და, შესაბამისად, მასზე მოთხოვნა საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან დღითიდღე მატულობს.

სარფიანი ბიზნესისთვის და სამცხე-ჯავახეთის მოსამარაგებლად ხეების მოჭრა, თურმე, მაისის ბოლოდან იწყება და ოქტომბრამდე გრძელდება. განსაკუთრებით, როცა მოსაღამოვდება, მაშინ შეესევიან ხოლმე ტყეებსო, - გვითხრა ხნიერმა მეეტლემ. მისი თქმით, დღეში 500-600 ხე, როგორც მინიმუმი იჭრება.

წლების წინ, ხის მოჭრის ფრთხილ და განსაკუთრებულ ხერხს იყენებდნენ იმისთვის, რომ ხის ძირი არ დაზიანებულიყო, ნეშომპალად ადვილად ქცეულიყო და ახალი ხე გაზრდილიყო. „ახლა კი, ვიღა დაეძებს ძველ წესებს, ხეები ისე იჭრება, მათ ადგილას ცოცხალი აღარაფერი გაიზრდება. ზამთარში კიდე ისე არ ჩანს, ხის კუნძებს თოვლი ფარავს. თვალის ასახვევად, ტყის განაპირა ზოლს ხელს არავინ კიდებს, თორემ სულ შიგნიდანაა ტყეები გაჩეხილი, ზემოდან რომ დახედოთ, ალაგ-ალაგ, ბლუჯა-ბლუჯაა ტყე ამოღრუტნული", - გვითხრეს ბაკურიანლებმა.

"ტყე თუ არ იქნა, აღარც ის სუფთა ჰაერი იქნება, რისთვისაც ბაკურიანს ეტანებიან. მერე კი, დასხდნენ და ითვალონ თაიანთი მილიონები, დატკბენენ ძვირფასი მანქანებით და სახლებით. ეს ეყოფათ იმათ შვილებს და შვილიშვილებს?!", - რიტორიკულად იკითხა ხნიერმა მეეტლემ.

ბაკურიანის ხე-ტყეს, გასათბობად, ადგილობრივებიც იყენებენ. მათი აზრით, 1200 კომლის სამყოფ შეშას ბაკურიანის ტყე აიტანს; ის კი არა, ახალქალაქსაც გაათბობსო, რომ არა „ზოგიერთების გაუმაძღარი მუცელი".

ამასობაში, ბაკურიანის პარკი შემელოტებულ კაცს დაემსგავსა; კოხტა გორას კი, თუ ადრე ქარი საერთოდ არ ეკარებოდა, შეთხელებული ტყიდან ნელ-ნელა უკვე შეეპარა.

„რაც არ იჩეხება, რიგდება და იყიდებაო", - მეეტლემ ბაკურიანის მიწები იგულისხმა. კოხტა გორისა და პარკის ტერიტორიის გარდა, ბაკურიანში თითოეული მტკაველი მიწა იყიდება და ძვირადაც ფასობს. ბაკურიანლების უმეტესობა წლების წინ სათივეებად დარიგებულ მიწას უკვე ყიდის გაჭირვების გამო. მიწის ძველი და ახალი მეპატრონეები შეძლებისდაგვარად უვლიან თაიანთ კუთვნილ კარ-მიდამოს; ეს კია, რომ საერთო ავტო-საგზაო მაგისტრალს არაფერი ეშველა... არ ვიცით, როგორი იყო მე-19 საუკუნის ვლადიკავკაზამდე მიმავალი გზა, მაგრამ გულ-მუცელის აღლვებვა ბორჯომ-ბაკურიანის გზებზეც შესაძლებელი ყოფილა. საკვირველია ძვირადღირებული სასტუმროების მეპატრონეთა უმოქმედობა. გზების პრობლემით კერძო სექტორი, ალბათ, ისევე უნდა იყოს დაინტერესებული, როგორც სახელმწიფო, რომელსაც, რომ ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაუსახავს. როგორც ჩანს, ეს ავტო-საგზაო მაგისტრალი საბჭოეთის დროიდან არავის გახსენებია.

ძველი დროიდან შემორჩენილი ფოსტა და „კუკუშკა" ჯერ კიდევ მუშაობს. პარკში, სადაც ნამუსიანი ხალხისთვის თითოეულ ხეზე ნაგვის წითელი ვედროები ჰკიდია, დიდი ხანია, გაჩერებულია საქანელები. კინოთეატრის გარეშე დარჩენილი ბაკურიანლები, შესაძლოა, ბიბლიოთეკის გარეშეც აღმოჩნდნენ. ორივე შენობა ნახევრად დანგრეულია და ბაკურიანის ცენტრში უფუნქციოდ დგას. ბაკურიანლები ვარაუდობენ, რომ ხელსაყრელი ვითარების და ადგილის გამო, მათ დიდ ხანს არავინ გააჩერებს და ვინმე აუცილებლად შეისყიდის.

ბაკურიანში სსრკ-ს დროინდელი, თითქმის, არც ერთი შენობა შეუსყიდავი არ დარჩენილა. თითქმის, ყველა ძველი ბაზა და სასტუმრო შესყიდულია. ძველმა „გასტრონომებმა", სასადილოებმა სახე იცვალეს და გაჩნდა თანამედროვე მინი-სუპერმარკეტები, კაფე-ბარები, რესტორნები, გარემონტებული და ახალი სასტუმროები.

მათ მფლობელებზე ჭორები აქაც და იქაც დადის, მაგრამ, როგორც ბაკურიანლები ამბობენ, ბაკურიანში არაფერი იმალება და ხალხმა ყველაფერი იცის. თუმცა, მთავარი მაინც ისაა, რომ ბევრი ახალი მშენებლობა მიმდინარეობს, რაც, იმედია, ადგილობრივების დასაქმების პერსპექტივასაც გააჩენს.

დასაქმების პრობლემა აქაც აქტუალურია. სპეციალობით აქ, როგორც გვითხრეს, მარტო ერთი სტომატოლოგი და სამთო-სათხილამურო სპორტის მწვრთნელები მუშაობენ.

არაერთი სამთო-სათხილამურო სკოლის მიუხედავად, ბაკურიანელ მწვრთნელებზე მოთხოვნა მაინც დიდია. მათთვისაც ზამთრის სეზონი წლიური საარსებო მინიმუმის დაგროვების საშუალებაა. ინსტრუქტორებისთვის ძნელი სამუშაოა, როცა სათხილამურო, საშუალო სიგანისა, ზოგჯერ – ოღრო-ჩოღრო ტრასებზე ერთდროულად სრიალებს ათობით დამწყები, მოყვარული და პროფესიონალი მოთხილამურე. გასაგებია, რომ დისკომფორტი ყველასთვის იქმნება და ამიტომაც არის ტრასებზე ერთი წიოკი – „გაიწიე!.. გამატარე!.. ფრთხილად!.."

წიოკი რამდენჯერმე სხვა მიზეზითაც ამტყდარა: კაფე-ბარი „კოხტა გორას" მიმდებარე ტერიტორიიდან ერთმა თხილამური, ვიღაცამ კი ჯოხები დაკარგა, ზოგს ხელთათმანები აღარ დახვდა მაგიდაზე...

საერთოდ, ქურდობა და სხვა სახის დანაშაული ბაკურიანში, თურმე, ხშირად არ ხდება. ბაკურიანლების თქმით, არასეზონზე, ძველქართულად „დიდიდიდი ცხენს თუ გაიტაცებენ", რომლებიც გასაყიდად, ძირითადად, ყაბარდოში კი არა, გორში გადაჰყავთ. არასეზონზე ავტომანქანებს ღია კარითაც კი ტოვებენ; სეზონზე კი დამსვენებელს და შარს ერიდებიან. „აქაურები ცდილობენ ჩამოსულებს მოერიდონ, სახლში დროზე მივიდნენ და სასმელი ზომიერად დალიონ, რომ დამსვენებელთან ჩხუბი არ მოუვიდეთ", - გვითხრა ხნიერმა მეეტლემ.

სასმელი ბაკურიანლებს ისევე უყვართ, როგორც ყველა ქართველს; თუმცა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ზამთარში „დამსვენებელი უფრო ლოთობს", ვიდრე - ბაკურიანლები. „საქეიფოდ და გასართობად სად გვცალია, მერე მთელი წელი რა ვჭამოთ, ჩვენს მაგივრად ვინ იშრომებსო", - გვითხრა ოცდაექვსი წლის ვალიკომ.

აქ ისევე ერთობიან, როგორც მთელ საქართველოში, უბრალოდ, როგორც ერთმა ბაკურიანელმა გვითხრა, ინტერესებში და „რაზმახებშია" განსხვავება. ზოგი კარტს თამაშობს, ზოგიც მეგობრებთან ერთად ქეიფობს, ვიღაც წყნარად ტელევიზორს უყურებს. ზოგს კასეტაზე ჩაწერილი აქვს ქართული და რუსული, წინა წლების საახალწლო კონცერტები და ხანდახან ამითიც ირთობს თავს.

ბაკურიანლებისთვის ზამთარი შრომასთან ერთად, გამოცოცხლების, და გახალისების სეზონიცაა. მომავალ სეზონამდე პეპლების საჭერად მაინც ჩამოდითო, - ეპატიჟებიან მასპინძლები დამეგობრებულ დამსვენებლებს...

# ციხეში გათხრილი ყველა გვირაბი თავისუფლებამდე არ მიდის

სოფო ჩხაიძე

სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის კიდევ ერთი მცდელობა დაფიქსირდა.

მეხუთე საპყრობილის პატიმარი მალხაზ ქებაძე საკუთარ საკანში თხრიდა ორმოს და ასე აპირებდა ციხიდან თავის დაღწევას.

მალხაზ ქებაძის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ნუსხა საკმაოდ შთამბეჭდავია. მან, სამი წლის წინ, საკუთარი ბიძაშვილები დახოცა. ამ მკვლელობისთვის უზენაესმა სასამართლომ 2001 წელს მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ქებაძე სამუდამო სასჯელს N1 საპყრობილეში იხდიდა. იქ მას მეორე დანაშაულის ჩადენაში ადანაშაულებენ. ინციდენტი 6 იანვარს მოხდა. გამოძიების მონაცემების თანახმად, მალხაზ ქებაძემ საპყრობილის უსაფრთხოების ოფიცერი კოკაია მძიმედ დაჭრა. ამჟამად, განზრახ მკვლელობის მცდელობის გამო, მიმდინარეობს გამოძიება და სწორედ ამიტომ გადაიყვანეს პატიმარი მეხუთე იზოლატორში. გამოძიების ხელთ არსებული მასალების თანახმად, ქებაძემ საპყრობილის თანამშრომელი იმის გამო დაჭრა, რომ მის საუბარში ეჭვი შეიტანა – აგენტობას მთავაზობსო. სწორედ ამ საქმის გამოძიების პროცესში სცადა პატიმარმა საპყრობილიდან გაქცევა. ნახევრად სარდაფის ტიპის საკანში, რომელშიც ქებაძე მარტო იმყოფებოდა, შემოწმებისას ორი მეტრი სიღრმის ორმო იპოვნეს. შემოწმება საკნებში, ჩვეულებრივ, ყოველდღე, იმ დროს ტარდება, როცა პატიმრები სასეირნოდ არიან გაყვანილები. თუმცა, ქებაძის საკანი გუშაგებს რამდენიმე დღის მანძილზე არ დაუთვალიერებიათ – 3 მარტის შემდეგ პატიმარი სეირნობაზე უარს ამბობდა. 11 მარტს, ღამით, საკნის დათვალიერება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარდა – ვიღაცამ საპყრობილის ადმინისტრაციას ქებაძის გათხრების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. საკანში კი ორი მეტრის სიღრმის ორმო აღმოაჩინეს. თუმცა, ეს ორმო შესაძლოა, სულაც არ გახდეს ქებაძის წინააღმდეგ მორიგი ბრალდების წაყენების ანუ გაქცევის მცდელობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზეზი. როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოკვლევის სამსახურის უფროსმა მიხეილ ფხაკაძემ განაცხადა: იმისათვის, რომ დადგინდეს, შეიცავს თუ არა ქებაძის მიერ გვირაბის თხრის ფაქტი დანაშაულის ნიშნებს, სერიოზული მოკვლევითი სამუშაოებია ჩასატარებელი. კერძოდ, უნდა გაირკვეს, რამდენად რეალურია, ქებაძეს ამ გზით გაქცევა განეხორციელებინა. ფხაკაძის თქმით, ქებაძე ციხის კედლებს რომ გასცდენოდა, სულ ცოტა – 35 მეტრიანი გვირაბი უნდა გაეთხარა. მისი საკნის ფართობი, სულ რაღაც, 17 კვადრატულ მეტრს თუ შეადგენს. საეჭვოა, რომ ამოღებული მიწა ამ საკანში საერთოდ დატეულიყო; შესაბამისად, მისი განზრახვის სისრულეში მოყვანაც შეუძლებელი იქნებოდა.



საკანი, საიდანაც პატიმარმა გაქცევა სცადა.

# ამერიკული სამართალი ტერორიზმში ეჭვმიტანილებზე არ ვრცელდება



გუანტანამოს ბაზაზე მყოფი ტყვე

REUTERS

ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრებს, რომლებსაც კუბაზე ამერიკის გუანტანამოს სამხედრო ბაზაზე ამყოფებენ, უფლება არ აქვთ, მოითხოვონ მათი საქმეების ამერიკულ სასამართლოში განხილვა. სასამართლოს ეს ვერდიქტი ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის სერიოზულ გამარჯვებად ჩაითვალა. მოსამართლის არგუმენტაცია კი ასეთი გახლდათ: გუანტანამოს ბაზაზე მყოფი პატიმრები, რომლებიც თალიბებთან და "ალ ქაიდასთან" კავშირში არიან ეჭვმიტანილნი, შეერთებული შტატების ტერიტორიის გარეთ მყოფი უცხო ქვეყნების მოქალაქეები არიან და, ამერიკის კონსტიტუციით, უფლება არ აქვთ, რომ დაცვაზე პრეტენზია ჰქონდეთ.

შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა ჯონ ეშკროფტმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვება" უწოდა. სამაგიეროდ, ადამიანის უფლებების დამცველები აკრიტიკებენ ეშკროფტს და ამბობენ, რომ დღემდე ირღვევა გუანტანამოს ტყვეების ელემენტარული უფლებები. ცოტა ხნის წინათ იქ დატყვევებული 16 პატიმრის ნათესავები ჩიოდნენ, რომ მათი ახლობლები კუბაზე განლაგებულ სამხედრო ბაზაზე ისე ჰყავთ გამომწყვდეული, რომ მათთვის ბრალდებებიც კი არ წარუდგენიათ. ამ 16 პატიმრიდან - 12 კუვეიტელი, ორი ბრიტანელი და ორიც ავსტრალიელია. მათი ადვოკატები ამტკიცებენ, რომ რადგან გუანტანამო, ფაქტობრივად, შეერთებული შტატების კონტროლირებადი ზონაა, იქ მყოფმა პატიმრებმა უნდა ისარგებლონ იმავე უფლებებით, რა უფლებებიც ენიჭებათ ადამიანებს, რომელთა საქმეებსაც განიხილავს ამერიკული სასამართლო.

დღეს ამ ბაზაზე 650-მდე პატიმარი იმყოფება. ყველა მათგანს სააპელაციო სასამართლომ ამერიკული სამართალწარმოების სათავისოდ გამოყენების საშუალება აღუკვეთა. სააპელაციოს გადაწყვეტილებამდე ქვედა ინსტანციის სასამართლომაც დაადგინა, რომ ამერიკის სამართლებრივი სისტემა არ უნდა ვრცელდებოდეს გუანტანამოს ტყვეებზე. ამ ვერდიქტის არგუმენტაცია ასეთია: პატიმრები ამერიკის სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან, რადგან გუანტანამო კუბის საკუთრებაა და ამერიკელებს იქაურობა მხოლოდ იჯარით აქვთ აღებული.

ისევე როგორც ქვედა ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კუვეიტელი პატიმრების ადვოკატებს ძალიან აშფოთებთ. მათი თქმით, სააპელაციო სასამართლომ ძალზე საშიში პრეცედენტი შექმნა.

"ეს ამერიკის სამართლიანობის პრინციპების კრახია. გადაწყვეტილება "მწვანე შუქს უნთებს" ამერიკის ოფიციალურ პირებს საიმისოდ, რომ უცხოელები სამართლებრივი ველის გარეთ ამყოფონ", - ნათქვამია ადვოკატების განცხადებაში.

ასევე მსჯელობენ ადამიანის უფლებების დამცველებიც. "ტერორიზმთან ბრძოლის დროს დაკავებული ადამიანების ბრალის წარუდგენლად და სამართლებრივი დაცვის უფლების გარეშე პატიმრობაში ყოლამ შესაძლოა, "ამერიკული გულაგის" ჩამოყალიბებამდე მიგვიყვანოს", - ამბობენ "საერთაშორისო ამნისტიის" ამერიკის განყოფილების წარმომადგენლები.

ტერორიზმში ეჭვმიტანილთა უფლებების დამცველებს ერთადერთი იმედიღა დარჩათ – ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. მხოლოდ იქ შეიძლება სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტის გასაჩივრება.

# საქართველოში სერიოზული დანაშაული არ ხდება - ვითომ?

პირველი გვერდიდან

აღმოჩნდა, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოში, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს ემსახურება, გასული წლის განმავლობაში არ შესულა არც ერთი კორუფციული დანაშაულის გამოძიების მასალები. მეტიც, მამალაძის თქმით, სასამართლოში შესული ყაჩაღობა-ქურდობა-მკვლელობების საქმეების რაოდენობის მიხედვით, კრიმინოგენური ვითარების გაუარესებაზე მსჯელობა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად შეიძლება მოგეჩვენოთ.

რაც შეეხება კორუფციულ დანაშაულებს, მაღალი რანგის თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი ასეთი სახის დანაშაულს ქუთაისის საოლქო სასამართლო საერთოდ არ იცნობს. მამალაძის ინფორმაციით, შარშან, სასამართლოში, მექრთამოების მხოლოდ 6-7 საქმე თუ შევიდა: **"სახელს და გვარს არ გეტყვით, მაგრამ საქმე ეხება, მაგალითად, არქიტექტურის დარგის ყველაზე დაბალი რანგის ჩინოვნიკს, რომელმაც ვიღაცას ნახაზის შედგენაში 100 ლარი გამოსძალა. ასევე არის პედაგოგი, რომელსაც იმდენად მძიმე ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა, რომ იძულებული გახდა, ატესტატის გაცემაში აელო 150 ლარი. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მექრთამეობის და კორუფციული დანაშაულის სერიოზული საქმე სასამართლოში არ შემოსულა",**- აცხადებს საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე. როგორც ჩანს, სამართალდამცავი ორგანოები, ბობოლა ჩინოვნიკებთან შებმას ჯერჯერობით ვერ ბედავენ. წვრილი ჩინოვნიკები კი მარტივად "გამოსაჭერნი" არიან; თანაც, მათ არც ძლიერი მფარველები ჰყავთ და, რაც მთავარია, სტატისტიკაში ეთვლებათ. ხარისხობრივ მაჩვენებელს კი ყურადღებას არავინ აქცევს. ეს რაც შეეხება მექრთამეობის ფაქტებს, მაგრამ იმავე სასამართლოს მაგალითზე აღმოჩნდა, რომ ცუდადაა საქმე ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისითაც.

აღნიშნულ ინსტანციამდე არ მიუღწევია სახელმწიფოს წინააღმდეგ ეკონომიკური დანაშაულის შემცველ ისეთი საქმეებს, რომლებმაც ქვეყანას დიდი ზიანი მიაყენა. რაც შეეხება ჩანთებით და მსუბუქი ავტომობილებით საბაჟოზე გადმოტანილ საქონელს, ასეთი ფაქტები უამრავია. მათი გამოლენა კი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას არ ემსახურება; სამაგიეროდ, სამართალდამცავებს გაკეთებულ საქმეში ეთვლებათ.

**"ჩვენი განსასჯელია დიდი ოდენობის კონტრაბანდის ფაქტები. ასეთი საქმე კი ჩვენთან საერთოდ არ შემოსულა. ყველაზე იდეალური შემთხვევაა, როდესაც სასამართლოში კონტრაბანდული საქონლით დატვირთული ერთი სატვირთო მანქანის მფლობელის საქმე მოდის. ეკონომიკას კი დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საქონლის შემოტანა ანგრევს. თუკი ასეთი ფაქტები არ ვლინდება, მაშინ რატომ ამბობენ, რომ აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით კონტრაბანდა შემოდის? საინტერესოა, სად მიდის ეს ტვირთები? უფრო მეტსაც გეტყვით, ძალიან ხშირად იძახიან, რომ საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანააო. საოლქო სასამართლოში არც ისეთი ნარკოტიკების გამსაღებელზე შემოსულა სერიოზული საქმე, რომლის დაკავებაც სინდიკატს დარტყმას მიაყენებდა. მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობის ნარკოტიკების გასაღებაზე მრავალ საქმეს ვიხილავთ. მართალია, ესეც დანაშაულია, მაგრამ მისი აღკვეთა საბოლოო შედეგის მისაღწევად არაფერს იძლევა",** - მიაჩნია მამალაძეს.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი - სასამართლო სტატისტიკის მიხედვით, პირველი ინსტანციით განხილული სისხლის სამართლის საქმეების 80 პროცენტი, თურმე, არც ერთი მხარის მიერ არ საჩივრდება. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ეს, ცოტა არ იყოს, აეჭვებს: **"თუკი სასამართლოში გამოტანილი გადაწყვეტილებების 80 პროცენტი იმდენად სწორია, რომ პროკურორსაც მოსწონს და მსჯავრდებულის მხარესაც, მაშინ ვის ხარჯზე ხდება გადაწყვეტილების მიღება?"** – მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს მამუკა მამალაძე და მთავარ დაზარალებულად სახელმწიფოს მიიჩნევს.

# ვაჰაბიტური დაჯგუფების პანკისელი ხელმძღვანელი დაპატიმრებულია

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი კვირის წინ, პანკისის ხეობაში შინაგანი ჯარის პატრულის მანქანებზე შეიარაღებული თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეს ახმეტის რაიონის სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. სოფელ ჯოყოლოდან ბირკიანში გადასასვლელ გზაზე ჩასაფრებულმა თავდამსხმელებმა, მაშინ, საპატრულო მანქანებს ცეცხლი გაუხსნეს. ჯარისკაცებით სავსე საპატრულო მანქანების დაცხრილვას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. თავდამსხმელებმა კი საპასუხო სროლის გახსნამდე მოასწრეს მიმალვა. თავდამსხმელთა რაოდენობა მაშინ ჯარისკაცებმა ვერ განსაზღვრეს, თუმცა მაშინვე დადგინდა, რომ სროლა სამი ავტომატიდან ხორციელდებოდა. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად ერთ-ერთი ავტომატი, რომელიც თავდამსხმელებმა გამოიყენეს, უკვე ამოღებულია, მისი პატრონი – ჯოყოლოელი ცეზარ ბორჩაშვილი კი წინასწარი დაკავების საკანშია.

**"ცოტას ამოვისუნთქავთ და დავისვენებთ. გვაიძულებდა, ვაჰაბიზმის მიმდევრები გავმხდარიყავით. თვითონ ერთ-ერთი სერიოზული ვაჰაბიტური დაჯგუფების სულიერი მამა და ორგანიზატორია, "ვოჟდს" ეძახიან. ოცდაათამდე ახალგაზრდას აუბნია თავგზა, ვაჰაბიზმი შეაყვარა და დაუნდობლები გახადა. ამ კაცს სოფლის მოსახლეობა დაშინებული და დატერორებული ჰყავდა. წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა",** – ასე ახასიათებენ ჯოყოლოელები ცეზარ ბორჩაშვილს, რომელიც სოფელში ჯამბულის სახელით არის ცნობილი. ჩვენი ინფორმაციით, მისი ძმაც ვაჰაბიტია და ის ჩეჩნეთში რამდენიმეთვიანი ვოიაჟის შემდეგ, ცოტა ხნის წინ, დაუბრუნდა პანკისის ხეობას. პანკისის ხეობაში იმასაც ამბობენ, რომ ცეზარ ბორჩაშვილი კურიერის როლსაც ასრულებდა – აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ვაჰაბიტური დაჯგუფებებისთვის ფული შემოჰქონდა. ჩვენი ინფორმაციით, ცეზარ ბორჩაშვილი ამ მოტივით ცოტა ხნის წინაც ყოფილა დაკავებული, თუმცა ორ დღეში გაუთავისუფლებიათ, რადგან შემოწმებისას მას ეს ბრალდება არ დაუმტკიცდა.

ბორჩაშვილი საკუთარ სახლში დააკავეს. მისი საბძლიდან კი ის ავტომატი ამოიღეს, რომელიც პოლიციელებზე თავდასხმისას გამოიყენა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბორჩაშვილმა თავდაპირველად უარყო საპატრულო ავტომანქანებზე თავდასხმაში მონაწილეობა და თავდასხმის ორგანიზატორად საკუთარი ძმა დაასახელა. შემდეგ კი აღიარა – მე ვიყავიო. როგორც ჯოყოლოელები ამბობენ, ცეზარ ბორჩაშვილი საკუთარი ძმის მიმართაც დაუნდობელია. **"ჯამბულის ძმამ ჩეჩნეთში იმუშავა, ფული იშოვა და დაბრუნდა. საკუთარ სახლში მობრუნებული უმცროსი ძმა უფროსმა ვერ აიტანა; ეგონა, სახლს წაართმევდა. ამის შემდეგ მათ ურთიერთობა დაეძაბათ",** – აცხადებენ ბორჩაშვილების თანასოფლელები.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, უკვე დადგენილია, რომ პანკისის ხეობაში ორი კვირის წინ მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში რაციებით აღჭურვილი 6-7 ადამიანი მონაწილეობდა. მათგან რამდენიმე - ძებნილი დამნაშავეაა.

# დააკავეს „ჟიგულებზე" მონადირე ორი ჯგუფი

თამარ კაციტაძე

პოლიციელთა მუდმივი პრეტენზიები იმის გამო, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემამ მუშაობა გაართულა და ციხიდან მართული დანაშაულის პროფილაქტიკა შეუძლებელი გახადა, განსაკუთრებით მანქანების გატაცების ბიზნეს ეხებოდა. ყველა დონეზეა გახმაურებული ისიც, რომ გატაცებული მანქანების დაბრუნება მხოლოდ ციხეში მყოფი ე.წ. "კანონიერი ქურდების" დახმარებით არის შესაძლებელი. ამჟამად ეს პრობლემა, როგორც ამბობენ, ნაწილობრივ მოიხსნა, რასაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პოლიციის შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლობის გაუმჯობესებას უკავშირებენ. სწორედ ამ ურთიერთთანამშრომლობას მიაწერენ თბილისის პოლიციის სამმართველოში იმასაც, რომ ბოლო ხანებში მანქანების გამტაცებელთა გამოვლენა გაიოლდა და, შესაბამისად, დღე არ გავა ისე, თითო-ოროლა გამტაცებელი მაინც არ დააკავონ.

გუშინ სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველომ, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად, თბილისში მოქმედი ავტოტრანსპორტის გამტაცებელთა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა, რომლებიც, როგორც ჩანს, "მოდად ქცეულ" უცხოური მანქანების "ბიზნესს" "ჟიგულის" მარკის ავტომობილების გატაცებას ამჯობინებდნენ.

თბილისში მცხოვრებნი - ევგენი ნოზაძე, იოსებ მაღრაძე, როსტომ ჩხეიძე, პეტრე ლებანიძე და არჩილ სეთურიძე - რუსულ მანქანებს იტაცებდნენ, მიჰყავდათ დედაქალაქის შემოგარენში, შლიდნენ ნაწილებად და "ელიავას" და სხვა ბაზრობებზე ყიდდნენ.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის დავით კეკუას ინფორმაციით, გამტაცებლები პოლიციელებმა მაშინ დააკავეს, როდესაც ისინი პეტრე ბაგრატიონის ქუჩაზე ერთ-ერთი ავტომანქანის გადამალვას ცდილობდნენ.

სამართალდამცველები გატაცებულ მანქანას დაედევნენ, მაგრამ გამტაცებლები არ დაემორჩილნენ და, კეკუას თქმით, მათ პოლიციის მანქანაც დააზიანეს. სწორედ პოლიციისადმი გაწეული დაუმორჩილებლობის გამო, ავტომობილების გამტაცებელთა საქმე გამოსაძიებლად პროკურატურაში გადაიგზავნა.

სხვათა შორის, თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ორი დღის წინ, "ჟიგულებზე" მონადირე კიდევ ერთი ჯგუფი დააკავეს. რამაზ ცხვირიაშვილმა და მანუჩარ ბროლაძემ რესტორან „იმერეთის" მიმდებარე ტერიტორიიდან გიორგი მენაბდეს „ვაზ-2121" მარკის ავტომანქანა გასტაცეს, რომელიც ჯერ დაშალეს, ხოლო შემდეგ დაჭრეს და დიღმის მასივის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გადააგდეს. დაშლილი ავტომანქანის ნაწილები სამართალდამცველებმა ბროლაძის დროებითი საცხოვრებელი ბინიდან და მისი სიმამრის, ზაქარია ხელაშვილის სახლიდან ამოიღეს.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური.

## მოკლედ

**თბილისი.** შსს-ს სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა მეტროპოლიტენ "ვაგზლის მოედნის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს შპს "პიროვნების საკუთრების დაცვის უსაფრთხოების სამსახურის" ლეგიონერი ნიკოლოზ ბოსიკაშვილი. შსს-ს პრესსამსახურის ცნობით, ბოსიკაშვილი საფანტის პისტოლეტის მუქარით არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ, გორში მცხოვრებ, 30 წლის მერაბ ქოქოშვილისათვის ფულისა და მობილური ტელეფონის წართმევას ცდილობდა. პისტოლეტი სამი ვაზნით ამოღებულია. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო კანცელარიაში გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ძალოვანების მიერ დაკავებულთა ფიზიკური შეურაცხყოფისა და წამების წინააღმდეგ გამოვიდა. "ცემისა და წამების ფაქტები ისევე, როგორც რელიგიური შეხედულებების საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციები, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგანი ხდება. ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში ამაზე საუბარი უნდა დამთავრდეს", - განაცხადა შევარდნაძემ. პრეზიდენტის თქმით, მისთვის გასაგებია, თუ რა სირთულეებს შეიძლება, აწყდებოდეს დღეს პოლიციის მუშაკი, მაგრამ ამ სირთულეების დაძლევა "როგორც პოლიციამ, ასევე უშიშროებამ საკუთარი პროფესიონალიზმის ამაღლებით უნდა შეძლოს". **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავა ათი უცხოელი, რომელთაგანაც შვიდი - ირანის, სამი კი თურქეთის მოქალაქეა. ისინი ირანიდან ჯერ აზერბაიჯანში ჩავიდნენ, შემდეგ კი საქართველოში, საიდანაც ვენის გავლით აპირებდნენ იაპონიაში გადასვლას. სამინიტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის ნიკა ლალიაშვილის ინფორმაციით, დაკავებულები საქართველოში ლეგალურად შემოვიდნენ, მაგრამ დაკავების მომენტში მათი ვიზები უკვე ვადაგასული იყო. მისივე განცხადებით, ისინი ელოდნენ თურქეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ ყალბ პასპორტებს, რომლებითაც იაპონიაში გამგზავრება სურდათ. არ არის გამორიცხული, რომ დაკავებული უცხოელების დეპორტაცია უახლოეს ხანში მოხდეს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების სისტემის 50 თანამშრომლისთვის ერთთვიანი სპეციალური კურსის მესამე ეტაპი დაიწყო. სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულების თანამშრომლებს პრაქტიკოსი და თეორიტიკოსი იურისტები შემდეგ სალექციო კურსებს უკითხავენ: სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, დამნაშავის პიროვნება, სასჯელაღსრულების სამართალი და ისტორია და თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებები ევროპის საბჭოს აქტებში. ეს კურსები საქართველოში მეციხოვნეთა მომზადების პრეცედენტია. იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებს სპეციალური უმაღლესი განათლება ესაჭიროებათ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს აბაშის რაიონის სოფელ ზანათში მცხოვრები, ნასამართლევი, 30 წლის პაატა ნოდია, რომელსაც ჩამოართვეს ავტომატი „აკს" ერთი მჭიდითა და 30 ვაზნით. დადგინდა, რომ 2002 წლის 29 დეკემბერს, სენაკის რაიონის სოფელ ზემო ჭალადიდში, ნოდია, სამ პირთან ერთად, სოკრატ ლაზარიას ოჯახს დაესხა თავს. 2002 წლის 14 და 15 იანვარს, სხვა პირებთან ერთად, ალა ხვედელიძისა და მარინა ხორავას ოჯახები დააყაჩაღა, ხოლო 20 იანვარს, აბაშაში, წინააღმდეგობა გაუწია აბაშისა და სენაკის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს ძებნის სამმართველოსა და ზემო-სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის, განზრახ მკვლელობისთვის, გაუფრთხილებლობით მკვლელობისთვისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი, 30 წლის ზვიად კვაშილავა, რომელმაც 1999 წლის 27 მაისს, სოფელ ახალსოფელში, თანასოფლელს, ამანათი ხურციას, მუქარით გასტაცა 10 კამეჩი. 1999 წლის 9 ნოემბერს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა თანასოფლელი ბადურა ხურცია, ხოლო 2000 წლის 5 ივლისს ასევე ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა სამტრედიაში მცხოვრები ზორბეგ კიკაბიძე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მოქმედი გამომძალველთა ჯგუფის წევრები, 34 წლის ჯაბა სულაბერიძე და 46 წლის ავთანდილ გომეთიანი, რომლებიც სიცოცხლის ხელყოფის მუქარით სძალავდნენ მოქალაქეებს დიდი ოდენობით თანხას. მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები აღნიშნული ჯგუფის სხვა წევრების დადგენა-დაკავებისა და მათ მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულთა გამოვლენის მიზნით. **მედია-ნიუსი.**

# ჩინოვნიკები, კრიმინალები და სამართალდამცავები ერთად სამარშრუტო ტაქსების ბიზნესში

*ცენტრალური ქუჩები პარალიზებულია იმ ტრანსპორტით, რომელიც თავის დროზე, სწრაფი გადაადგილების საშუალებად მიიჩნეოდა. თბილისის ქუჩებში გახშირებული საცობების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სამარშრუტო ტაქსების სიმრავლეა. ე.წ. "მარშრუტკებმა" მგზავრების გადაზიდვისთვის საჭირო რაოდენობას გადააჭარბა, ამავე დროს, ქალაქი აღარ არის უზრუნველყოფილი იაფი, სოციალურად გაჭირვებული ფენისათვის ხელმისაწვდომი ტრანსპორტით.*

ნინო ვარდოსანიძე
თამუნა კენკიშვილი
გიორგი ბალამწარაშვილი

### ორი პროცენტი ბიუჯეტისთვის ასმილიონიანი ბიზნესიდან

თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის საქალაქო სამსახურის მონაცემებით 90-იანი წლების დასაწყისში თბილისს, დაახლოებით, რვაასი ავტობუსი, ექვსასორმოცდაათი ტრამვაი-ტროლეიბუსი და ხუთასამდე სამარშრუტო ტაქსი ემსახურებოდა, რაც ჯამში, დაახლოებით, 2000-მდე სატრანსპორტო საშუალებას წამოადგენდა. ახლა კი, ოფიციალური მონაცემებით, ქალაქში 4441 მხოლოდ სამარშრუტო ტაქსია რეგისტრირებული, ამას გარდა, 231 - ავტობუსი, 97 - ტროლეიბუსი და 15 – ტრამვაის ვაგონი. ანუ, დაახლოებით 3000 სატრანსპორტო საშუალებით მეტი, ვიდრე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში.

თუ ვივარაუდებთ, რომ ერთ სამარშრუტო ტაქსს საათში მინიმუმ 20 მგზავრი გადაჰყავს და გადაზიდვების საშუალო ღირებულება მგზავრზე ორმოცი თეთრია, მარტივი არითმეტიკული გამოთვლით, სამარშრუტო ტაქსებში საათში 36 ათასი ლარი ბრუნავს, რაც დღეში (10 საათიანი სამუშაო დღე) 360 ათას ლარს უტოლდება, წელიწადში კი 100 მილიონ ლარს აჭარბებს.

დაახლოებით 100 მილიონიანი ბიზნესიდან, "თბილტრანსის" მონაცემებით, ბიუჯეტში შესატანად გეგმით, მხოლოდ მილიონ შვიდასცხრამეტიათას ექვსასი ლარია გათვალისწინებული, რაც ყოველწლიურად უპრობლემოდ სრულდება. თუმცა, ბიუჯეტისათვის გათვალისწინებული ეს თანხა 100 მილიონიანი ბიზნესის ორ პროცენტსაც არ შეადგენს.

მილიონები, რომელიც საგადასახადო კონტროლს მიღმა აღმოჩნდა, მხოლოდ მძღოლების შემოსავალს არ წარმოადგენს. ამ თანხის გადასანაწილებლად, მერიის ინიციატივით, გარკვეული მექანიზმები და სტრუქტურები ჩამოყალიბდა.

### ტენდერი, სადაც ყველა გამარჯვებულია

2001 წელს ქალაქის საკრებულომ სატრანსპორტო სქემის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რის საფუძველზეც ტრამვაის 5, ტროლეიბუსის 16, ავტობუსის 43 და მიკროავტობუსის 223 მარშრუტი დამტკიცდა.

ამავე წლის აგვისტო-ნოემბერში ქალაქ თბილისის მთავრობისა და საკრებულოს მიერ მიკროავტობუსების მარშრუტებზე გადამზიდავების უფლების მოსაპოვებლად ჩატარდა ტენდერი, სადაც განაცხადი 67-მა შპს-მ შეიტანა. ეს კომპანიები არ იყვნენ სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეები, მათ ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული მიკროავტობუსების მფლობელებთან და, ტენდერის პირობების შესაბამისად, პასუხისმგებლობას იღებდნენ გადასახადებზე. ტენდერის ჩატარებამდე ადგილობრივ მოსაკრებლებს მერიაში უშუალოდ მძღოლები იხდიდნენ. ახლა კი, სამარშრუტო ხაზები მართვის უფლებით გადაეცათ ფირმებს, ანუ გაჩნდა კიდევ ერთი რგოლი, რომელმაც გაზარდა მძღოლების გადასახადები და დაფარა იმ პირთა ვინაობა, რომლებიც რეალურად ფლობდნენ სამარშრუტო ხაზებს და მიკროვტობუსებს.

ტენდერის ერთ-ერთი ოფიციალური მიზანი სამგზავრო-სატრანსპორტო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა და სამგზავრო ავტოპარკის განახლება-გაუმჯობესება იყო. ტენდერის საშუალებით უნდა შერჩეულიყო ის ფირმები, რომელთა მფლობელობაშიც იქნებოდა ტექნიკურად გამართული სამარშრუტო ტაქსები, მაგრამ ტენდერში მონაწილე ყველა ფირმა გამარჯვებულად გამოცხადდა და შედეგად, დღეს ხაზებზე უამრავი მოძველებული და ტექნიკურად გაუმართავი მიკროავტობუსი მოძრაობს.

კონკურსს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ერთ-ერთ ფირმას - შპს "ვაკე 9"-ს კონკურსში მონაწილეობა საერთოდ არ მიაღებინეს. მისი კონკურსგარეშე დარჩენის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ამ ფირმაში შემავალი მიკროავტობუსებით საკონკურსო დათვალიერება შპს "მერიდიანმა" გაიარა, რომლის დირექტორის ძმაც სატენდერო კომისიის წევრი ლევან გოდაბრელიძე იყო. ამის გამო "ვაკე 9"-ს დირექტორმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკონკურსო კომისიას აეკრძალა №9 და №171 მარშრუტებზე კონკურსის ჩატარება, შპს "ვაკე-9"-ს სარჩელის განხილვა-გადაწყვეტამდე. თუმცა, სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის პრემიერის მაშინდელმა მოადგილემ, ვლადიმერ დარჯანიამ აღნიშნულ მარშრუტებზე კონკურსი არ შეაჩერა და "მერიდიანი" გამარჯვებულად გამოცხადდა.

ტენდერში გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა შპს " №8 ავტოპარკიც", რომლის დირექტორი, პეტრე მემარნიშვილი, ამავე დროს, სატენდერო კომისიის წევრი იყო.

ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად კი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა აკრძალული აქვს ადმინისტრაციული ორგანოს იმ პირს, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარის საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია.

მიუხედავად იმისა, რომ ტენდერის საშუალებით არ მოხდა ტექნიკურად გამართული სამარშრუტო ტაქსებით ქალაქის უზრუნველყოფა, სატრანსპორტო ქსელების მოწესრიგება და ეფექტური ფინანსური პოლიტიკის ჩამოყალიბება, "თბილტრანსის" ხელმძღვანელობა ტენდერის წყალობით შექმნილ ვითარებას დადებითად აფასებს და მიაჩნია, რომ ტენდერის ჩატარებისას მხოლოდ წვრილმანი ხარვეზები დაფიქსირდა.

### ფულის წყაროს ჩახლართული ტექნოლოგიები

თბილისში სამარშრუტო ტაქსების მოზღვავება მოძრაობის პრობლემას ქმნის. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიკროავტობუსებს შორის მოძრაობის ინტერვალი რამდენიმე წამია და ხშირად ცენტრალური ქუჩები პარალიზებულია. მაშინ როდესაც გარეუბნებში სამარშრუტო ტაქსები ხშირად არ არის საკმარისი, რაც ხაზების არასწორი გადანაწილების შედეგია.

სამარშრუტო ტაქსებზე მერიის მიერ დადგენილი საგადასახადო რეჟიმის მიხედვით, ფირმებმა თითოეულ სამარშრუტო ტაქსზე ბიუჯეტში ყოველთვიურად 50 ლარი უნდა გადაიხადონ. ხოლო რეგისტრირებული 4441 მიკროავტობუსიდან ყოველდღიურად მხოლოდ 3010 სამარშრუტო ტაქსი უნდა მოძრაობდეს (დანარჩენ 1400 მანქანას დასვენების დღეები უწევს).

"თბილტრანსის" ხელმძღვანელობა არ უარყოფს, რომ ხაზზე ხშირად განსაზღვრულზე მეტი მანქანა მოძრაობს, მაგრამ აცხადებს, რომ იგი ამ პროცესს ვერ აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტშიც მხოლოდ ის თანხა შედის, რაც ყოველთვიურად გეგმით გათვალისწინებული 3010 მანქანიდან იკრიბება.

### სერტიფიკაციის მიზანი - ფული და არა ხარისხი

ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამგზავრო გადაზიდვები სავალდებულო სერტიფიცირებას ექვემდებარება. სერტიფიკატს კერძო სამართლის იურიდიული პირები გასცემენ, რომლებიც აკრედიტაციას "საქსტანდარტში" გადიან. ეს უკანასკნელი ნებას აძლევს ფირმებს, დადგენილი სტანდარტის მიხედვით მოახდინონ მომსახურების სერტიფიცირება.

არსებობს ორი სახის სერტიფიკატი: პირველი - გადამზიდავის ერთწლიანი სერტიფიკატი გაიცემა ფირმაზე, რომელსაც შესაბამისი ბაზა და ტექნიკური პირობები აქვს, მეორე - ექვსთვიანი სერთიფიკატი კი გაიცემა თითოეულ სამარშრუტო ტაქსზე სალონში სავარძლების განლაგებისა და მანქანის გარეგანი სახის შემოწმების შემდეგ.

მიუხედავად ასეთი შემოწმებისა, ქალაქში დღეს უამრავი ტექნიკურად გაუმართავი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს, რის მიზეზადაც "საქსტანდარტის" სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის მთავარი სამმართველოს უფროსი ავთო ნადირაძე მძღოლების თაღლითობას მიიჩნევს, რომლებიც სერტიფიკატის აღების შემდეგ სალონში სკამებს ამატებენ, ამიტომ დღეს სკამებს შორის მანძილი არ არის დაცული, თუ ეს პირობა შესრულდა, 16 ის ნაცვლად 8 სკამი გამოვა, რაც არ არის ხელსაყრელი. მძღოლები კი ამბობენ, რომ სერტიფიკაციის ორგანო რეალურად არაფერს ამოწმებს. უფრო მეტიც, ისინი სერტიფიკატის ასაღებად ხშირად სამარშრუტო ტაქსის გარეშე, ფეხით მიდიან.

სერტიფიკაციის ორგანოს, "თბილტრანსტესტის" ხელმძღვანელი ზაზა ლოლაძე პასუხისმგებლობას იხსნის და აცხადებს, რომ სერტიფიკატის გაცემის შემდეგ სამარშრუტო ტაქსებზე კონტროლი მის ფუნქციაში არ შედის. საქართველოს კანონი "პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" კი მიუთითებს, რომ აკრედიტებულმა სერტიფიკაციის ორგანოებმა უნდა აკონტროლონ და ზედამხედველობა გაუწიონ მათ მიერ სერტიფიცირებულ პროდუქციას.

გაირკვა, რომ სერტიფიცირებული სამარშრუტო ტაქსების ტექნიკური გამართულობის კონტროლისათვის "თბილტრანსში" ცალკე სამსახურია შექმნილი. საკრებულოს წევრის, კობა ბექაურის თქმით, მაკონტროლებელი ორგანო ამ ფუნქციას სათავისოდ იყენებს და თითოეული მანქანის მძღოლს ყოველდღიურად 3-5 ლარს ართმევს.

მიუხედავად იმისა, რომ სერტიფიკატი ფორმალობაა და მხოლოდ და მხოლოდ ფულის კეთების საშუალებას წარმოადგენს, მისი უქონლობა მაინც დარღვევად ითვლება. თუ მძღოლს არა აქვს აღნიშნული სერტიფიკატი, მის წინააღმდეგ სერიოზული საჯარიმო სანქციები ამოქმედდება.

ტექნიკურად გაუმართავი სამარშრუტო ტაქსების კიდევ ერთი უარყოფითი გამოვლინებაა გამონაბოლქვი, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. ამას ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორატის თავმჯდომარე, ზაზა ზარქუაც ადასტურებს: "გამონაბოლქვი შეიცავს მძიმე მეტალს, კუპრს, რაშიც თავის მხრივ შედის ნივთიერება ბენზპირენი. ეს ნივთიერება ცნობილია ქიმიური კარცეროგენის სახელით, რომელიც ფილტვიდან გადადის სისხლში და მთელს ორგანიზმს ედება. ორგანიზმში მისი ინტენსიურად მოხვედრა, შესაძლოა, სიმსივნის წარმოქმნის მიზეზიც გახდეს."

"მიმოსვლის თავისუფლების ასოციაციის" პრეზიდენტი, მამუკა გერმანიშვილი ამბობს, რომ თბილისში ჩამოყვანილ სატვირთო მანქანებში სკამებს ამონტაჟებენ და ხაზზე გაყავთ, რაც მგზავრთა უსაფრთხოებას ეჭვქვეშ აყენებს. სერტიფიკაციის ორგანოები კი ამ ფაქტს ყურადღებას არ აქცევენ და "სატვირთო მანქანებზე" სერტიფიკატებს უპრობლემოდ გასცემენ.

### ერთთეთრიანი ბარათის სარეკორდო შემოსავალი

ტრანსპორტის დეპარტამენტმა კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმი შემოიღო - ეს არის საგზაო სატრანსპორტო ბარათი. იგი ტრანსპორტის დეპარტამენტის დაკვეთით იბეჭდება, რომელსაც ფირმების ხელმძღვანელებზე "თბილტრანსი" გასცემს. თითოეული ბარათის თვითღირებულება დაახლოებით ერთი თეთრია, მაგრამ ტრანსპორტის დეპარტამენტი მასში 25 თეთრს იღებს.

ყოველ დილით მძღოლი იღებს ამ ბარათს თანხის (დაახლოებით 6 ლარი) გადახდისა და შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ. ამაში შედის მძღოლის სამედიცინო და მანქანის ტექნიკური შემოწმება. ბარათში უნდა შეივსოს 17 პუნქტი, რომელიც რეალურად არ სრულდება და ამას მძღოლებიც ადასტურებენ: "ყველაფერი რომ ნორმის ფარგლებში ჩატარდეს, იმდენ დროს წაიღებს, რომ შუადღემდე ხაზზე ვერ გავალთ." ანუ ყოველდღიურად ფირმები მძღოლებს ფულს შეუსრულებელ სამუშაოში ახდევინებენ.

რამდენადაც ეს პროცედურები ფორმალურია, ფირმებმა საქმე გააიოლეს. ოთარ ჭიპაშვილის თქმით, ხშირად ასე ხდება: "შეაგროვებენ ბარათებს, მიუტანენ შესაბამის ორგანოს, ბეჭედს დაარტყმევინებენ და არც მძღოლს ამოწმებენ და არც მანქანას."

სატრანსპორტო საგზაო ბარათის ღირებულების 40 პროცენტი ტრანსპორტის დეპარტამენტმა ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს. დეპარტამენტში აცხადებენ, რომ საქალაქო ტრანსპორტზე (სამარშრუტო ტაქსები, ავტბუსები, ტრამვაი, ტროლეიბუსი) ყოველთვიურად დაახლოებით 90 ათას ბლანკს გასცემენ. თუმცა, 120 ათასი ბარათია საჭირო მხოლოდ სამარშრუტო ტაქსების მომარაგებისთვის. ანუ, დაახლოებით, 50 ათასი ბარათის ღირებულებიდან ბიუჯეტში შესატანი 40 პროცენტის ბედი გაურკვეველია. არა და სსბ-ს გარეშე ქალაქში ვერც ერთი სატრანსპორტო საშუალება ხაზზე ვერ გავა.

### წარმატებული ოპერაცია ერთჯერადი შემოსავლისთვის

ტენდერის ჩატარების შემდეგ "თბილტრანსმა" ფირმებს დაურიგა ფირნიშები, რომლის საფასურიც, საბოლოო ჯამში, მძღოლებმა გადაიხადეს.

თბილტრანსში ფირნიშების საჭიროებას ვერ აკონკრეტებენ, თუმცა, სამსახურის გადაწყვეტილებას ერთი არგუმენტით ამართლებენ: ფირნიშზე აღინიშნა მარშრუტის სქემა, ანუ რომელი ქუჩები უნდა გაევლო მიკროავტობუსს. ამით მგზავრი მიხვდებოდა, თუ რომელ სამარშრუტო ტაქსში ჯდებოდა.

სინამდვილეში, ეს ფირნიშები იმდენად პატარაა, რომ გაჩერებაზე მდგომი მგზავრის თვალისთვის შეუმჩნეველია. თანაც ამისათვის მიკროავტობუსებს ნომრის აღმნიშვნელი საკმაოდ დიდი ფირნიშებიც აქვთ, რაც მგზავრისთვის სრულიად გასაგებს ხდის ტაქსის მარშრუტს.

საქმე ისაა, რომ ოფიციალურად, "თბილტრანსმა" ფირნიშები უფასოდ დაარიგა, მძღოლებს კი თითოეულში 10 ლარი გადაახდევინეს. რადგან ასეთი ფირნიში 4441 სამარშრუტო ტაქსისთვის დაიბეჭდა, გამოდის, რომ 44 ათასი ლარი სამსახურის ჩინოვნიკებში ერთჯერადი შემოსავლის სახით დაილექა.

### ერთიანი სულისკვეთების მოტივაცია კრიმინალებისთვის და სამართალდამცავებისთვის

სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ოფიციალურის გარდა, საკმაოდ დიდი ოდენობის არაოფიციალურ გადასახადებსაც იხდის. არაოფიციალური გადასახადის ერთ-ერთი სახე ე.წ. "კრიშის" გადასახადია, რომელიც თითო მანქანაზე დღეში საშუალოდ 2 ლარს შეადგენს. თითოეულ ხაზს თავისი "კრიშა" ჰყავს და თავის ყოველდღიურ წილს იღებს. "კრიშების" ფუნქციაში ძირითადად ქუჩაში საქმეების გარჩევა იგულისხმება.

საკრებულოს წევრი კობა ბექაური აცხადებს: "თითოეული ხაზის უკან დგანან როგორც შავები, ასევე წითლები ანუ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები".

"მიმოსვლის თავისუფლების ასოციაციის" პრეზიდენტი მამუკა გერმანიშვილი ხაზების უკან არა მარტო "შავი სამყაროს" წარმომადგენლებს და ძალოვნებს, არამედ ფირმების სახელს ამოფარებულ ქალაქის ხელისუფლების მესვეურთ მოიაზრებს. იგი ამბობს, რომ შავი სამყარო სამარშრუტო ხაზებს მხოლოდ ქალაქის განაპირა რაიონებში აკონტროლებს, ცენტრში კი მათ არავინ გააჭაჭანებს. "ყოველი ხაზის უკან ვიღაც დგას. შპს-ების შექმნით ბევრი რაღაც თუ ვიღაც დაიმალა. ბოლომდე რომ მივყვეთ, ეს ხაზები ქალაქის ხელისუფლებამდე მიგვიყვანს", - ამბობს იგი.

რეალურად, მერიის მიერ ხაზების მერიის საკუთრებად გამოცხადების შემდეგ, ყოფილმა მფლობელებმა ხაზებზე გავლენა მაინც შეინარჩუნეს, რადგან ამ ხაზებისთვის თავის დროზე მერიაში ფული ჰქონდათ გადახდილი. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად ხაზების გაყიდვა ნონსენსია, ისინი იყიდება და საკმაოდ სოლიდურ ფასად. ე.წ. მაღალშემოსავლიანი ხაზები თბილისში 6-დან 15 ათას დოლარამდე ღირს. "თბილტრანსში" ვერ განმარტავენ, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს ეს კანონსაწინააღმდეგო პროცესები. უფრო მეტიც, აქაური ჩინოვნიკები მიიჩნევენ, რომ ეს საჭირო არ არის.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს კიდევ ერთი "ტრადიციული" გადასახადი აქვთ დაკისრებული საგზაო პოლიციელებისთვის. თითოეული მიკროავტობუსის მძღოლი ვალდებულია, დღეში 1 ლარი გადაუხადოს იმ რაიონის საგზაო პოლიციას, რომელი რაიონის ტერიტორიასაც მოიცავს მისი მარშრუტი. ძალიან ხშირად მძღოლებს მარტო საგზაო პოლიციისათვის დღეში 2-3 ლარის გადახდა უწევთ (გააჩნია, რამდენ რაიონს გაივლიან). აქედან გამომდინარე, ძნელი დასათვლელი არ უნდა იყოს ის თანხა, რაც ყოველდღიურად საგზაო პოლიციის არაოფიციალურ ფონდში ირიცხება.

სამარშრუტო ტაქსის მძღოლი ავთანდილ ყრუაშვილი ამბობს, რომ მძღოლებს ამ ბიზნესიდან ყველაზე ცოტა რჩებათ: "თუ ვინმეს ჰგონია, რომ "მარშრუტკის" მძღოლებს დიდი შემოსავალი აქვთ, ძალიან ცდება. იმდენი გადასახადი გვაკისრია, რომ ვერ აუდივართ. ეს არის მოსაკრებლის ფული, ექიმის, დათვალიერების, "კრიშის", საგზაო პოლიციის და... სახლში წასაღები არაფერი გვრჩება. საწვავიც ჩემი ჩასასხმელია, მანქანის რემონტის ხარჯებიც მე უნდა გავიღო და ქირაც მე უნდა გადავიხადო. ის დღე დაიქცა, როცა მე ამ მანქანაზე დავჯექი, სხვა საშუალება რომ მქონდეს, მძღოლად რა მამუშავებდა".

აშკარაა, რომ ასმილიონიანი სატრანსპორტო ბიზნესიდან ძირითადი ნაწილი ჩრდილოვანია, საიდანაც, ძირითადად, მერიის სამსახურები იკვებება. ბიუჯეტში ამ ბიზნესიდან ორი პროცენტიც არ ხვდება, მოსახლეობა კი სრულიად მოუწესრიგებელ და უხარისხო სატრანსპორტო მომსახურებას იღებს.



იური მეჭურიშვილის ფოტო

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# აფხაზეთს ვერავინ წაგვართმევს. ამიტომაც არ ვიბრძვით მისთვის და ვკარგავთ

*საუბედუროდ, დღეს ჩვენს მთავრობასთან ყველა მართალია - პედაგოგი, პენსიონერი, დემოკრატი, ზვიადისტი, მემარცხენე თუ მემარჯვენე... აფხაზებიც კი. ამ ყველაფერზე ხელისუფლება თვალს ხუჭავს და ასე თვალდახუჭული არწმუნებს ყველას, რომ კრიზისი არ არსებობს და წინ მივიწევთ. 10 წლის მანძილზე პრეზიდენტი ყველა დაძახებაზე დაუღალავად მიემართება მოსალაპარაკებლად. ამავე ხნის განმავლობაში, სახელმწიფომ კონფლიქტის მოგვარების, თუნდაც, მცდარი სტრატეგია ვერ ჩამოაყალიბა... და რადგანაც აფხაზეთის საკითხი არჩევნებამდე არ მოგვარდება, პოლიტიკოსთა პოზიციაც მხოლოდ მათი პოლიტიკური ინტერესებით იკვებება. პაატა ზაქარეიშვილი დღეს იმ ბრიტანული და გერმანული ორგანიზაციების თანამშრომელია, რომლებიც ქართულ-აფხაზურ დიალოგს უწყობენ ხელს. იგი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში ამ კონფლიქტის არსებობის დღიდან არის ჩართული და ამბობს, რომ კონფლიქტისადმი დამოკიდებულება არ შეცვლილა და დღემდე ვერ სცდება ემოციურობის ჩარჩოებს.*

მაია ჭალაგანიძე

**- თქვენ 1992 წლიდან ტყვეთა გაცვლის პროცესში იყავით ჩართული. რომელი მხრიდან იყო ყველაზე დიდი სირთულე?**

- ორივე მხრიდან. ძალზე ძნელი იყო პირობის მოპოვება აფხაზებისგან, მაგრამ თუ ისინი რაიმეს დაგვპირდებოდნენ, აუცილებლად ასრულებდნენ. მთავარი პრობლემა არმიის უდისციპლინობა იყო. ხშირად ბატალიონები თავად ინახავდნენ აფხაზეთის მხრიდან აყვანილ ტყვეებს, რომელთაც ოფიციალურ მხარეს უმალავდნენ. შემდეგ თავადვე ცვლიდნენ იარაღზე, ნარკოტიკებზე. ყიდდნენ ან კლავდნენ და ა.შ. ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მახსოვს, ოჩამჩირეში, ერთ-ერთ ბატალიონში 3 ტყვე ჰყავდათ შენახული. აფხაზურ მხარესთან შევთანხმდით, რომ დილაადრიან, არადუს დერეფანში გავუცვლიდით ტყვეებს. წინა ღამით ქართველებმა ტყვეები დახვრიტეს. ჩვენ ეს გაცვლის ადგილზე შევიტყვეთ. საპასუხოდ, აფხაზებმა ქართველი ტყვეები ჩვენს თვალწინ დახვრიტეს. სამწუხაროდ, ჩემს პრაქტიკაში ეს მრავალჯერ მოხდა.

**- როგორ გგონიათ, სპეციალურად ხდებოდა?**

- არა. ეს სრული ქაოსის გამო იყო.

**- ამ ათზე მეტი წლის განმავლობაში, რა ცვლილებებს ხედავთ კონფლიქტის მოგვარების საქმეში?**

- არანაირს. პროცესი გაჩერებულია და დრო მიდის. სახელმწიფო წყვეტს ყველაფერს. ჩვენ მიწის მხვნელები ვართ... ვხნავთ, რომ მერე სახელმწიფომ დათესოს. თუ მთესველი არ მოვიდა, მეორე წელს ისევ მოსახნავია. ჩვენ ნიადაგს ვამზადებთ - სხვა არაფერი შეგვიძლია. საზოგადოება ამისთვის მზადაა. აფხაზურ მხარესთან მძაფრი, პრინციპული, კონსტრუქციული დიალოგი გვაქვს. ხელისუფლებას შეუძლია, სათავისოდ გამოიყენოს ჩვენი ურთიერთობები.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს მოგვარების ყველაზე მეტი შანსი აქვს. საამისოდ ბევრი რესურსებია.

**- როგორც ვატყობ, ამ რესურსების უმეტესობას აფხაზეთის მხარეს ხედავთ?**

- არა, რატომ? ქართული საზოგადოება უფრო მზადაა შერიგებისთვის, ვიდრე აფხაზური. მაგრამ, ამისთვის მზად არაა არც ქართული და არც აფხაზური ხელისუფლება.

**- რას ასახელებენ აფხაზები კონფლიქტის მოუგვარებლობის მთავარ მიზეზად?**

- ოფიციალურად ამბობენ, რომ მათ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. პირად საუბრებში კი ყველა აღიარებს, რომ მათ საქართველო ნორმალური, ღირსეული ცხოვრებისათვის არანაირ შანსს არ უტოვებს. აქედან მხოლოდ აგრესიას გრძნობენ. მათ დღეს ორნაირად დაღუპვის არჩევანი აქვთ - ან განიცადონ ასიმილაცია რუსულ კულტურაში და მათი შვილიშვილები აფხაზები აღარ იყვნენ, ან - დღეს განადგურდნენ ფიზიკურად.

**- კარგად ვერ გავიგე. რას ითხოვენ აფხაზი სეპარატისტები საქართველოს ხელისუფლებისგან?**

- დათმობებს. ბოდიშის მოხდას მათ წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო. ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ აგრესია არა მხოლოდ აფხაზი მოსახლეობის, არამედ - საქართველოს მთელი მოსახლეობის წინააღმდეგ განახორციელა. დღეს რომ დევნილები თავის სამშობლოში არ ცხოვრობენ, პირველ რიგში, არასწორი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა დამნაშავე.

როცა მოლაპარაკებებიდან ვბრუნდებით, ირონიულად გვეკითხებიან - რას მიაღწიეთ? ჩემი მოვალეობა საზოგადოებაზე ზემოქმედებაა, რაც შეიძლება, მეტი ქართველი შევახვედრო აფხაზ პოლიტიკოსებს და საზოგადოების წარმომადგენლებს.

აფხაზი არ არის რუსი. აფხაზი მშვენივრად იყენებს რუსეთის ინტერესს საქართველოს წინააღმდეგ და რუსიც მშვენივრად იყენებს აფხაზეთის ინტერესებს საქართველოს წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, მათ თანმხვედრი ინტერესები აქვთ, მაგრამ მათი გამორჩევა შეიძლება - აფხაზი რუსი არ არის.

ჩვენ უდიდეს ძალისხმევას ვხარჯავთ, რათა რუსებზე თუ აფხაზებზე ზემოქმედების მოსახდენად საერთაშორისო ორგანიზაციები ჩავრთოთ. ჩვენი ხელისუფლება ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისთვის სხვას არაფერს აკეთებს.

**- თუ მოახერხეთ საქართველოს ხელისუფლების რაიმეში დარწმუნება?**

- ახლახან ქართველი პოლიტიკოსები ჩრდილოეთ ირლანდიაში წავიყვანეთ. შეხვედრები მაღალ დონეზე მოეწყო. პროტესტანტები და კათოლიკეები ერთმანეთის ჯიბრზე ყვებოდნენ, თუ რა დათმობებზე მოუხდათ წასვლა, რათა კონფლიქტი მოეგვარებინათ. ეს მთელი კონცეფციაა... რაც უფრო თმობ, უფრო მეტს იღებ. ერთ-ერთმა ჩვენმა პოლიტიკოსმა კი ამ შეხვედრებიდან ეს დასკვნა გამოიტანა: მივხვდი, რომ აფხაზები დევნილების დამბრუნებლები არ არიანო... ის კი, რა უნდა გააკეთოს ქართველმა პოლიტიკოსმა საამისოდ - ვერ ისწავლა.

**- იმედია, რომ ხელისუფლებაში ყველა ასეთი არ არის.**

- მე საწინააღმდეგო შთაბეჭდილება მრჩება. ქართველი პოლიტიკოსები საბჭოთა მენტალობით არიან და არაპოპულარული, მაგრამ რისკიანი ნაბიჯების გადადგმა არ უსწავლიათ.

**- ათზე მეტი წელი გავიდა. შედეგს ვერ ხედავთ და როგორც ჩანს, არც ახლო მომავლის იმედი გაქვთ. მაინც განაგრძობთ ურთიერთობებს?**

- ჩემი საქმიანობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არ არის. ჩემი საქმე ქართული საზოგადოებაა, რომელსაც მინდა ვაჩვენო, რომ სიტუაცია მკვდარი არ არის. ჩვენ, ქართველებმა უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა, რადგანაც ჩვენ გვჭირდება ერთიანი სახელმწიფო და არა აფხაზებს.

აფხაზები იმდენად კრიტიკული მასა არ არის, რომ სახელმწიფო შექმნან. მათ დამოუკიდებლობას პერსპექტივა არ აქვს. მით უფრო, როდესაც გვერდით რუსეთია. რუსეთმა ამ პასპორტიზაციით პირდაპირი მესიჯი გაუგზავნა აფხაზებს - არც იოცნებოთ დამოუკიდებლობაზე, დამოუკიდებლობა თქვენი საქმე არ არისო...

**- როგორ შეხვდნენ ამას აფხაზები?**

- აღტაცებით, ისევე როგორც აბსოლუტურად ფსევდო და უსუსურ წინადადებას იმის შესახებ, რომ აფხაზეთი შეიძლება რუსეთის ასოცირებული წევრი გახდეს. არც რუსებმა და არც აფხაზებმა არ ჩაიხედეს რუსეთის კონსტიტუციაში - არსად არაა დაფიქსირებული, რომ ეს შესაძლებელია. აფხაზებისთვის მიმზიდველია, ვილაცას მიეკედლონ. მოტივაცია კი, გარდა იმისა, რომ ქართველები არ სურთ - არ აქვთ. ქართველები უნდა დავფიქრდეთ - რატომ ეშინიათ აფხაზებს ჩვენი.

**- თქვენ როგორ გგონიათ?**

- დღემდე გვეშინია იელოველების, არაქართველების, არამართლმადიდებლების. ნებისმიერი უცხოს მიმართ ვლიზიანდებით. და ეს იმის ნაცვლად, რომ ეს ხალხი ჩვენს სახელმწიფოს პროექტში ჩავრთოთ და სახელმწიფოს სასარგებლოდ ავამუშაოთ.

**- თუ შეხვედრიხართ პრეზიდენტის უკანასკნელ წარმომადგენელს აფხაზეთის საკითხებში ასლან აბაშიძეს?**

- აბაშიძეს არა, მაგრამ მისი თხოვნით, შეხვედრებზე მისი წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილი დაგვყავს. თავად რესპუბლიკური პარტიის წევრი ვარ და ამ პარტიის დამოკიდებულება აბაშიძის რეჟიმისა და იმისადმი, რაც აჭარაში ხდება, კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამის მიუხედავად, თუ მათ რაიმე აქვთ დადებითი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში, სწორედ ამ



პაატა ზაქარეიშვილი

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

> სოჭში აფხაზ ბოევიკს შევხვდი, რომელმაც საუბრის ბოლოს მითხრა: ნუთუ იმდენად ვერ გვიტანთ ქართველები, რომ ასე იოლად უთმობთ რუსეთს აფხაზეთსო...

შეხვედრებიდან აქვთ. ერთი კვირის განმავლობაში, დახურულ სივრცეში, აფხაზ და ქართველ პოლიტიკოსებს შორის, გულახდილი საუბრები მიმდინარეობს. გერმანელები და ინგლისელები უამრავ ფულს, ენერგიასა და დროს ხარჯავენ იმაში, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთთან დიალოგი გამართონ.

**- რა ინფორმაცია გაქვთ სოჭის დოკუმენტის შესახებ. რა მოიტანა ორი პრეზიდენტის შეხვედრამ?**

- რუსებმა ფსევდოიმპერიული მეთოდით, მსოფლიოს წინაშე კიდევ ერთხელ გაათამაშეს ორი ხალხის შერიგების სცენარი... გაგულია რაში სჭირდებოდა? პუტინმა ჩვენს პრეზიდენტს აჩვენა - ჩვენს გარეშე არაფერი ხართ... წმინდა რუსული პოლიტიკაა...

**- არის ჩვენი პრეზიდენტი ამ იმპერიული ზრახვების უნებლიე მსხვერპლი?**

- შევარდნაძეს პუტინისთვის უნდა ეთქვა, რომ ეს არაკორექტული და არადიპლომატიურია... გაგულია ჩემი ქვეყნის მოქალაქეა, მასთან კონფლიქტი მაქვს და დიდი სიამოვნებით შევხვდები მას... პუტინის მიერ შემოთავაზებული პირობებით არ უნდა აეგო თამაში. რუსეთმა მშვენიერი პროიმპერიული სცენარი გაათამაშა.

**- რა ინფორმაცია გაქვთ, რა დამოკიდებულება აქვთ აფხაზებს სოჭის შეხვედრასთან?**

- შეურაცხყოფილები და აღშფოთებულები არიან გაგულიას ქცევით. ისინი მას უხერხემლობას აბრალებენ, თავისი ინტერესები ვერ დაიცვა, ხელი დაუქნიეს და ეახლაო და ა.შ.

**- რა დოკუმენტი შეიქმნა?**

- სერიოზული არაფერი. ეს არის რუსულ-ქართული დოკუმენტი, რომელსაც აფხაზეთთან არ აქვს კავშირი. რუსები და ქართველები სხვადასხვა პარამეტრებზე თანხმდებიან. ეს არის პროტოკოლური დოკუმენტი, მემორანდუმი. ეს არ არის სავალდებულო ხელშეკრულება, განცხადებაა სურვილების შესახებ. დოკუმენტში საუბარია სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და ენგურჰესის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე. აგრეთვე, ჩვენთვის გულსაფხანი თემის - ლტოლვილების დაბრუნების შესახებ.

**- ბრძანეთ, რომ გალში ლტოლვილების დაბრუნება პრობლემა არ არის...**

- სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დევნილს გალში დაბრუნება შეუძლია. გალში დაბრუნებისადმი დღეს ორი ტიპის დამოკიდებულებაა. ერთი კატეგორია ფიქრობს, რომ დანარჩენ საქართველოში ულირს ცხოვრებას, საკუთარ სახლში ულირსი ცხოვრება ურჩევნია და მეორე, რომელიც უმცირესობაა - ფიქრობს, რომ აქ ცხოვრება ურჩევნია იმ მოტივით, რომ ხელისუფლება რაღაცნაირად ვალდებულია, მოუაროს.

**- მაგრამ გალში დევნილებს ფიზიკური განადგურების საფრთხე ემუქრებათ...**

- არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მარტო აფხაზების მხრიდან მოდიოდეს.

ქართველი პარტიზანები კი მხოლოდ ქართველების წინააღმდეგ არიან მაგრები. იმუქრებოდნენ, მეორე დღესვე ავაფეთქებთ რკინიგზასო... სად არის?

**- რას ნიშნავს საქართველოსთვის სარკინიგზო მომოსვლის აღდგენა?**

- ყოველთვის ამის მომხრე ვიყავი. ბლოკადა მხოლოდ მტრის ხატის შექმნას ემსახურება. თუ აფხაზეთში რაიმე ეკონომიკური პრობლემებია, ყველაფერი ქართველებს ბრალდებათ. სინამდვილეში კი საქართველო ვერანაირ ეკონომიკურ ბლოკადას ვერ ახორციელებს. რკინიგზა ჩვენს ინტერესებშია. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, რას მოგვიტანს ის. რკინიგზა შემოვა და ტვირთი დატრიალდება, ანუ ვნახავთ მოგებას... უნდა ჩამოვყალიბდეთ, რისი გვეშინია პირველ რიგში... იქნებ, მართლაც არ არის გამორიცხული საქართველოს საზიანო პროცესების განვითარება. თუ ამას ვინმე ხედავს, უნდა ითქვას. რკინიგზის ამუშავება-არამუშავებით აფხაზეთის დეფაქტო ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებ. რკინიგზის ამოქმედებით აუცილებლად დადგება მუშახელის საკითხი. ანუ, იმ ხალხის კატეგორიის საჭიროება, ვინც დღეს გალში დამცირებულად ცხოვრობს. ეს ხალხი რკინიგზას შეყვება. სადგურები ამუშავდება, ინფრასტრუქტურა შეიქმნება. აფხაზებს სპეციალისტები არ ჰყავთ...

ჩემი ამ ხნის მუშაობის მანძილზე ცალსახად დავასკვენი - აფხაზებს უცხო ტომი იქ არ უნდათ. მათ ქართველები ურჩევნიათ...

**- ცოტა ხნის წინ საწინააღმდეგო თქვით...**

- რუსებს ქართველები ურჩევნიათ. აფხაზი მიხვდა, რომ ქართული კულტურის გამოცვლით ის ვერ შეითვისებს ვერც რუსულ, ვერც ჩეჩნურ და ვერც თურქულ კულტურას. ამ ათმა წელმა აჩვენა, რომ კულტურულად ყველაზე ახლოს ქართველებთან დგანან...

**- მაგრამ, ეს ათი წელი თაობაც არის. მას არ უცხოვრია ქართველებთან ერთად, არ მოსწრებია კონფლიქტს. ახალი თაობა იმას შეითვისებს, რა კულტურაც დახვდება...**

- ადამიანისთვის, რომელიც კონფლიქტში არ გაზრდილა, ადვილია კონფლიქტის გადალახვა. აფხაზების განვითარების შანსი მათი აღიარების გარეშე არ არსებობს. აფხაზეთს ფეხზე დასადგომად ტურიზმი სჭირდება. ამისთვის კი, ყოველწლიურად, სულ ცოტა, 2 მილიონი ტურისტის ჩასვლაა საჭირო. ამათ სულ მცირე - 500-600 ათასი მომსახურე პერსონალი უნდა დახვდეს. აფხაზები ამდენი არასდროს გახდებიან. ყველაზე მრავალრიცხოვანნი 1989 წელს - 80-85 ათასი იყვნენ. ომმა უდიდესი ზიანი მიაყენა მათ გენოფონდს. ამ ფონზე მათ გაუჭირდებათ, შექმნან სერიოზული ეროვნული მასა, რომელიც აფხაზეთის აყვავებას შეძლებს. ღიად ვაცხადებ - თუ მათ აყვავებული აფხაზეთი უნდათ, ყოველთვის უმცირესობაში იქნებიან. მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება - ვისთან უნდა იყვნენ უმცირესობაში?!

**- როგორ ატყობთ, ვისთან არჩევენ?**

- ვატყობ, რომ მათ ნორმალური ქართველები უნდათ. აფხაზებისგან არაერთხელ გამიგონია - მხოლოდ საქართველოში იცნობენ აფხაზეთს და უყვართ აფხაზები და თუ ვინმე ვერ იტანს აფხაზებსა და სძულს აფხაზები - ეს საქართველოა... თავად აფხაზები ამბონენ: ჩვენი წარმატება და წარუმატებლობა მხოლოდ ქართველების ხელშიაო.

**- ამას მთავრობის წარმომადგენლები ამბობენ?**

- დიახ, ისინიც. ამას ყოველი მეორე განათლებული აფხაზი ამბობს.

**- რა აზრისაა ყოველი მეორე განათლებული ქართველი?**

- ყოველ მეორე განათლებულ ქართველს აფხაზეთი არ ადარდებს. ეს არის განგრენიანი ხელი, რომელიც დიდი ხანია, მოიკვეთა ცნობიერებიდან. აფხაზეთი მხოლოდ დევნილ მოსახლეობას ადარდებს. დევნილი მოსახლეობა ხელისუფლებისთვის საზარბაზნე ხორცია. რევანშის გარდა ხელისუფლებას ვერ წარმოუდგენია აფხაზეთის დაბრუნება და სწორედ მათ "გეშავს" ამისთვის. ჩვენს მთავრობას დევნილები რომ ადარდებდეს, არასამთავრობო ორგანიზაციების საზრუნავი არ იქნება მათთვის პოლტიკური უფლების - ადგილობრივი თვითთმმართველობის არჩევნებში საკუთარი წარმომადგენლის არჩევის, ხმის მიცემის უფლება.

**- რას მიაწერთ დროის გაწელვის პოლიტიკას, პოლიტიკოსთა პასიურ დამოკიდებულებას აფხაზეთის კონფლიქტისადმი?**

- სავალუტო ფონდის წარმომადგენლებმა პრეზიდენტს საყვედური უთხრეს 115 ლარის მილების გამო. პრეზიდენტმა უცბად გაწირა პარლამენტი და სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტში დაადანაშაულა. ეს არის წმინდა წყლის საბჭოური აზროვნება - "ძალა აღმართს ხნავს..."

**- ამას დემოკრატიული ორიენტაციის ახალგაზრდა პოლიტიკოსებზეც ამბობთ?**

- დიახ. სამწუხაროდ, აფხაზეთთან დაკავშირებით, ჩამოყალიბებული პოზიცია არავის გააჩნია. სააკაშვილის გუნდის წევრად მოვიაზრები, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ზვიად ძიძიგური აბსურდულ განცხადებებს აკეთებს და მას არავინ არაფერს უსწორებს...

**- რუსეთი, უკეთესი მომავლის იმედით, აფხაზეთში ინვესტიციებს დებს... რა ინფორმაცია გაქვთ, რამდენად სერიოზულია ეს ინვესტიციები?**

- კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი სერიოზული საკითხი სწორედ საკუთრების დაბრუნებაა. სამშვიდობო პროცესების დროს მხარეები დათმობას იწყებენ. ერთ-ერთი ასეთი დათმობა უკანონოდ მითვისებული საკუთრების დაკანონებაა. ეს რუსებმა კარგად იციან და ობიექტთა უკანონო პრივატიზაციას ახდენენ. ბუნებრივია, რესტიტუციის საკითხი ერთ-ერთი ურთულესი იქნება და რაც დრო გადის, ვითარება უფრო და უფრო დამძიმდება.

როგორც ჩანს, დროის გაწელვა გარკვეული სტრატეგიის შემადგენელი საკითხია. ამას მე აფხაზეთის დაკარგვის სტრატეგიას ვუწოდებ. 1989 წელს დაწყებული სტრატეგია დღემდე მოდის.

**- კონფლიქტის მოგვარების მცდელობისას, ალბათ, ბევრჯერ შეგეშალათ ხელი სახელმწიფოს გაურკვეველი პოლიტიკის გამო.**

- სახელმწიფოს მიაჩნია, რომ საქართველოს ეს პრობლემა სხვებმა უნდა მოაგვარონ. ეს ჩვენი საქმეა. ჩვენი სტრატეგია კი იმაზეა გათვლილი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა თუ მსოფლიომ ჩვენი მხარე დაიჭიროს და რუსეთის შესახებ სიმართლე გაიგოს. მთავრობას ჰგონია, რომ ამით კონფლიქტი მოგვარდება. ჩვენ დღემდე ამის იმედი გვაქვს და არაფერს ვაკეთებთ.

ქართველი ერი, როგორც სატიტულო ერი, ვალდებულია, ერთნაირად უპატრონოს ყველა იმ მოქალაქეს, ვინც მის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს რეალურად არ მომხდარა. დამარცხებით შეურაცხყოფილი სახელმწიფო ემოციებს არის აყოლილი. აფხაზეთს ვერავინ წაგვართმევს. ამიტომაც არ ვიბრძვით მისთვის და ვკარგავთ მას.

**- ამ 10 წლის მანძილზე აფხაზებსა და ქართველებს შორის მოლაპარაკება ოდესმე თუ ყოფილა შედეგიანი?**

- არც ერთხელ... ჩვენი მთავარი შეცდომაა ის, რომ საკუთარი შეცდომის აღიარება არ გვინდა. არ გვინდა ვაღიაროთ, რომ ამ ომის დაწყება ჩვენი ბრალია და არაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ომი არ დაწყებულიყო. ახლა არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ აფხაზებთან საერთო ენა ვიპოვოთ. ქართველების არც ერთ ლოზუნგში - "ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა" და "ლტოლვილების დაბრუნება" -გათვალისწინებული არ არის აფხაზი ხალხის ინტერესი. აფხაზი ხალხი ჩვენი სახელმწიფოს ნაწილად დღემდე არ ჩაგვითვლია.

**- თქვენ ჩართული იყავით ოსეთის პრობლემის მოგვარებაშიც, რომელიც, უფრო უკანა პლანზე დგას, ვიდრე აფხაზეთი. რა ვითარებაა იქ?**

- ოსეთში სრული კრიმინალიზაციაა. იქ შავი ურთიერთობებია, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მართავს.

აფხაზეთში ქართველებს ცხვირი არ შეეყოფათ. კრიმინალები გალის იქით ვერ მიდიან. ისინი სასაზღვრო ზოლში, სამეგრელოს მხარეს, ყველა ეკონომიკურ ურთიერთობას აკონტროლებენ. ისინი იბრალებენ პარტიზანობას, თუმცა, მათ არაფერი აქვთ საერთო პარტიზანებთან. გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ხელისუფლება მართავს პარტიზანებს - სიცრუეა. სწორედ პარტიზანები მართავენ ხელისუფლებას.

**- როგორ გგონიათ, არსებული მრავალრიცხოვანი ხელშეკრულებების ფონზე, რა განსხვავებაა კონფლიქტის მოგვარების პუტინისა და შევარდნაძის ხედვას შორის?**

- პუტინს რუსული ხედვა აქვს, ხოლო შევარდნაძეს არანაირი ხედვა არ გააჩნია. პუტინის ფსევდოარგუმენტების დანგრევა ერთი ხელის მოსმით შეიძლება, მაგრამ შევარდნაძე ამას არ გააკეთებს, რადგანაც მის თავში საქართველო არ არის. ის ვერ ხედავს ქართველ ხალხს. მან არ იცის, რას ნიშნავს პრეზიდენტობა. როცა ის კოდორში მიდის და რუს ოფიცრებს ელაპარაკება, ამ დროს ის უშიშროების მინისტრის მოადგილეა; როცა ჯარის ამბოხებულ ნაწილთან მიდის - სამხედრო პროკურორი... ეს სახელმწიფო მისია. იგი ტომის ბელადია და რის უფლებასაც ვაძლევთ, იმას აკეთებს. პუტინთან საუბრისას ის უსუსურია, რადგან ამ დროს არ არის ქართველი პოლიტიკოსი, საერთაშორისო დონის ექსპერტია.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენი წლის შემდეგ იქნება აფხაზეთი ჩვენი სახელმწიფოს უმთავრესი პრობლემა?**

- პირველი საფიქრალი საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენება უნდა იყოს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ნატო-ში გაწევრიანება და ევროკავშირში შესვლა, რადგანაც, აქეთკენ სწრაფვა ბევრ პერობლემას მოაგვარებს და მათ შორის, აფხაზეთისასაც.

# ხელოვნების ქურუმი

## გარდაიცვალა გოგი გეგეჭკორი



არიან ადამიანები, რომელთა დასახასიათებლად უხვი ეპითეტები კი არ არის საჭირო, მხოლოდ სახელისა და გვარის დასახელებაც კმარა, მის შემოქმედებაზე კი მისი როლები მეტყველებენ, ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა (სამწუხაროდ ახლა უკვე წარსულში გვიხდება მასზე საუბარი), საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ორგზის ღირსების ორდენოსანი, ხელოვნების ქურუმი გოგი გეგეჭკორი.

თუმცა, ბატონ გოგის მისი კოლეგებისგან და თაყვანისმცემლებისგან არც უხვი ეპითეტები აკლდა: ქართული თეატრის სინდისი, უაღრესად ინტელიგენტი, დიდი შემოქმედი, უანგარო და ერთგული ქართული თეატრისა, ამასთანავე საოცრად მომთხოვნი საკუთარი თავისადმი და პარტნიორისადმი, ახალგაზრდული შემართებით აღსავსე, გარდა ამისა - დიდი მეოჯახე და მოსიყვარულე მეგობარი.

თეატრში, კინო და ტელეეკრანზე ბატონ გოგის თითქმის 200-მდე როლი აქვს შესრულებული. მისი პირველი სახე კი, გლუმოვის პერსონაჟი გახლდათ სპექტაკლში "ზოგჯერ ბრძენიც შეცდება", აკაკი ხორავას პარტნიორობით. ყველაზე პასუხსაგები როლი მის შემოქმედებაში, ნიკოლოზ ბარათაშვილია მიხეილ მრევლიშვილის ამავე სახელწოდების პიესაში, რომელიც 1949 წელს დადგა რეჟისორმა დოდო ალექსიძემ. მაშინ რუსთაველის თეატრის შენობა დამწვარი იყო და ამიტომ სპექტაკლი ოპერის თეატრის სცენაზე დაიდგა. სწორედ ამ როლს მოჰყვა გოგი გეგეჭკორის შემოქმედებითი წარმატება და აღმასვლა - მგელი - "ჭინჭრაქაში", ტიგრან გულოიანი - "საბრალდებო დასკვნაში", "კავკასიური ცარცის წრე", "რიჩარდ III", "მაკბეტი", "ჩვენი პატარა ქალაქი" და მრავალი სხვა...

ამ ცოტა ხნის წინ, 24 თებერვალს, ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ კინოთეატრ "რუსთაველში" აღნიშნა ბატონი გოგის 80 წლის იუბილე. მისი კოლეგების თუ თაყვანისმცემელთა უამრავ მილოცვასთან ერთად, საღამოზე წარმოდგენილი გახლდათ რეჟისორების - კოტე მირიანაშვილის და ია შერაზადიშვილის დოკუმენტური ფილმი - "ხელოვნების ქურუმი", სადაც ბატონი გოგი მსახიობის უზადო ოსტატობით თავად აღწერს ქრონოლოგიურად საკუთარ ცხოვრებას და შემოქმედებას. მართალი გითხრათ, ცრემლების გარეშე ამ ფილმის ბოლომდე ნახვა შეუძლებელია. ფილმის ბოლოს კი ერთი ეპიზოდია, როდესაც ბატონი გოგი რუსთაველის თეატრის სცენაზე დგას და ამბობს: "ამჟამად თეატრში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ორ წელიწადში თეატრის განახლებას ვიზეიმებთ, ძალიან მინდა ამ დღეს მოვესწრო..."

სამწუხაროდ ბატონი გოგის ნატვრა აუხდენელი დარჩა...

# ქართული სტუდენტური კინო მოსკოვის კინოფესტივალზე

ქართული სტუდენტური კინო წარმოდგენილია სტუდენტური და სადებიუტო ფილმების ყოველწლიურ მეათე კონკურსზე წმინდა ანას პრემიის მოსაპოვებლად, რომელიც 10-17 მარტს მოსკოვში იმართება.

კონკურსში მონაწილეობას ღებულობენ დსთ-სა და შორეული საზღვარგარეთის კინოსკოლები. კონკურსის დამფუძნებლები არიან: რუსეთის კულტურის სამინისტრო, რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირი, კომპანია "კოდაკი", სტუდიები ABA და "ინტერფესტი". წელს 18 კინოსკოლის წარმომადგენლებმა რუსეთიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან, საქართველოდან, აშშ-დან, მაკედონიიდან და შოტლანდიიდან კონკურსზე დაახლოებით 100 ნამუშევარი წარმოადგინეს. მათ შორის, სასწავლო, საკურსო და სადიპლომო ფილმები.

პირველად კონკურსის ისტორიაში, ფილმებს ორი ჟიური შეაფასებს. ერთ-ერთი მათგანი პროფესიონალებისაგან დაკომპლექტდება; ხოლო, მეორე წმინდა ანას პრემიის კონკურსის ლაურეატებისგან.

კონკურსის მზრუნველთა საბჭოში, რომელსაც ხელმძღვანელობს რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე ნიკიტა მიხალკოვი, შევიდნენ კინოს ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც არიან რეჟისორები: გიორგი დანელია, კარენ შახნაზაროვი და სცენარისტი ალექსანდრე ბოროდიანსკი.

*მედია-ნიუსი*

## კალენდარი

# 13 მარტი



არ აქვს მნიშვნელობა, გიყვართ თუ არა როკ-ენ-როლი. სიმღერა ტექსტით You ain't nothin' but a hound dog, cryin' all the time, ალბათ, საცეკვაო განწყობაზე მაინც გაყენებთ და, რაც მთავარია, ამ სიმღერას მაშინვე ელვის პრესლის უკავშირებთ. მართალიც ბრძანდებით, რადგან Hound Dog სწორედ პრესლიმ გახადა პოპულარული, თუმცა, ის სულ სხვა ადამიანებმა დაწერეს – წყვილმა, რომლებმაც ჩრდილში ყოფნა არჩიეს, მაგრამ საუკუნის რამდენიმე ყველაზე ცნობილი მელოდია შექმნეს. ესენი მაიკ სტოლერი და ჯერი ლეიბერი გახლავთ. ჯერი მახვილგონივრულ ტექსტებს იგონებდა, კლასიკურ მუსიკაზე აღზრდილი, მაგრამ ჯაზისა და რიტმ-ენ-ბლუზის თაყვანისმცემელი მაიკი კი მელოდიებს ქმნიდა.

დღეს სწორედ მაიკ სტოლერის დაბადების დღეა. მას 70 წელი შეუსრულდა. Hound Dog-ის გადამდები მელოდიაც მისი შექმნილია. ამ ჰიტთან ერთად, ლეიბერ-სტოლერის წყვილმა კიდევ მრავალი კლასიკად აღიარებული სიმღერა დაწერა. მათ შორის, ოცამდე - სპეციალურად ელვის პრესლის რეპერტუარისთვის. ვგულისხმობთ სიმღერებს: Treat Me Nice, You're So Square... 1957 წელს ლეიბერი და სტოლერი პრესლის აგენტმა ნიუ იორკში გამოიძახა, რათა მათ ფილმისთვის Jailhouse Rock სიმღერები დაეწერათ. თემატური სიმღერა Jailhouse Rock, რომელსაც პრესლი განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდა, მაშინვე ნომერ პირველ ჰიტად იქცა.

ისინი მუშაობდნენ ჯგუფ Coasters-ისთვისაც და, ფაქტობრივად, მათ შექმნეს ჯგუფის ყველა ჰიტი. საგულისხმოა ისიც, რომ სწორედ ლეიბერი-სტოლერის ტანდემის შედეგია სიმღერაც Stand By Me, რომელსაც თავიდან ბენ კინგი ასრულებდა, შემდეგ კი ბევრმა სხვამაც იმღერა.

მაიკ სტოლერი ნამდვილი ნიუ იორკელია. ის ქუინზში დაიბადა და ბლუზის ძირითადი ელემენტები შავკანიანი მეგობრებისგან ბავშვთა საზაფხულო ბანაკში ისწავლა. თუმცა, მისი გავლენა ნიუ იორკს კარგა მანძილით გასცდა. შეიძლება ითქვას, რომ სტოლერმა, ლეიბერთან ერთად, მთლიანად განსაზღვრა 50-60-იანი წლების შოუბიზნესის სურათი.

**მაიკ სტოლერი** 1933 წლის 13 მარტს დაიბადა. და რადგან მის მოღვაწეობას ჯერი ლეიბერის გარეშე ფასი ეკარგება, აქვე აღვნიშნოთ, რომ იმავე წლის 25 აპრილს დაიბადა ჯერი ლეიბერი. მათ ერთმანეთი 1950 წელს, ლოს ანჯელესის კოლეჯში გაიცნეს და მას შემდეგ სულ ერთად იყვნენ. 1987 წელს მათ როკის "დიდების დარბაზშიც" მიუჩინეს ადგილი...

# არც ისე პოპსა როკი

## მუსიკა რომანტიზმის ტკბილი სურნელითა და მძაფრი შთაბეჭდილებებით

ვერა ნეფარიძე

ვინც სამშაბათს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რუსული ჯგუფის კონცერტს დაესწრო, Мумий Тролль-სადმი განსაკუთრებული სიმპათიების მიუხედავად, მისთვის ნანახმა და მოსმენილმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა. თბილისური კონცერტი განსაკუთრებული იყო თავად ვლადივოსტოკელი მუსიკოსებისთვისაც. თბილისელი პრომოუტერების შეთავაზებაზე, მუსიკოსებმა თურმე ბევრი იყოყმანეს საქართველოში ჩამოსვლაზე. პირველ რიგში, ისინი დარწმუნებულები არ იყვნენ, რომ ჩვენთან მათ ჯგუფს იცნობდნენ და თანაც, ბოლო დროს რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით, ფიქრობდნენ, რომ თბილისში მათ გარკვეული უნდობლობით დახვდებოდნენ. მაგრამ, Мумий Тролль-ის წევრები საკუთარი მოსაზრებების უსაფუძვლობაში ძალიან მალე, ჩამოსვლისთანავე დარწმუნდნენ. კონცერტის ბოლოს კი გაოგნებული მსჯელობდნენ "აჭარა მიუზიკ ჰოლის" აუდიტორიასა და ჯგუფის პოპულარობაზე საქართველოში.

ასეთ მძაფრ შთაბეჭდილებებს Мумий Тролль ცნობილ რუს მუსიკალურ კრიტიკოსს არტიომ ტროიცკის უნდა უმადლოდეს. სწორედ ტროიცკის ურჩევია მუსიკოსებისათვის, დათანხმებოდნენ ქართველ პრომოუტერებს და გაემართათ მათი პირველი კონცერტი თბილისში. სხვათა შორის, მუსიკოსების უნდობლობა ჩვენი აუდიტორიის მიმართ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გამართულ პრესკონფერენციაზევე შევნიშნეთ, როდესაც ჟურნალისტების შეკითხვებს (მართალია, რამდენიმე მათგანი სტუმრებს ეჭვის საფუძველს ნამდვილად აძლევდა) მუსიკოსები გარკვეული უნდობლობით ისმენდნენ. მაგრამ, Мумий Тролль-ის წევრებს ჟურნალისტებისგან განსხვავებით, ეყოთ დიპლომატიური ნიჭი და სრულიად გულწრფელად პასუხობდნენ, რომ საქართველოში ჩამოსვლა თითოეული მათგანის დიდი ხნის ოცნება იყო; რომ ისინი საოცრად კმაყოფილები არიან თბილისში ყოფნით.



Мумий Тролль *"აჭარა მიუზიკ ჰოლში"*

პრესკონფერენციაზე არ ვიცი, მაგრამ კონცერტის განმავლობაში რუსი მუსიკოსები აღტაცებულები იყვნენ. ამის მიზეზი პირველ რიგში, "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მრავალრიცხოვანი აუდიტორიის (როგორც შევიტყვეთ, კონცერტის ორგანიზატორებს გასაყიდი ბილეთების დამატება მოუხდათ, ბილეთის შეძენის მსურველთა რიგი კი "აჭარის" შესასვლელში მაინც კარგა ხანს იდგა) ერთსულოვნება იყო. თბილისელები თითქმის ორი საათის განმავლობაში ენერგიულად ყვებოდნენ მუსიკოსებს სიმღერაში და ჯგუფის ძველი რეპერტუარიდან ისეთ სიმღერებს ითხოვდნენ, ალბათ დიდი ხანი რომ არ შეუსრულებიათ ჯგუფის წევრებს კონცერტებზე.

რუსეთში უკვე მობეზრდათ იმაზე საუბარი, რომ Мумий Тролль მეგაჯგუფია, საოცრად ენერგიული და ყველაზე პროფესიონალური კოლექტივი მთელს რუსეთში. მაგრამ, ჩვენთვის ამ სიტყვებში დარწმუნება აქამდე, ჯგუფის ჩანაწერების იმედად, ცოტა ძნელი იყო. როგორც აღმოჩნდა, სულ სხვა არის Мумий Тролль სცენაზე. რუსული როკაპოპსას ლიდერების მუსიკა არც ისე მსუბუქი მოსასმენი აღმოჩნდა. კონცერტის დაწყებიდან ორი საათის განმავლობაში დარბაზში ისეთი ენერგიული აურა იყო, ბევრ მძიმე მუსიკის მოყვარულს შეშურდებოდა. რაც შეეხება მუსიკოსებს, Мумий Тролль-მა თბილისში ბოლომდე შეინარჩუნა საკუთარი თეატრალურობა. ილია ლაგუტენკო (სოლისტი) და იური ცალერი (გიტარისტი) კუდითა და ბეწვით ჯგუფის სიმბოლოს, კატაამურს გვახსენებდნენ; ილია ლაგუტენკოს არტისტულობაზე ხომ, აღარაფერს ვამბობ. ჯგუფის ლამაზთვალება ლიდერის მომხიბვლელობამ კონცერტის ბოლოსკენ პიკს მიაღწია, რასაც ქართველმა გოგონებმა ვეღარ გაუძლეს და ერთმანეთის მიყოლებით არბოდნენ სცენაზე ლონემიხდილი ლაგუტენკოს წამიერად ჩასახუტებლად. მოკლედ, კონცერტი საკმაოდ შთამბეჭდავი გამოვიდა და არამარტო თბილისელი მსმენელისთვის. მძაფრი შთაბეჭდილებებით დატვირთულმა რუსმა მუსიკოსებმა გუშინ დატოვეს თბილისი. მარტში მათ სამი მნიშვნელოვანი კონცერტი აქვთ დაგეგმილი ლონდონში, ციურიხსა და ჟენევაში.

# ბევრი ფანკი

## დენის როლინსი: "მაიკლ ფრენქსი ძალიან ბევრს კარგავს საქართველოში ჩამოუსვლელობით"

ვერა ნეფარიძე

გუშინ "ნესკაფე დენს ფართის" მეორე კონცერტი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაიმართა. "ნესკაფესა" და "ისთერნ პრომოუშენის" ერთობლივი პროექტი ერევნის შემდეგ თბილისში გაგრძელდა. სომხეთში ინგლისელი ტრომბონისტი პირველად ჩავიდა. დენის როლინსისთვის უფრო მნიშვნელოვანი თბილისელი აუდიტორიის მეორედ გაოცება იყო. დენის როლინსის ამიერკავკასიაში მეორედ ჩამოყვანა კვლავაც "ბრითიშ ეარვეისმა" აიღო თავის თავზე.

"ის რომ, ჩემი დღევანდელი კონცერტი ჯაზ-ფესტივალის ფარგლებში არ იმართება, მეტ თავისუფლებას მაძლევს. შეზღუდული არც საკონცერტო პროგრამა მექნება ხანგრძლივობის თვალსაზრისით", - თქვა ინგლისელმა მუსიკოსმა კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრე.

დენის როლინსი თბილისში მეორედ კვლავ საკუთარ ჯგუფთან Badbone & Co-თან ერთად ჩამოვიდა, თუმცა განსხვავებული შემადგენლობით. მისთვის ჯგუფის სახელწოდებაში გამოყენებული სიტყვა Company სულაც არ გულისხმობს კოლექტივის შემადგენლობის აუცილებელ სტაბილურობას. ამჯერად როლინსის კომპანიაში კვლავ რჩება გიტარისტი ჯონ დარენ ჰეისი, ხოლო მათ, ვინც შემოდგომაზე კორტნი პაინის კონცერტით ისიამოვნა, დარწმუნებული ვარ, ძალიან გაუხარდა დენის როლინსის კოლექტივში ნამდვილად ძლიერი ბას-გიტარისტის პიტერ



*დენის როლინსი მეორედ თბილისში*

მარტინის (მარტინი სწორედ კორტნი პაინის კონცერტში იღებდა მონაწილეობას) გამოჩენა. რაც შეეხება როლინსის "ბედ-ბოუნის" დანარჩენ სახეს, ის ასე გამოიყურებოდა: პერი მელიუსი (დრამერი), სტეფენ რისი (ხმის ინჟინერი), ჯეფრი მაკლინი (ქიბორდი).

დენის როლინსმა და მისმა Badbone & Co-მა ასეთი შემადგენლობით თბილისამდე კონცერტი "ნესკაფე დენს ფართის" ფარგლებში გუშინწინ ერევანში გამართა. "მართალია, თავიდან შეიმჩნეოდა გაუცხოების მომენტი, მაგრამ, საბოლოოდ საღამო, არაჩვეულებრივი გამოვიდა. რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირველი ვიზიტი იყო სომხეთში, მაგრამ რამდენადაც მივხვდი, მათთვისაც პირველი იყო მსგავსი კონცერტი", - "გაგვიზიარა ერევნის "ფართის" შთაბეჭდილებები ინგლისელმა ტრომბონისტმა.

დენის როლინსი ამჯერად თბილისში განახლებული პროგრამით ჩამოვიდა. რეპერტუარის გარკვეული ნაწილი როლინსისა და Badbone & Co-ს ახალი ალბომიდან იქნა შერჩეული. ალბომი ინგლისში დაახლოებით ერთი თვის ვადაში უნდა გამოვიდეს. თუმცა, ძირითადი პროგრამა როლინსისთვის კონცერტამდე რამდენიმე საათით ადრეც უცნობი იყო. "ძალიან ბევრი მუსიკალური თემა მაქვს ასარჩევად. ყველაფერი მაინც აუდიტორიაზეა დამოკიდებული", - გვითხრა მუსიკოსმა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინდელ კონცერტზე როლინსი ვერ შემოგვთავაზებდა ნომრებს მისი ახალი სოლო-პროექტიდან. როლინსის საკონცერტო პროექტი "აფრიკული დიასპორის მუსიკალური ისტორია" ჯერ არ გაცდენია ბრიტანეთის ფარგლებს და როგორც ავტორმა გვითხრა, ესაა მისი ძალიან ელექტრონული პროექტი. როლინსის გარდა ამ მუსიკალურ სანახაობაში მხოლოდ მოცეკვავეა ჩართული. "ამ სოლო-პროექტში მე აღვწერ შავი მუსიკის ისტორიას აფრიკელთა მონობის პერიოდიდან, მიმოვიხილავთ ამ მუსიკის განვითარებას და ვასრულებთ ბრიტანული სტილით", - როლინსის ნათქვამს შეიძლება ის დავუმატოთ, რომ შოუში ავტორი მუსიკის გარდა საუბარსაც მიმართავს. თუკი როლინსის საქართველოთი გატაცებას გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული, რომ მის ამ სოლო-პროექტსაც ცოცხლად ვიხილავთ თბილისში.

"როდესაც გავიგე, რომ მეორედ მეძლეოდა თბილისში გამოსვლის შანსი, აღტაცებისაგან შევძახე. ეს ჩემთვის არაჩვეულებრივი წინადადება იყო", - გვითხრა დენის როლინსმა და მათ შესახებაც თქვა ორი სიტყვით, ვინც საქართველოში ჩამოსვლას არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის გამო უფრთხის. "მაიკლ ფრენქსი ძალიან ბევრს კარგავს აქ ჩამოუსვლელობით", - თქვა ბოლოს როლინსმა.

# ადიშის ოთხთავის ახალი სიცოცხლე

## მესტიაში დაცული ხელნაწერი სავალალო მდგომარეობაშია

თამარ სუხიშვილი

12 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის სხდომათა დარბაზში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ფაქტი დაფიქსირდა, გაიმართა ადიშის ოთხთავის ახალი გამოცემის პრეზენტაცია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ. წიგნი ახლახანს გარდაცვლილი მეცნიერის, პროფესორ ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით გამოიცა. ადიშის ოთხთავი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. ოთხთავი ამჟამად მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. მანამდე კი დაცული იყო ზემო სვანეთის სოფელ ადიშის (სვანური გამოთქმით, ჰადიიში) ეკლესიაში და სახელიც აქედან მიიღო. ადიშის ოთხთავის ხელნაწერის აღწერილობის პირველი ავტორი, სვანი მღვდელი ბესარიონ ნიჟარაძე სოფლის სახელს ასეც წერს - ჰადიიშ; ორი "ი" ხმოვნის სიგრძეს გადმოგვცემს, რაც სვანურისთვისაა დამახასიათებელი.

ადიშის ეკლესიაში დავანებამდე ოთხთავმა რთული გზა გაიარა. ხელნაწერი გადაწერილია გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ შატბერდის მონასტერში 897 წელს. თარიღი ხელნაწერის ანდერძშია აღ-




ნიშნული. ხელნაწერის მომგებლად ითვლება გრიგოლის მოწაფე სოფრონი, რომელიც "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ასეა შექებული: "დიდი სოფრონ, სანატრელი მამაი, შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი." დიდი სოფრონის დაკვეთით ხელნაწერი გადაუწერია ვინმე მიქაელს, როგორც ჩანს, უძველესი ჰაემეტი ტექსტიდან.

XV საუკუნის II ნახევარში ხელნაწერი შატბერდიდან გურიის ჯუმათის მონასტრის ყოფილ წინამძღვარს, ნიკოლაოსს წამოუღია სხვა ხელნაწერებთან ერთად ავბედობისაგან დასაცავად. უსაფრთხოებისათვის ხელნაწერი მალევე აუტანიათ ადიშის ეკლესიაში.

ხელნაწერი მრგლოვანი ხელითაა შესრულებული. კამარები მხატვრულადაა გაფორმებული.

ადიშის ხელნაწერს ბევრმა ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარმა მიაქცია ყურადღება. 1945 წელს აკაკი შანიძემ კრიტიკულად გამოსცა ადიშის ოთხთავის ტექსტი, ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავების პარალელურად – "ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია" (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით).

გუშინდელი პრეზენტაცია პროფესორმა ზურაბ ჭუმბურიძემ გახსნა. მან ისაუბრა ბრწყინვალედ დასურათებული უძველესი თარიღიანი ხელნაწერის ისტორიაზე.

"ადიშის ოთხთავის გამოცემა ნაწილია იმ დიდი პროექტისა, რომელიც ზურაბ სარჯველაძემ სხვა პროექტებთან ერთად წამოიწყო ამ ოციოდე წლის წინ. ეს არის ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის დადგენა," - ამბობს თსუ ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებული ლაბორატორია "ორიონის" თანამშრომელი მანანა მაჩხანელი, რომელმაც აუდიტორიას ამ პროექტით გათვალისწინებული სამომავლო გამოცემების – მათეს სახარებისა და მარკოზის სახარების მაკეტიც წარუდგინა.

როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, ადიშის ოთხთავის ახალი გამოცემა საუკეთესო გამოცემაა ტექსტუალური თვალსაზრისით, მას ახლავს მცირე ლექსიკონი, გამოკვლევა, მითითებანი პარალელურ ტექსტებზე, შესწორებულია ზოგიერთი ადგილი წინა გამოცემასთან შედარებით.

პრეზენტაციაზე ბევრი რამ ითქვა. ითქვა, რომ ეს წიგნი ქართული მეცნიერებისა და კულტურის გამარჯვებაა, რომ ამ გამოცემაში არა მარტო იმდროინდელი, არამედ დღევანდელი კულტურის სახეც ჩანს; ითქვა ისიც, რომ მესტიაში დაცული 61 ხელნაწერიდან რესტავრაცია ადიშის ოთხთავს არ ჩატარებია. დღესდღეობით ადიშის ოთხთავი სავალალო მდგომარეობაშია. ჯერ კიდევ 1969 წელს აღმოჩნდა, რომ მასში ამოხეულია ხელნაწერის ანდერძის მაინცდამაინც ის ფურცელი, რომელშიც, წელთაღრიცხვის სამივე სისტემის (დასაბამითგანი, ქორონიკონი, ქრისტესი) მიხედვით, ხელნაწერის გადაწერის თარიღი - 897 წელია აღნიშნული.

გუშინდელ საღამოს გასდევდა წუხილი იმის გამო, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის ამ საქმის მოთავე ზურაბ სარჯველაძე, რომელიც ძველი ქართული ხელნაწერების უდიდესი სპეციალისტი იყო... მამა გიორგი ზვიადაძემ ქართულ საზოგადოებას მიულოცა ქართული მეცნიერების გამარჯვება და კათოლიკოს-პატრიარქის დალოცვის სიტყვები აუწყა დამსწრეებს: "ღმერთმა დალოცოს ბატონი ზურაბის სული".

12 მარტს პროფესორ ზურაბ სარჯველაძეს 64 წელი შეუსრულდებოდა.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ლუი ფერნანდესი "სენ ჟერმენიდან" მიდის

"პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელმა, ლუი ფერნანდესმა, თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა. მისი თქმით, მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ის დატოვებს თანამდებობას. "ჯობს, გავბედო და შეცდომები ვაღიარო. ამიტომ ვაცხადებ, რომ მომავალ სეზონში მწვრთნელის პოსტზე აღარ დავრჩები. ცუდი შედეგების გამო მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ პასუხისმგებელი. დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გავართვი, ამიტომ, ჯობს, წავიდე", - განაცხადა ფერნანდესმა გაზეთ "Le Parisien"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ფერნანდესი "პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელად 2000 წლის დეკემბერში დაინიშნა და ამ პოსტზე ფილიპ ბერგერუ შეცვალა. ორი წლის მანძილზე მან ვერავითარი წარმატება ვერ მოუტანა გუნდს. მიმდინარე სეზონში "პსჟ" საფრანგეთის ჩემპიონატის ქვედა ათეულში ლაფავს სულს. უკანასკნელ ტურში პარიზელებმა მარსელის "ოლიმპიკი" დაამარცხეს - 3:0. ფერნანდესმა კი თავისი წასვლის შესახებ სწორედ ამ მატჩის შემდეგ განაცხადა.

## მიკ მაკარტი "სანდერლენდს" ჩაუდგება სათავეში

ირლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, მიკ მაკარტი, ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბ "სანდერლენდს" ჩაუდგა სათავეში. ამ პოსტზე მან შეცვალა ჰოვარდ ვილკინსონი, რომელიც "სანდერლენდს" მხოლოდ 5 თვეს წვრთნიდა. ვილკინსონის მეთაურობით კლუბმა 20 მატჩიდან მხოლოდ 2 მოიგო. 19 ქულით "სანდერლენდი" ჩემპიონატის უკანასკნელ საფეხურზეა და მეორე ლიგაში გავარდნის საშიშროება ემუქრება. მაკარტის სულ 9 მატჩი რჩება, რომ გუნდი გავარდნას გადაარჩინოს. ირლანდიელი მწვრთნელის კარიერაში "სანდერლენდი" პირველი ინგლისური კლუბია, რომელიც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს.

## ბრაზილია უარს ამბობს აშშ-ს წინააღმდეგ თამაშზე

აშშ-სა და ერაყს შორის შესაძლო ომმა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია აიძულა, აშშ-ს ნაკრების წინააღმდეგ 30 აპრილს დანიშნულ მატჩში მონაწილეობაზე უარი ეთქვა.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, რიკარდო ტეიშეირამ, ამ გადაწყვეტილების ახსნისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ის განაცხადა, რომ მატჩი არ შედგება. ტეიშეირას მეტი არაფერი უთქვამს, თუმცა, ვარაუდობენ, რომ მატჩის ჩაშლა შესაძლო ტერორისტული თავდასხმის საშიშროებამ გამოიწვია. აშშ-ბრაზილიის შეხვედრა ლოს-ანჟელოსში, 30 აპრილს იყო დანიშნული. ახლა ბრაზილიელები სხვა მეტოქის ძიებაში არიან. ადგილობრივი პრესა იუწყება, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია, აშშ-ს ნაცვლად, მექსიკის ნაკრების წინააღმდეგ გეგმავს თამაშს.

## ფიგუ 2006 წელს დაასრულებს კარიერას

პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს გადაწყვეტილი აქვს, თავის ახლანდელ კლუბში, მადრიდის "რეალში" დაასრულოს საფეხბურთო კარიერა. მისი კონტრაქტი "სამეფო კლუბთან" ძალაშია 2006 წლამდე. 30 წლის ნახევარმცველის თქმით, ამ ვადის გასვლის შემდეგ ის კარიერას დაასრულებს. "მადრიდის "რეალი" საუკეთესო რამ არის, რაც კი შეიძლება თავს გადამხდენოდა", - განაცხადა ფიგუმ, რომელიც "რეალში" 2000 წელს ჩაირიცხა.

"რეალიდან" რომელიმე სხვა ევროპულ კლუბში გადასვლის შესაძლებლობას ის კატეგორიულად გამორიცხავს. ერთადერთი, რაც, მისი თქმით, შეიძლება მოხდეს, სამშობლოში დაბრუნება და რომელიმე პორტუგალიურ კლუბში თამაშია.

## ვალერი ლობანოვსკი - "წლის ადამიანი"

"უკრაინის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის" ვალერი ლობანოვსკი (სიკვდილის შემდეგ) აღიარეს ქვეყნის "წლის ადამიანად". სადღესასწაულო ცერემონიალზე, რომელიც 9 მარტს კიევის "უკრაინის სასახლეში" შედგა, ვალერი ლობანოვსკის უახლოესმა მეგობარმა, ოლეგ ბაზილევიჩმა, მწვრთნელის ქალიშვილს, სვეტლანას, სამახსოვრო ქანდაკება გადასცა.

დარბაზში შეკრებილი ორი ათასი ადამიანი ფეხზე მდგარი უცქერდა ლობანოვსკის ცხოვრების ამსახველ ვიდეოკადრებს. სიტყვით გამოვიდა მრავალი ადამიანი, რომელთაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.

## FIFA-მ სომალი, ბურუნდი და პუერტო-რიკო დასაჯა

როგორც წესი, FIFA სოლიდურ ფინანსურ დახმარებას უწევს ეკონომიურად სუსტი ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებს, მათ შორის, საქართველოს ფედერაციას. მსგავსი დახმარება ეგზავნება აფრიკის კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანას, თუმცა, ამიერიდან FIFA-ს დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ სომალისა და ბურუნდის ფეხბურთის ფედერაციებს. ამ ქვეყნებთან ერთად, FIFA-ს წყრომა პუერტო-რიკოს ფეხბურთის ფედერაციამაც დაიმსახურა.

საქმე ის არის, რომ ამ ქვეყნებმა ვერ წარმოადგინეს ზოგიერთი დოკუმენტი, რომლებიც 1999-დან 2001 წლამდე FIFA-ს მიერ გაწეული ფინანსური დახმარების მიზნობრივად ხარჯვას დაადასტურებს.

მსგავსი დოკუმენტების წარმოდგენა FIFA-მ ნეპალის, ჩილეს, ვიეტნამისა და ჰონდურასის ფეხბურთის ფედერაციებსაც მოსთხოვა. თუ ეს ორგანიზაციები აპრილამდე ვერ დაამტკიცებენ, რომ FIFA-ს დახმარებას სწორად ხარჯავდნენ, მსოფლიოს ფეხბურთის ასოციაცია მათაც დასჯის.

სომალის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ფარახ ადო, 10 ათასი დოლარით დაჯარიმდა. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელმა FIFA-ს პრეზიდენტი, ზეპ ბლატერი, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბინძურ გარიგებებში დაადანაშაულა. ფარახ ადოს განცხადებები ძვირად დაუჯდა თავად მას და სომალის ფეხბურთის ფედერაციას.

### ისტორიული ფოტო

## ეს იყო 42 წლის წინათ...



1961 წლის 3 სექტემბერი, მილანი, სტადიონი "სან სირო". "მილანის" მწვრთნელი ნერეო როკო (ცენტრში) ჟოზე ალტაფინის (მარცხნივ) და ჯოვანი ტრაპატონის ესაუბრება.

### ფეხბურთი

## "რეალი" იმარჯვებს, მაგრამ გარანტირებული ჯერ არაფერი აქვს

აკა ტონია

გუშინ, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა მატჩში, მადრიდის "რეალმა" კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალის მიმართულებით და იტალიურ "მილანზე" "სან სიროზე" განცდილი მარცხის (0:1) შური სრულად იძია. "მილანელები" არ მალავდნენ, რომ მადრიდში ძალებს არ დაზოგავდნენ და ყოველმხრივ შეეცდებოდნენ, იქნებ და "რეალი" "ჩამოეცილებინათ", მაგრამ როგორც იტყვიან "თავს ზემოთ ძალა არ არის"...

"რეალი" მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას, გამარჯვება სრულიად კანონზომიერია. შეხვედრის გმირი ცხადია რაულია – ორი ჩინებული გოლის ავტორი. "მილანელთა" ალბათ ერთადერთი შანსი, რივალდომ გამოიყენა, თუმცა შეცვლაზე შემოსულმა გუტიმ ყველაფერი კვლავ თავის ადგილზე დააბრუნა და "რეალს" ორბურთიანი უპირატესობა შეუნარჩუნა. რაულის გარდა, გუშინდელ შეხვედრაში კიდევ ერთი ფეხბურთელი იპყრობდა ყურადღებას: ფერნანდო რედონდო. "რეალის" ყოფილი ნახევარმცველი ორი წლის უკან გადაბარგდა "მილანში", ხოლო გუშინ მისი დებიუტი შედგა ჩემპიონთა ლიგაში, ცხადია ეს დებიუტი "მილანის" შემადგენლობაში იგულისხმება, თორემ "რეალში" თამაშისას ის ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც კი იქნა აღიარებული 2000 წელს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილი 76 ათასი გულშემატკივარი გულთბილი ოვაციებით შეეგება რედონდოს, მათ ხომ კარგად იციან, რომ რედონდოს გული კვლავინდებურად "რეალისთვის" ძგერს. არგენტინელი არასოდეს მალავს, რომ დღემდე მადრიდში დაბრუნებაზე ოცნებობს. წმინდა სპორტული თვალსაზრისით, გუშინდელ მატჩში რედონდო დიდად ვერაფრით გამოირჩეოდა, თუმცა არც მისი თანაგუნდელები ბრწყინავდნენ. გუშინ არ იყო "მილანის" დღე.

C ჯგუფის მეორე მატჩი იმ შედეგით დასრულდა, როგორსაც ალბათ ყველა ელოდა – დორტმუნდის "ბორუსიას" გამარჯვებით. "ვესტფალენ შტადიონზე" მოსკოვის "ლოკომოტივთან" "ბორუსია" მატჩის პირველივე წუთებიდან ფლობდა უპირატესობას, უამრავ სახიფათო მომენტს ქმნიდა და პირველი ტაიმის ბოლოს ანგარიშიც გახსნა. შესვენების შემდეგ "ლოკომოტივი" შედარებით გააქტიურდა, თუმცა კოლერმა და ამორუზომ მოსკოველებს კიდევ ორი გოლი გაუტანეს და "ბორუსიას" ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი დაუტოვეს.

ცხადია, ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ შემდეგ ტურში მადრიდელები მოსკოვში საჭირო გამარჯვებას მიაღწევენ და ჯგუფიდან გავლენ, მაგრამ არც იმის მტკიცება იქნება სწორი, რომ "რეალს" მეოთხედფინალის საგზური უკვე გარანტირებული აქვს. ასე რომ, დელ ბოსკეს ბიჭებს უკანასკნელ ტურამდე არ მიეცათ ამოსუნთქვის საშუალება.

D ჯგუფში ალბათ მხოლოდ ერთი მატჩი იპყრობდა ყურადღებას – "იუვენტუსი"-"დეპორტივო". რაც შეეხება "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ბაზელის" შეხვედრას, ალექს ფერგიუსონმა არც გუშინდელ მატჩში უღალატა თავის ტრადიციას. როგორც წესი, წარმატების განაღდების შემდეგ ის ექსპერიმენტებს იწყებს და ხშირ შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობით ათამაშებს გუნდს. ასე იყო "ბაზელის" წინააღმდეგაც. მატჩის დასაწყისში "ბაზელი" იგებდა და ანგარიშის ორამდე გაზრდის შანსებიც ჰქონდა, თუმცა მეორე ტაიმში მასპინძლები ოდნავ გამოცოცხლდნენ და "ბაზელს" გამარჯვების საშუალება მაინც არ მისცეს – 1:1.

"იუვენტუსი" კი იგორ ტუდორს უნდა უმადლოდეს, რომელმაც "დეპორტივოს" უკანასკნელ წუთებზე გამოგლიჯა ხელიდან გამარჯვება და "იუვენტუსს" ჯგუფში მეორე ადგილი შეუნარჩუნა. არადა ტურინელები საკუთარ მოედანზე მარცხდებოდნენ "დეპორტივოსთან" და ჯგუფიდან გასვლის საქმეს მეტისმეტად ირთულებდნენ. მატჩი უაღრესად საინტერესო და დრამატული აღმოჩნდა და ალბათ ეს დაძაბულობა მომდევნო, უკანასკნელ ტურშიც გაგრძელდება. მეორე ადგილზე გასვლის შანსს კვლავინდებურად ინარჩუნებს "დეპორტივო" და თქვენ წარმოიდგინეთ "ბაზელიც". მომავალ კვირას ესპანელები "მანჩესტერს" მასპინძლობენ და ალბათ გამარჯვების იმედიც უნდა ჰქონდეთ. ფერგიუსონის ექსპერიმენტების გამოისობით "დეპორტივოს" მართლაც კარგი შანსი აქვს. ხოლო "იუვენტუსი" "ბაზელს" სტუმრობს. ტურინელებს რთული, მძიმე მატჩი ელის, "ბაზელმა" ხომ გუშინდელ მატჩშიც დაამტკიცა, რომ მეორე ეტაპზე შემთხვევით არ გასულა და ვინ იცის, იქნებ კიდევ უფრო შორსაც შეძლოს წასვლა.



REUTERS

რაულის ანგარიშზე "მილანის" კარში გატანილი ორი გოლია

ჯგუფი C

| | | |
|---|---|---|
| რეალი | 3 - 1 | მილანი |
| ბორუსია | 3 - 0 | ლოკომოტივი |

| | ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 5:3 | 12 |
| 2 | რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| 3 | ბორუსია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| 4 | ლოკომოტივი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |

ჯგუფი D

| | | |
|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 - 2 | დეპორტივო |
| მანჩესტერი | 1 - 1 | ბაზელი |

| | ცხრილი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 13 |
| 2 | იუვენტუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 7 |
| 3 | დეპორტივო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| 4 | ბაზელი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

## ქართულმა ფეხბურთმა გამოიზამთრა

პაატა თოთაძე

*ზამთრის ძილიდან გამოდის ქართული ფეხბურთი. სამთვიანი შესვენების შემდეგ ხვალ ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. მეორე ეტაპის პირველ ტურში ჩემპიონობის მაძიებელნი - ქუთაისის "ტორპედო" და თბილისის "დინამო" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.*

დღემდე ასე ყოფილა: ამ გუნდების პაექრობა მუდამ გამორჩეული იყო სხვა მატჩთაგან. ამჯერადაც ასე იქნება: გულშემატკივრები ქუთაისში უშელავათო, დაძაბული თამაშის მოწმენი გახდებიან. გუნდების ურთიერთობიდან, მათი წინა დაპირისპირებებიდან და ბოლოს, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება. კარგი ხომ ახსოვთ ფეხბურთის გულშემატკივრებს და ნაკლები არც ცუდი მომხდარა "ტორპედო"-"დინამოს" მატჩებზე - გინება, ჩხუბი, ქვების სროლა.

ხვალინდელი მატჩი ყველაფერს არა, მაგრამ ბევრ რამეს უთუოდ გადაწყვეტს. სტუმართა გამარჯვების შემთხვევაში, "დინამო" კონკურენტთან სხვაობას ხუთ ქულამდე გაზრდის და განმეორებითი შეხვედრაც შინ ექნება ჩასატარებელი. ამასთან, ქუთაისელები ფსიქოლოგიურად და სატურნირო თვალსაზრისით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. თბილისელთა მარცხის შემთხვევაში, პირველ ადგილზე საქართველოს მოქმედი ჩემპიონი გადავა, "დინამო" კი კიდევ ორი კონკურენტის - "ლოკომოტივისა" და "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, ერთბაშად სამი საფეხურით ჩამოქვეითდეს.

რას წარმოადგენს დღევანდელი "დინამო", რა შეუძლია გუნდს, როგორ ფორმაში არიან ფეხბურთელები, არის თუ არა მზად, მოიპოვოს საქართველოს ჩემპიონის ტიტული? ამ კითხვებზე პასუხის მიღება ჟურნალისტებს გუშინ შეეძლოთ - ივო შუშაკმა ჩემპიონატის განახლების წინ ღია ვარჯიში ჩაატარა და მედიის წარმომადგენლებს ფეხბურთელებზე დაკვირვებისა და მათთან გასაუბრების საშუალება მისცა.

როგორც გაირკვა, "ტორპედოსთან" მატჩს გამოტოვებს ლადო ბურდული. მან შეკრებაზე მიღებული ტრავმა ვერ მოირჩინა და, სავარაუდოდ, ვერც საქართველოს ნაკრებს დაეხმარება უახლოეს ორ მატჩში. ლადო ბაზაზე კი იყო, მაგრამ ცალკე ვარჯიშობდა. ვარჯიში გამოტოვა გიორგი შაშიაშვილმა. შუშაკის თქმით, "დინამოს" კაპიტანს ვირუსი შეეყრია, თუმცა, ნელნელა გამოდის მდგომარეობიდან და მატჩისთვის მზად იქნებაო. რაც შეეხება მომავალ დაპირისპირებას...

"ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპი იწყება და "დინამოც" საამისოდ ემზადება. "ტორპედოსთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის, რომელშიც "დინამო" სამი ქულის მოპოვებას შეეცდება. ეს მატჩი ნამდვილად უმნიშვნელოვანესი იქნება, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა მატჩები ნაკლებად მნიშვნელოვანია. პირიქით: ათივე მატჩში მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთ...

"ტორპედო" ჩინებული გუნდია. ამიტომ მასთან საგარეო ფრემაც, შესაძლოა, არ დამტოვოს უკმაყოფილო. ყოველ შემთხვევაში, მატჩამდე მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ, თუმცა, თამაშის მსვლელობისას მოვლენები შეიძლება ისე განვითარდეს, ფრემაც დამაკმაყოფილოს", - განაცხადა შუშაკმა.

"ნებისმიერ მატჩში წარმატების მოსაპოვებლად მწვრთნელის დავალებების შესრულებაა საჭირო. "ტორპედო" საქართველოს ჩემპიონია და ახლაც ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძვის. ასე რომ, დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის. მასპინძლები, ალბათ, შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ, ჩვენ კი კონტრშეტევებით ვეცდებით წარმატების მოპოვებას. ნებისმიერ შემთხვევაში "ტორპედოსთან" სათამაშო სქემა დასამუშავებელია", - ფიქრობს "დინამოს" ბრაზილიელი ლეგიონერი კარლოსი.



ვახო ხაიაურის ფოტო

ივო შუშაკი

### სატურნირო მდგომარეობა

ზედა ექვსეული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 28 |
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 26 |
| ლოკომოტივი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 25 |
| სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |
| კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 15 |

მომავალი მატჩები

ტორპედო - დინამო
კოლხეთი - ლოკომოტივი
სიონი - ვიტ ჯორჯია

ქვედა ექვსეული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი-ოლიმპი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| მეტალურგი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| გორდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |
| მილანი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 7 |

მომავალი მატჩები

მეტალურგი - დილა
მილანი - გორდა
მერანი-ოლიმპი - ბათუმი

## ბექჰემი მილანში სახლს ეძებს

### წავა "სპაის ბოი" "მანჩესტერიდან"?

ნინო პირველი

ყველაფერს საზღვარი აქვს. რაც უნდა დავალებული იყო ვინმეს წინაშე, რაც უნდა დიდი ამაგი ჰქონდეს შენზე ამა თუ იმ პიროვნებას, თუ საქმე ღირსების შელახვას ეხება, სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ შენი კეთილისმყოფლის გარჯა ფეხებზე დაიკიდო და ყველაფერზე წინ თავმოყვარეობა დააყენო.

შოტლანდიელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ინგლისურ ფეხბურთს დევიდ ბექჰემის სახით კაშკაშა ვარსკვლავი აჩუქა. "ბექსი" სერ ალექსს თავის მასწავლებლად და აღმზრდელად თვლიდა და იოლად ივიწყებდა ყველა უსიამოვნებას, რაც ფერგიუსონის ფიცხი ხასიათის გამო არაერთხელ შეხვედრია. "ბექსი" და "ფერგი" ხშირად ჩხუბობდნენ, მაგრამ საერთო ენას მუდამ უპრობლემოდ გამონახავდნენ ხოლმე მანამ, სანამ "მანჩესტერი" ლონდონის "არსენალთან" იმ დაწყევლილ ნახევარფინალურ მატჩს ითამაშებდა ფედერაციის თასზე... "წითელმა ეშმაკებმა" "მეთოფეებთან" საკუთარ მოედანზე წააგეს და ტურნირს გამოეთიშნენ. ალექს ფერგიუსონისთვის ეს მარცხი იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ, გასახდელში შესულმა, იქვე მიგდებულ ვილაცის ბუცს ხელი სტაცა და პირდაპირ ბექჰემს ესროლა თავში. მრისხანების გამოხატვის ასეთ ფორმას რა შედეგიც მოჰყვა, ყველას კარგად გახსოვთ: ბექჰემს წარბი გაუსკდა და ორი ნაკერი დაადეს. "სპაის ბოი" მეუღლესთან და შვილთან ერთად უხმოდ გასცილდა "ოლდ ტრაფორდს", ნირწამხდარი ფერგიუსონი კი ყველას უმტკიცებდა, განზრახ არ მიქნია, ბექჰემს შემთხვევით მოხვდაო.

ამის შემდეგ ოსტატსა და შეგირდს შორის აშკარა განხეთქილება დაიწყო. ბექჰემმა მოითხოვა, ფერგიუსონმა ბოდიში მომიხადოს, თორემ გუნდიდან წავალო. შოტლანდიელმა კი, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, ზედმეტად ჯიუტიც გახლავთ, უკვე აშკარად დაიწყო ბექჰემის შევიწროება. "სპაის ბოის" სასტიკად აეკრძალა გასართობად წასვლა, დალევა, დროსტარება. ხოლო როცა ბექჰემი შვილის, ბრუკლინის დაბადების დღის გადახდას აპირებდა, "ფერგიმ" გუნდის ყველა წევრი გააფრთხილა, წვეულებაზე დიდხანს არ დარჩეთ და ბევრი არ დალიოთო.

ეს ყველაფერი ბექჰემს ნელ-ნელა ყელში ამოუვიდა და კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. კაცმა რომ თქვას, რატომაც არა? ისევ პატარა, ქერაკულულებიანი ბიჭი ხომ აღარ არის, ოცდაცხრა წლის კაცია! ისეთ ასაკშია, როცა უკვე შეუძლია, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. აბა, ვინ იტყვის უარს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველის შეძენაზე? მოკლედ, ბექჰემს "მან იუში" ყოფნა აღარ უნდა და სხვა გუნდს ეძებს. მისი მეუღლე, ვიქტორია ადამსი, უკვე დიდი ხანია მოწადინებულია, როგორმე დაიყოლიოს "ბექსი" პროვინციული მანჩესტერიდან წასვლაზე. რატომ უნდა იჯდეს ექს-"სპაის გერლი" მანჩესტერში, როცა მისი ამბიციური ნატურა ევროპის დიდ ქალაქებში ცხოვრებას ესწრაფის?

თავის დროზე ზინედინ ზიდანის მეუღლემ, ვერონიკამ, დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ "ზიზუმ" ტურინი დატოვა და მადრიდში გადავიდა. ახლა ვიქტორიას ჯერია - რითი სჯობს ზიდანი ბექჰემს, მილიონებს რომ იჯიბავს? სანამ დროა, ბექჰემმაც უნდა მოასწროს, რაც შეიძლება, მეტი თანხის გამომუშავება. მილანის "ინტერის" პრეზიდენტი, მასიმო მორატი, იმდენად გულუხვი აღმოჩნდა, რომ ბექჰემს წელიწადში ცხრა მილიონ ევროს შეჰპირდა. ეს კი სამჯერ მეტია იმაზე, რასაც "ბექსი" "მანჩესტერში" იღებს. ასე რომ, რა დროს ფერგიუსონის ხუშტურებთან ბრძოლაა, წინ, მილანისკენ!

ვიქტორია ადამსი უკვე თადარიგს იჭერს მომავალი სეზონისთვის. როგორც რომაული გაზეთი "მესაჯერო" იუწყება, დევიდმა და ვიქტორიამ მაკლერი დაიქირავეს და დაავალეს, მილანთან ახლოს მოძებნოს ლამაზი ვილა, რომელიც სამ მილიონ ევროზე მეტი არ უნდა ღირდეს. ვიქტორია ადრეც ხშირად ჩადიოდა მილანში სხვადასხვა დეფილეზე ან "ფეშენ ვიკზე" დასასწრებად. ყოფილ პიკანტურ გოგონას სიგიჟემდე ხიბლავს მილანი - მსოფლიო მოდის ერთ-ერთი მეტროპოლი. აბა, მანჩესტერში სად არის ამდენი ლამაზი ბუტიკი და ლამის ყოველ უქმეებზე ახალი "ფეშენშოუ"? იტალიაში ვიქტორიას მსოფლიოს შოუბიზნესის ვარსკვლავების გვერდით ცხოვრების შესაძლებლობაც ექნება. ასე, მაგალითად, ფლავია ფაბიანიმ, მილანელმა მაკლერმა, ბექჰემებისთვის უკვე შეარჩია შესანიშნავი ვილა კომის ტბის მახლობლად, რომელიც ამერიკელი მსახიობის, ჯორჯ კლუნისა და იტალიელი დიზაინერის, დონატელა ვერსაჩეს ვილებს შორის მდებარეობს. დონატელა და ვიქტორია თითქმის მეგობრობენ და ასეთ მეზობლობაზე, ალბათ, უარს არ იტყვის..

მოკლედ, მილანში ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ ბექჰემმა ინგლისი დატოვოს და კარიერა იტალიაში გააგრძელოს - "ინტერში" მას სიხარულით მიიღებენ. საკითხავი მხოლოდ ის არის, შეელევა თუ არა "მან იუ" თავის ვარსკვლავს და თავად უინიციატივო "ბექსი" რამდენად გაბედავს ჩვეული, კარგად ნაცნობი გარემოს დატოვებას და ახალ, სრულიად უცხო სამყაროში გადასვლას...



დევიდ ბექჰემი

კალათბურთი

# ქართული დღე NBA-ში

NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივართა საყოველთაო ინტერესი ვლადიმერ სტეფანიასა და ნიკა ცქიტიშვილისკენ არის მოპყრობილი. სამშაბათ საღამოს ორივემ წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და თავიანთი გუნდების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტი" კლივლენდს ესტუმრა. პატ რაილის ბიჭებს შაბათს ნაჭამი სირცხვილის შემდეგ ("მაიამი ჰიტი" დამარცხდა "დენვერთან" - რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან) რეაბილიტაცია მართებდათ. მწვრთნელმა თქვა კიდეც, რომ "დენვერთან" მარცხი მისთვის უძლიერესი დარტყმა იყო და მეორე ასეთ შოკს ველარ გადაიტანდა. სწორედ ამიტომ "მაიამი ჰიტი" ამ სეზონისთვის უჩვეულოდ მობილური და ორგანიზებული ჩანდა.

რაილიმ ამ მატჩში სტეფანიას დიდი ნდობა გამოუცხადა - საშუალება მისცა, 36 წუთი ეთამაშა. არც შემცდარა. "ვიცოდი, რომ სტეფანია ძლიერი კალათბურთელი იყო და თავის შესაძლებლობებს ადრე თუ გვიან გამოავლენდა", - ასეთი იყო პატ რაილის ვერდიქტი. სტეფანიამაც არ გააწბილა მწვრთნელი და ფარქვეშ კარგი თამაშით სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. მან თამაშიდან ოთხი ზუსტი ტყორცნა განახორციელა და საბოლოოდ 13 ქულასა და 11 მოხსნას მოუყარა თავი. სტუმართა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო ბესტი - 16 ქულა. "მაიამი ჰიტმა" ეს მატჩი 77:75 მოიგო.


ნიკა ცქიტიშვილი

არანაკლებ საინტერესო გამოდგა "ტორონტოსა" და "დენვერის" შეხვედრა, რომელიც სტუმართა გამარჯვებით - 95:87 დამთავრდა. ლიგის უიმედო აუტსაიდერის - "დენვერისთვის" ეს მატჩი შვების მომგვრელი გამოდგა. ბოლო სამი მატჩიდან ორი გუნდმა თავის სასარგებლოდ დაასრულა. ამ წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი ნიკა ცქიტიშვილი გახდა. მან თავისი შედეგების ნუსხას 11 ქულა, 3 მოხსნა, 6 გადაცემა და 1 დაფარება მიუმატა და ჯიუვონ ჰოვარდის შემდეგ (24 ქულა, 11 მოხსნა) საუკეთესო იყო თავისი გუნდის შემადგენლობაში. მასპინძელთა შორის ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა ვინს კარტერი - 21 ქულა.

ორლანდოელი ტრეისი მაკგრეიდი გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. მის ანგარიშზე, საშუალოდ, 38,5 ქულა ირიცხებოდა. მაკგრეიდიმ "ვაშინგტონ უიზარდსთან" მატჩშიც დაიცვა თავისი რენომე და "ჯადოქრებს" 43 ქულით შეეწია, რასაც გირიჩეკმა 14-იც დაუმატა, მაგრამ მაიკლ ჯორდანის გუნდის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - 106:105 "ვაშინგტონის" სასარგებლოდ. ამ მატჩის საბოლოო შედეგი ჯერი სტეკჰაუზის (31 ქულა, 8 გადაცემა) ზუსტმა თამაშმა განაპირობა. მატჩის უკანასკნელ წამებზე მაკგრეიდიმ ორი ზუსტი სამქულიანი ტყორცნა განახორციელა, მაგრამ ჯერი სტეკჰაუზის ზუსტმა საჯარიმოებმა მის ყოველგვარ მცდელობას ხაზი გადაუსვა. მაიკლ ჯორდანის ანგარიშზე 23 ქულაა.

სტეკჰაუზის მსგავსად, კვირის მოთამაშედ აღიარეს შაკილ ო`ნილიც, მაგრამ ჩიკაგოში ერთ დროს მძლავრი "ხარების" წინააღმდეგ "შაკი" გუნდს მხოლოდ 13 ქულით შეეწია. კობი ბრაიანტის ანგარიშზე 36 ქულაა. მატჩის საბოლოო შედეგი ჩიკაგოელთა ზუსტმა სამქულიანმა ტყორცნებმა განაპირობა. მასპინძელთა 15 ცდიდან 12 ზუსტი აღმოჩნდა. 116:99 - ჩიკაგოელი "ხარების" სასარგებლოდ.

ფორმულა 1

# "ფერარი" შუმახერს ახალ კონტრაქტს სთავაზობს


მიხაილ შუმახერი

ავსტრალიის გრან-პრიზე იტალიელთა სიამაყემ, "ფერარიმ", სრული კრახი განიცადა. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მიხაელ შუმახერი, მეოთხე იყო, ხოლო გუნდის მეორე პილოტი, რუბენს ბარიკელო, საერთოდ გამოეთიშა რბოლას. თუმცა, საჯინიბოს შეფი, ლუკა დი მონტეძემოლო, მომხდარს შემთხვევითობას უწოდებს და გუნდის გერმანელ ლიდერს, მიხაელ შუმახერს, ახალ კონტრაქტს სთავაზობს.

ამის შესახებ განაცხადა შუმახერის მენეჯერმა ვილი ვებერმა. მისი თქმით, უფროს შუმახერს ჯერ არ მიუთითებია "ფერარისთან" მოლაპარაკების დაწყებაზე. "მიხაელი აუცილებლად შემატყობინებს, როცა კონტრაქტზე სასაუბროდ მზად იქნება", - აცხადებს ვებერი. შეგახსენებთ, რომ შუმახერს "ფერარისთან" კონტრაქტი 2004 წლის ბოლოს უმთავრდება, მაგრამ უკვე საუბრობენ იმაზე, რომ თუ გერმანელი წლევანდელ სეზონში მეექვსედ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, მან შეიძლება მომავალ სეზონში ერთწლიანი შესვენება მოითხოვოს (როგორც მიკა ჰაკინენმა გააკეთა) ან საერთოდ დაემშვიდობოს სპორტს.

საგულისხმოა, რომ მომავალი სეზონის მიწურულს კონტრაქტები უმთავრდებათ "ფერარის" სპორტულ დირექტორს ჟან ტოდტს, ტექნიკურ დირექტორს როს ბრაუნს და მთავარ კონსტრუქტორს რორი ბერნს. შუმახერთან ერთად სწორედ ეს ხალხია უკანასკნელი წლების "ფერარის" ტრიუმფის მთავარი შემოქმედი. ამიტომ გუნდი ყველაფერს იღონებს მათ შესანარჩუნებლად.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ახალი კონტრაქტები ძალიან ძვირფასი იქნება "ფერარის" მფლობელი კონცერნი "ფიატისთვის" და გუნდის მთავარი სპონსორის - "მალბოროსთვის". ზოგიერთი წყაროს ცნობით, "ფერარიმ" შუმახერს უკვე შესთავაზა 5 მილიონი ევროთი ნაკლები ხელფასი, ვიდრე დღეს აქვს. გასარკვევი მხოლოდ ის არის, დათანხმდება, თუ არა გერმანელი ასეთ პირობებში გუნდში დარჩენაზე.

ძიუდო

# ვარშავაში A-ს ვასრულებთ

*ძიუდოისტთა A კატეგორიის ტურნირებს, იმის გარდა, რომ ქულებსა და, შესაბამისად, ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიებს იძლევა, საქართველოს ნაკრებისთვის სხვა დატვირთვაც აქვს. კერძოდ, ამ სახის ასპარეზობები საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, შოთა ხაბარელს, საშუალებას აძლევს, საკუთარი სამწყსო საქმეში ნახოს და ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდი ჩამოაყალიბოს. ასეთივე დატვირთვა ექნება 15-16 მარტს ვარშავაში გასამართ A კატეგორიის 41-ე საერთაშორისო ტურნირს. დღეს ქართველი ძიუდოისტები პოლონეთს გაემგზავრნენ.*

ბიბა ბურასაშვილი

ევროპის ჩემპიონატამდე (ათენი, 15-18 მაისი) არც ისე დიდი დროა. ასე რომ, ქართველ ძიუდოისტთათვის ვარშავულ ტურნირს გენერალური რეპეტიციის მნიშვნელობაც აქვს. ახლაც, ისევე როგორც მოსკოვის, თბილისის, პარიზისა და ჰამბურგის ტურნირებზე, საქართველოს ნაკრები ვარშავისკენაც სახეცვლილი გაემგზავრა. ხოლო ისინი, ვინც შინ დარჩნენ, ცოტას დაისვენებენ და მერე, უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც ვარშავული ასპარეზობაც დასრულდება და გუნდი თბილისში დაბრუნდება, 22 მარტიდან ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგებიან. ევროპის ჩემპიონატი კი, გარდა იმისა, რომ კონტინენტის უძლიერესი ძიუდოისტის სახელის მოპოვების შანსს იძლევა, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იქ ოლიმპიური ლიცენზიები თამაშდება. ამისთვის კი საჭიროა, სპორტსმენი რვა საუკეთესოს შორის მოხვდეს.

"წონითი კატეგორიების მიხედვით თითქმის ყველა, უფრო ზუსტად, თითოეულ წონაში, სამ-სამი ძიუდოისტი გამოვცადეთ. საერთო სურათი, ასე თუ ისე, შექმნილია. ბიჭებს ვარშავაშიც დავაკვირდები. ბოლომდე ჯერ კიდევ არაა გარკვეული, ვინ მოხვდება ნაკრებში. ამისთვის მოსამზადებელ პერიოდსაც გამოვიყენებთ. დანარჩენი მერე გამოჩნდება", - გვითხრა შოთა ხაბარელმა.

ერთი სიტყვით, ისღა დაგვრჩენია, ნაკრების მწვრთნელს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაველოდოთ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ შედეგებს შეიძლება ველოდოთ ვარშავულ ტატამზე, ხაბარაელმა გვითხრა: "რაკი აქცენტი, ძირითადად, ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდზე გვაქვს გადატანილი, შედეგებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. თუმცა, უმედლოდ მაინც არ დავბრუნდებით".

ზაზა ებელაშვილი (66 კგ), გრიგოლ მამრიკიშვილი (81), მინდია ბოდაველი (90), გიორგი გუგავა, ივერი ჯიქურაული (ორივე - 100) და ალექსი დავითაშვილი და რამაზ ჩოჩიშვილი (ორივე - მძიმე წონა) - ეს ის შემადგენლობაა, რომელსაც პოლონეთის დედაქალაქში შოთა ხაბარელთან და ასევე მეტოქეებთან გამოცდის ჩაბარება მოუწევს. ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები წლეულს A კატეგორიის ტურნირებზე ასპარეზობებს ვარშავით დაასრულებს.

ინფორმაცია

### აგასის მრავალშვილიანობა უნდა

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ექსცენტრული ჩოგბურთელი, ანდრე აგასი, კვლავაც განაგრძობს თავისი მეუღლისთვის, შტეფი გრაფისთვის, საჯაროდ სიყვარულის ახსნას. აგასი "კორტების გრაფინიას" ყველა შესაძლო სიტუაციაში უმტკიცებს სიყვარულს - ხან ტურნირებს მისი ხათრით იგებს და გამარჯვებას შტეფის უძღვნის, ხანაც მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში აცადებს, შტეფი არაჩვეულებრივი ქალიაო. მოკლედ, ჩოგბურთის ორი ვარსკვლავი საოცრად ბედნიერია, რომ ერთმანეთი იპოვეს.

ახლახან ანდრე აგასიმ ისევ მიიქცია საზოგადოების ყურადღება - ამერიკულ გაზეთ "USA Today"-სთვის მიცემულ ინტერვიუში შტეფის მიმართა, კიდევ მინდა შვილები, ხუთი ან შვიდი მაინცო...

"ჩვენი ვაჟის, ჯეიდის დაბადებამ ისე გამაბედნიერა, რომ მივხვდი - შვილები ამქვეყნად ყველაზე მთავარია. სწორედ ამიტომ მინდა, კიდევ გვყავდეს ბავშვები, ასე, ხუთიდან შვიდამდე", - ჩვეული არაორდინარულობით განაცხადა აგასიმ. მეორე შვილი შტეფისაც უნდა. არაერთხელ უთქვამს, კარგი იქნებოდა, ჯეიდისთვის პატარა დაიკო ეჩუქებინა, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, შტეფისაც სურდეს ხუთი ან შვიდი შვილი.

ზემოხსენებულ ინტერვიუში აგასიმ შანსი ხელიდან არ გაუშვა, შტეფისთვის კიდევ ერთხელ, საქვეყნოდ შეესხა ქება. "მას არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს - მტკიცე და გაწონასწორებული. მუდამ ზუსტად განსაზღვრავს, რა პერსპექტივები აქვს ცხოვრებაში, სად, როდის და რა უნდა გააკეთოს. შტეფისთვის ადვილი არ იყო ჩოგბურთიდან წასვლა, მაგრამ რაკი მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, უკანმოუხედავად წავიდა და კორტზე დაბრუნება აღარ უფიქრია. მეც კი ვერაფერს გავხდი - ვერ დავიყოლიე, როლან გაროსზე შერეულ წყვილთა თანრიგში გვეთამაშა", - სიცილით დასძინა აგასიმ.

### ტრაგედია პარიზი-ნიცას ტრასაზე

საფრანგეთში მიმდინარე ველომრბოლთა ტურნირზე უსიამოვნო შემთხვევა მოხდა - "კოფიდისის" ველომრბოლი, ანდრეი კივილევი, სენ შამონის მწვერვალზე ასვლისას ველოსიპედიდან გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა. რაკი ყაზახ სპორტსმენს მუზარადი არ ეხურა, ტრავმა მძიმე აღმოჩნდა - დაცემისას თავი დაარტყა, ყბა-სახის მძიმე დაზიანება მიიღო და გრძნობა დაკარგა.

უგონოდ მყოფი სპორტსმენი მაშინვე გადაიყვანეს სენტ-ეტიენის ჰოსპიტალში. კივილევი გონს არ მოსულა, თუმცა, ექიმები იმედს არ კარგავდნენ, რომ მის გადარჩენას შეძლებდნენ და შეუპოვრად იბრძოდნენ ოცდაცხრა წლის სპორტსმენის სიცოცხლისთვის, მაგრამ მათი ცდა ამაო გამოდგა. კივილევი, რომელმაც შარშანდელ ტურ დე ფრანსზე მეოთხე ადგილი დაიკავა, პარიზი-ნიცას რბოლას ემსხვერპლა.

### "ფერარის" უიღბლობა გრძელდება

ავსტრალიის "გრან-პრიზე" განცდილი ფიასკოს შემდეგ, როცა ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო საერთოდ გამოეთიშა რბოლას, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, გერმანელი მიხაელ შუმახერი კი მხოლოდ მეოთხე იყო, მსოფლიოს უძლიერეს საჯინიბოდ მიჩნეულმა იტალიურმა "ფერარიმ" კიდევ ერთი კრახი განიცადა. იტალიელებმა გადაწყვიტეს, "ფერარის" ახალი მოდელი, F2003-GA გამოეცადათ. საჭესთან დასვეს იტალიელი ლუკა ბადოერი, რომელიც ხუთი წუთის შემდეგ სასწრაფოდ გააქანეს ფლორენციის ჰოსპიტალში, რადგან ახალმა "ფერარიმ" გამოცდას ვერ გაუძლო და ლამის ნაწილებად დაიშალა.

საბედნიეროდ, პილოტი იოლად გადარჩა - მან ფლორენციის საავადმყოფო იმავე დღეს დატოვა და შინ დაბრუნდა. სხვათა შორის, ასეთი რამ ერთხელ უკვე შეემთხვა ბადოერის - ბარსელონაში, თებერვლის ტესტ-რბოლაზე. ახალმა "ფერარიმ" მაშინაც ვერ ივარგა. ნუთუ ავსტრალიის დიდ პრიზზეც ტექნიკური გაუმართაობა გახდა "ფერარის" კრახის მიზეზი?

### ანი ფრიზინგერის ნეკროფილური გატაცება

გერმანელი ანი ფრიზინგერი მსოფლიო საციგურაო სპორტში დიდი პოპულარობით სარგებლობს. იმის გარდა, რომ 26 წლის ანი შესანიშნავი სპორტსმენია და არაერთი დიდი ტურინირი აქვს მოგებული (მათ შორის, სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიადაც), ქერათმიანი გერმანელი თავისი კარგი გარეგნობითაც იმსახურებს ყურადღებას. ის სპორტის ამ სახეობაში, უდავოდ, ყველაზე სექსუალური ქალია.

ახლახან ჰამბურგულ გაზეთ "Die Zeit"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ანიმ უცნაური რამ განაცხადა: ერთ დროში რომ გვეცხოვრა, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ჯიმ მორისონის მუზა, საყვარელი, კრიტიკოსი და დამცველიო...

"Doors"-ის ლეგენდარული მომღერალი, ჯიმ მორისონი, შორეულ 1971 წელს აბაზანაში გარდაიცვალა. დღემდე არავინ იცის, რა გახდა 27 წლის მუსიკოსის დაღუპვის მიზეზი. ერთ-ერთი ვერსიით, ის ნარკოტიკების გადაჭარბებულ დოზას ემსხვერპლა. მორისონი რომ დაიღუპა, ანი ფრიზინგერი დაბადებულიც კი არ იყო. რას წარმოიდგენდა ექსცენტრული ამერიკელი მუსიკოსი, რომ მისი გარდაცვალებიდან ოცდათორმეტი წლის შემდეგ ვილაც სპორტსმენი ქალი მის მეგობრობას ისურვებდა?

კრივი

# გამოცანა: წააგო და მადლობელია. ვინ არის?

ბიბა ბურასაშვილი

*ვლადიმირ კლიჩკოს მეორე რაუნდში ნოკაუტით დამარცხებამ კორი სანდერსს სალერღელი აუშალა და ახლა სხვებზეც იქაჩება. შინ, იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) დაბრუნების შემდეგ, სანდერსის პრომოუტერმა, როდნი ბერმანმა, ყველას გასაგონად განაცხადა: ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა ახლო მომავალში WBO (ორგანიზაციის) ახალ ჩემპიონს, ამ შემთხვევაში, საკუთარ კლიენტს, კორი სანდერსს, გამაერთიანებელი სატიტულო ორთაბრძოლა გაუხერხოს. მისივე თქმით, ეს შესაძლებელია ლენოქს ლუისთან, WBC (საბჭოს) ვერსიით ჩემპიონთან, ან როი ჯონს-უმცროსთან WBA (ასოციაციის) ჩემპიონთან. სანდერსის შესაძლო მეტოქეთა შორის ბერმანი მაიკ ტაისონსა და ევანდერ ჰოლიფილდსაც გულისხმობს. ეჰე! ესენი არ ხუმრობენ!..*

მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია და, ეტყობა, კორი სანდერსი და მისი პრომოუტერი, როდნი ბერმანიც, იგივეს ფიქრობენ.

ამასობაში კი ტელეკომპანია HBO ვლადიმირ კლიჩკოსთან დადებული ხელშეკრულების გადახედვის შესაძლებლობას განიხილავს. კონტრაქტი, რომელიც სამხრეთაფრიკელთან ორთაბრძოლამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაიდო, უკრაინელი მოკრივის ცხრა ბრძოლის ტრანსლაციას ითვალისწინებს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, HBO-მ კლიჩკო-უმცროსს კონტრაქტის ცალკეული მუხლები შესთავაზოს. კერძოდ, ყოველი მომავალი ორთაბრძოლის წინ ვლადიმირს ცალკეულ, უფრო ზუსტად, ერთჯერად კონტრაქტს დაუდებენ. რა გამოვა აქედან, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი სანდერსი აცხადებს: ვიდრე გამარჯვება შემიძლია, რინგზე დავრჩებიო. ამასთან, სანამ დროა, მინდა, ფულის კეთების საშუალებითაც ვისარგებლოო. და კიდევ, თუ კრივში რამე სხვა სარგებელია, ესეც მაინტერესებსო.


კორი სანდერსი და ვლადიმირ კლიჩკო

სამხრეთაფრიკელისგან განსხვავებით, კლიჩკო-უმცროსს ჯერ კიდევ ვერ მოუშორებია ის ემოცია, რომელიც სანდერსთან მარცხს მოჰყვა, თუმცა, არ დავიწყებია და კარგი გაკვეთილისთვის მეტოქეს მადლობა გადაუხადა.

"მთავარი შეცდომა მაშინ დავუშვი, როდესაც პირველი ნოკდაუნის შემდეგ წამოვდექი. ამ დროს ემოცია მომეძალა. დამავიწყდა ძველი წესი - არ წახვიდე პანჩერთან მონაცვლეობაში! მე კი წამოვხტი და გავეხსენი... მინდა ვუთხრა: მადლობა შენ, კორი! კარგი გაკვეთილი ჩამიტარე. შენ საუკეთესო ფორმაში იყავი და ამისთვის პატივს გცემ. თუმცა, გაფრთხილებ, მატჩ-რევანშისას გულშემატკივრებს დავუმტკიცებ, რომ ნამდვილი ჩემპიონი მე ვარ! ჩემპიონები კი ყოველთვის უკან ბრუნდებიან", - სანდერსის მადლობელიცაა და, ამავე დროს, რევანშის წყურვილიც ჰკლავს კლიჩკო-უმცროსს.

უფრო ვრცლად ვლადიმირის კომენტარებზე (ოღონდ, მცირეოდენი შემოკლებით), შეიტყობთ ინტერვიუდან, რომელიც ერთ-ერთმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა.

**- ვლადიმირ, როგორ შეაფასებთ საკუთარ მარცხს?**

- ვფიქრობ, ტრაგიკული არაფერი მომხდარა. ბევრ დიდ მოკრივეს წაუგია. მთავარი ეს კი არ არის. არამედ ის, რომ საკუთარ თავში იპოვო ძალა და ხელახლა ახვიდე რინგზე.

**- ამას წინათ შენმა ძმამ განაცხადა, რომ კორიმ ერთი იღბლიანი დარტყმით მოგიგო. თავად როგორ შეაფასებ ვიტალის ასეთ მოსაზრებას?**

- ასეც იყო. სანდერსს ასიდან ერთი შანსი ჰქონდა და მან ეს გამოიყენა. ამაში მეც მიმიძღვის წვლილი. ერთი მხრივ, ეს, მართლაც, იღბლიანი დარტყმა იყო, მეორე მხრივ კი, ამას ჩემმა გაუაზრებელმა ტაქტიკამაც შეუწყო ხელი.

**- ამბობენ, რომ ამ ბრძოლისთვის მაინცდამაინც კარგად არ იყავი მომზადებული. იმასაც ამბობენ, რომ მეტოქე არ დააფასე...**

- დამიჯერეთ, ამ მატჩისთვისაც ისევე მოვემზადე, როგორც ნებისმიერი სხვა ბრძოლისთვის ვემზადები ხოლმე. რაც შეეხება მეტოქეს, მას სავსებით სერიოზულად მოვეკიდე. თუმცა, არის ერთი რამ: ბრძოლის წინ საჭიროზე ცოტა მეტს ვიწონიდი. არა, თავს კი არ ვიმართლებ, უბრალოდ, აღვნიშნე.

**- იქნება თუ არა რევანში კორი სანდერსთან?**

- ეს ჩემმა და სანდერსის პრომოუტერებმა უნდა გადაწყვიტონ.

**- სავარჯიშო დარბაზს როდის დაუბრუნდები?**

- სამი-ოთხი კვირის შემდეგ.

**- ამ ხნის განმავლობაში რას გააკეთებ?**

- ჯერ არ ვიცი. თუმცა, ერთი რამ ზუსტად ვიცი: ამ ხნის განმავლობაში კრივი არ იქნება...

**- როდის გამოჩნდები რინგზე?**

- სამი-ოთხი თვის შემდეგ. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები რინგზე, მაგრამ...

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




## აფიშა

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"აკაკი", რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"ეტ-ცეტერა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რეკვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
გია გუგუშვილის (უმცროსი) ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ქარვასლა**
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"ზამთარი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში"

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
ეკატერინე ბაღდავაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

### კინოთეატრები

**"ამირანი"**
"სიმონა"
დას: 14:00; 17;00 ფასი 5-8 ლარი
"ზარი"
დას: 16:30; 21:30 სთ; ფასი 7,8 ლარი

**"ელისო"**
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუო ყველა"
დას: 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"სოლარისი"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**"რუსთაველი"**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 17;00; 21:30; ფასი 5,7 ლარი
"სოლარისი"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

## მიწის ნაკვეთი

იყიდება მიწის ნაკვეთი დიღომში, 800 კვ.მ. მანქანების ბაზრობის მოპირდაპირე მხარეს. 98 50 41

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე, ბელეტაჟზე ოროთახიანი პარკეტიანი, კაფელიანი ბინა საკუთარი სადარბაზოთი. 98 86 01

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## მანქანები

იყიდება „მერსედესი - E200", დიზელი, 1995 წლის, ფასი 5500. 8(99) 15 84 01

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

შევასწავლი იტალიურ ენას ინდივიდუალურად. 899 297717.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

დავასაქმებთ ავტობუსიან მძღოლებს ქალაქის მარშრუტებზე. 29 10 82, 22 48 20

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში დაბალი საპროცენტო განაკვეთით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს შეღავათიან ფასში. 75 53 55

პროფესიონალური თარგმანი ინგლისურად, რუსულად და პირიქით. 39 02 33, 95 64 54

**ქსელური კომპანიების დისტრიბუტორთა საყურადღებოდ!**
**- საკუთარი ბიზნესი; უნიკალური მარკეტინგ გეგმა; შესაძლებლობა საზღვარგარეთ წასვლისა; სოციალური პროგრამა; უპროცენტო კრედიტი; საპენსიო ფონდი.**
**ტელ: 39 85 57 (ოფისი)**
**ვიქტორია, 63 39 72, 75 60 66 (საღამოს)**







**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**







## TV პროგრამა 13 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „მომავალი ზაფხული" მთ. რ-ში: ფილიპ ნუარე
02.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი"
10.15 მხ. ფილმი „სია"
11.45 დოკ. სერიალი „კონტაქტი"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „ევროპის ბუნების დიდებულება"
15.15 „ეგვიპტოლოგიის პიონერები"
15.45 კალათბურთი. „თსუ" - სტუ „ჯეოსელი"
17.15 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „ფრაგმენტები სასამართლო ცხოვრებიდან"
22.10 საქართველო არის ესე
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 სერიალი „72 საათი"
00.10 მხ. ფილმი „ვატელი"
02.05 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ორიდან ერთი"
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 მუსათეული მიქსი
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „კ-19"
01.45 ფილმი ღამურა „ბრძოლა ნარეტვაზე" 1-ლი ნ.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „დედოფალი მარგო"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „უკანმოუხედავად"
12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ.ფ. „რისკიანი ბიზნესი"
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
16.20 მულტფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 გუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „სიკვდილის მიზეზი"
00.55 მხ.ფ. „არც მატარებლები, არც თვითმფრინავები"
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 მუსიკალური კოლაჟი
12.30, 22.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „ერთი ერთზე"
20.30 მულტფილმი
21.00 მსოფლიო სპორტი
23.30 მხ. ფილმი „ჯონ ფ. კენედი"

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „თავში უქრის"
13.30 მხ. ფილმი „მძვინვარების ანგელოზი"
15.00 მხ. ფილმი „სეიფების მძარცველი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „მიზერი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „ბოლერო"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი"
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.45 მხ. ფილმი „ცოცხალი გარგი"
14.15 „ტელემეტრი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.15 დოკ. სერიალი „ცხოვრებისეული გამოცდილება"
15.45 მხ. ფილმი „ლურჯის ორი ელფერი"
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტსერიალი „ალექსი"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ქართული ფეხბურთი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 „ჩემი ქვეყანა"
22.15 მხ. ფილმი „დაქირავებული-2"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „გამბედაობა"

### აჭარა

8.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიული ფილმი „სამი მეფის შერკინება" 4 ს.
10.00 სათავგადასავლო ფილმი „ვულკანი"
12.15 დრამა „გრწყინვალება"
14.00 კომედია „დაუმარცხებელი ველური"
16.15 მულტფილმი
17.40 მხატვრული ფილმი „გაიხსენეთ ჯარისკაცი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.40 „პირისპირ" საავტორო გადაცემა
20.25 თრილერი „ყმები"
21.35 დოკუმენტური ფილმი
22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 მელოდრამა „წინადადება"
03.30 მელოდრამა „ლამაზმანი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 „სახლიდან გაუსვლელად"
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „სახლიდან გაუსვლელად"
12.30 „გიორითმი"
12.45 „სახლიდან გაუსვლელად"
13.25 დისნეი და მისი მეგობრები
13.45 „სახლიდან გაუსვლელად"
13.55 მელოდია
14.10 „სახლიდან გაუსვლელად"
14.50 ამინდის პროგნოზი
14.55 ჰოროსკოპი
15.00 სპორტი
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 ვალუტის კურსი
18.15 მოკლედ...საქართველო
18.20 „სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მოკლედ... ეკონომიკა
19.30 ვალუტის კურსი
19.35 ამინდის პროგნოზი
19.40 „სახლიდან გაუსვლელად"
20.10 მოკლედ... სპორტი
20.20 „სახლიდან გაუსვლელად"
20.25 ღამის კაპრიზი" - თემა: „სექსი და კონტრაცეფცია"
21.20 „სახლიდან გაუსვლელად"
22.00 რაგბი - ზე12 - იოჰანესბურგი - კანბერა
23.30 „უეფა"-ს თასის მეოთხედფინალური მატჩი
01.20 „სახლიდან გაუსვლელად" -
02.05 „გიორითმი"

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Худ.фильм „Следующий" („Next 2")
12.05, 19.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Базз и его команда"
13.15 Худ. фильм „БЕЗ ВВИДИМЫХ ПРИЧИН"
15.00 „Новый день". „Русский экстрим"
15.30 „Новый день". „Война накануне войны"
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.50 Сериал „Ключи от смерти"
18.00 „Большая стирка"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Основной инстинкт"
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Следующий" („Next 2")
23.40 Тайны века
01.10 „Новый день". „Крылья"
01.40 „Новый день". Уолт Дисней.
02.10 „Апология"
03.10 Сериал „Беглец"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45, 21.55 Сериал „Леди Мэр"
10.40 Сериал „Кобра. Антитеррор"
11.40, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Желтые ирисы"
13.20 Сериал „Титаны"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 „Вся Россия"
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15 Сериал „агентство одиноких сердец"
18.50, 03.30 Дорожный патруль
19.05, 00.20 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
22.55 Сериал „Кобра. Антитеррор"
23.50 „Вести +"
00.30 Худ.фильм „ОТЕЦ"
01.20 Худ.фильм „БАЛ ЧУДОВИЩ"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 7"
11.00 Сегодня утром
11.25 Чистосердечное признание
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Квартирный вопрос".
13.05 Сериал „Вечный зов"
14.35 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.10, 21.45 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 „Очная ставка". „Сердце под прицелом"
20.40, 00.20 Сериал „Тайны следствия 2"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
02.15 Сериал „Доктор"
03.00 Кома
03.35 Ночь



პოპ-მუსიკა

## ბიორკი ტბაში



ბიორკი

ბიორკი უკვე თავის ახალ ალბომზე მუშაობს. არსებობს სათაურიც: The Lake Album ("ტბის ალბომი"), მომღერლის ოფიციალურ ვებგვერზე კი შესაძლებელია, ბიორკის სტუდიაში მუშაობის პროცესსაც მოვუსმინოთ. თუმცა, დაძაბული სამუშაო განრიგი მას სამომავლო გეგმების დაწყობაში ხელს არ უშლის. ბიორკი ორიოდე თვეში დიდი გასტროლისთვის ემზადება. ტურნე 30 მაისს ესპანეთში, ვალენსიის "ეკლექტურ ფესტივალზე" იწყება. ივნისში მომღერალი ვერონას, ბარსელონას, პარიზს, ჰამბურგს, ვერხტერსა და კოპენჰაგენს მოივლის, ივლისში კი – სხვა ქალაქებთან ერთად, ის მოსკოვსა და სანქტ პეტერბურგსაც ეწვევა. მისი ფანები ჯერ მოსკოვში 17 ივლისს გაიხარებენ, 19 ივლისს კი ბიორკი უკვე პეტერბურგში გადაინაცვლებს. ცნობილია ისიც, რომ ევროპული ტურნეს შემდეგ დაიწყება ბიორკის ჩრდილო ამერიკული გასტროლიც. პირველი კონცერტი აგვისტოში, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებულ ადგილას შედგება.

## ოთხი სიმღერა "შავ სიაში"



"როლინგ სტოუნზი"

ჩინეთის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომლის თანახმადაც "როლინგ სთოუნზს" ჩინეთში ოთხი ჰიტის შესრულება ეკრძალება. მთავრობა თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ "ამ სიმღერების შინაარსი დაუფარავად სექსუალურია". კერძოდ, ეს აკრძალვა შეეხო ძალიან ცნობილ ჰიტებს: Brown Sugar, Honky Tonk Woman, Beast of Burder და Let's Spend the Night Together.

"როლინგ სთოუნზის" კონცერტი 1 აპრილს შანხაიში ჩატარდება, 4 აპრილს კი – პეკინში. ლეგენდარული ჯგუფის მრავალწლიანი არსებობის განმავლობაში ეს იქნება მათი პირველი გასტროლი ჩინეთში.

კონცერტების ორგანიზატორის, ჩენ ჯიხინის თქმით, კულტურის სამინისტრომ ეს ოთხი სიმღერა იმ ალბომიდანაც ამოიღო, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე იყიდება. ეს ალბომი 2003 წლის დასაწყისში გამოუშვეს და ის ჩინეთში "როლინგ სთოუნზის" ჰიტების პირველი "ლეგალური" კრებულია.

ჩენ ჯიხინის თქმით, მთავრობის მიერ ამ სიმღერების აკრძალვის მიზეზი მისთვის უცნობია. კომენტარებისგან ჩინეთის კულტურის სამინისტროც თავს იკავებს.

პირველად "როლინგ სთოუნზი" 1970 წელს აპირებდა ჩინეთში კონცერტების ჩატარებას, მაგრამ მაშინ ამის ნებართვა ვერ მოიპოვეს.

# ყველაზე ნაკითხი ერი საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა


Пролетарии всех стран, соединяйтесь!
ПРАВДА
Газета основана 5 мая 1912 года В.И. ЛЕНИНЫМ
Орган Центрального Комитета КПСС
№ 199 (26647) Вторник, 20 августа 1991 года Цена 10 коп.
ЗАЯВЛЕНИЕ СОВЕТСКОГО РУКОВОДСТВА
ОБРАЩЕНИЕ К СОВЕТСКОМУ НАРОДУ
УКАЗ вице-президента СССР
ПОСТАНОВЛЕНИЕ № 1 Государственного комитета по чрезвычайному положению в СССР

"პრავდა"-ს კლასიკური პირველი გვერდი

ნინო ჟანიშვილი

გაზეთ "პრავდას" ბოლო ნომერი 1992 წლის 13 მარტს გამოვიდა, რაც, ალბათ, საბჭოთა ადამიანისთვის მთელ ეპოქასთან გამომშვიდობებას ნიშნავდა. შეიძლება ამ გაზეთს ბევრი არც კი კითხულობდა, მაგრამ სამაგიეროდ ის საბჭოთა ადამიანის (მით უმეტეს, პარტიული მუშაკის) ყოველდღიური სტუმარი იყო. "პრავდასთან" ერთად ყოველ დილას საბჭოთა ადამიანი სავალდებულო გაზეთების მთელ დასტას ღებულობდა. ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ყველა კომუნისტს უნდა გამოეწერა ყველა პარტიული გაზეთი და ჟურნალი. უძრაობის ხანაში, ზოგიერთი ოჯახი ერთდროულად ერთი გაზეთის რამდენიმე ეგზემპლიარს ღებულობდა, ზედმეტი მაკულატურის თავიდან ასაცილებლად ქვითარი უნდა წარგედგინათ, იმის დასამტკიცებლად, რომ ოჯახის სხვა წევრი უკვე ღებულობს საჭირო გაზეთებს. ქვეყანა, რომ დაქცეულიყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი "პრავდა" მაინც გამოვიდოდა. თუ ქვითარს წარადგენდით, რამდენად დიდი იყო გაზეთ "პრავდას" მნიშვნელობა განვითარებული სოციალიზმის დროს მისი ტირაჟიდან მიხვდებით - 70-იან წლებში ყოველდღიურად 10,6 მილიონი ეგზემპლარი გამოდიოდა. "პრავდას" "იზვესტია" მოსდევდა, მისი ტირაჟი 6 მილიონი იყო. თუმცა, ამ პერიოდისთვის საბჭოთა ადამიანს უკვე მობეზრებული ჰქონდა გაზეთში ჩამოყალიბებული შაბლონები და სტერეოტიპები და ისეთ ზეგავლენასაც აღარ ახდენდა ხალხთა მასებზე, როგორც მისი დაარსების პირველ ათწლეულებში. საბჭოთა მოქალაქისთვის უკვე ყველაფერი ნაცნობი იყო. დისიდენტურად განწყობილი მკითხველი კი გაზეთის კითხვას ბოლო გვერდიდან იწყებდა; ნაკლებ ოფიციალური სტატიები გაზეთის ბოლო გვერდებზე იბეჭდებოდა ხოლმე.

საერთოდ 70-იან წლებში კავშირში 7 ათას 250 გაზეთი გამოდიოდა. 70-იანი წლების ბოლოსთვის კი გაზეთების რაოდენობამ 8 ათასს მიაღწია. ჟურნალების რაოდენობა კი ამ დროისათვის 7 ათასი იყო. ამგვარი დატვირთისთვის კავშირში 24 ახალი პოლიგრაფიული კომბინატი დაარსდა. გამოცემული ჟურნალ-გაზეთების კოლოსალური ტირაჟი ყველა საფუძველს იძლეოდა იმის მტკიცებისათვის, რომ საბჭოთა კავშირს ერთ-ერთი ყველაზე კითხვადი მოსახლეობა ჰყავდა.

"პრავდა" ლენინის ბრძანებითა და სტალინის ინიციატივით პირველად 1912 წლის 22 აპრილს (ახალი სტილით 5 მაისს) გამოვიდა. მის საპატივსაცემოდ 5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა დღედ გამოცხადდა. პირველი ნომერი, უშუალოდ, სტალინის ხელმძღვანელობით გამოვიდა. გაზეთის მიმართულებას, კადრების შერჩევას, სტრუქტურის და აპარატის ჩამოყალიბებას თავად ლენინი ხელმძღვანელობდა. თავიდან მისი ტირაჟი 40 ათასი იყო. 1912-14 წლებში ლენინმა "პრავდაში" 300 სტატია-ნაშრომი გამოაქვეყნა. ამ პეროდში გაზეთის აქტიური თანამშრომლები იყვნენ ბატურინი, ბუბნოვი, კალინინი, კრუპსკაია, მოლოტოვი. გაზეთის ლიტერატურულ განყოფილებას მაქსიმ გორკი ხელმძღვანელობდა, აქ ქვეყნდებოდნენ ფადეევი, მაიაკოვსკი, შოლოხოვი. "პრავდა" ბოლშევიკური პარტიისთვის მარჯვე იარაღს წარმოადგენდა ახლადდაარსებული ორგანიზაციების გასამტკიცებლად და ხალხთა მასების დასამორჩილებლად.

გაზეთს დაარსების პირველ წლებში მეფის მთავრობა დევნიდა, "პრავდა" რვაჯერ დაიხურა და 1912-14 წლებში სხვადასხვა სახელით გამოდიოდა. იჭერდნენ გაზეთის თანამშრომლებს, 26 თვის განმავლობაში 36 სასამართლო პროცესი აღიძრა გაზეთის წინააღმდეგ. გაზეთისთვის წაყენებული ბრალდებები კი ასე ჟღერდა: "მკვეთრად პარტიული ხასიათი", "აშკარა გავლენის დანერგვა სახალხო მასებზე".

მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ კი გაზეთმა მშვიდად და თავისუფლად განაგრძო მუშაობა. თუმცა, როგორც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო მხოლოდ 1919 წლიდან გამოდის. 1917 წლისთვის გაზეთის ტირაჟი 80 ათასამდე გაიზარდა. "Правда" 1912 года – это закладка фундамента для победы большевизма в 1917 году - წერდა ამხანაგი სტალინი გაზეთის ათი წლისთავზე. 1941-45 წლებში "პრავდა", ძირითადად, აგიტაციას ეწეოდა საყოველთაო მობილიზაციის შესახებ.

რევოლუციის შემდეგ კი ბურჟუაზიული პრესის დევნა დაიწყო. ლენინმა გამოსცა დეკრეტი ბეჭდვის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: "ბურჟუაზიული პრესა წამლავს გონებას და ადამიანთა მასებში არეულობა შეაქვს... იგი არანაკლებ საშიშია, ვიდრე ზარბაზნები და ქვემეხები..." ერთ-ერთ გამოსვლაში კი ლენინი ამბობს: "ჩვენ ადრეც ვაცხადებდით, რომ ყველა ბურჟუაზიულ გაზეთს დავხურავთ, თუ ძალაუფლებას ხელში ჩავიგდებთ. ეხლა ამ გაზეთების არსებობა ნიშნავს, რომ აღარ იყო სოციალისტი". ასე დაიხურა მეფის რუსეთის დროინდელი გაზეთები. ისინი კი, ვინც აკრძალულ მასალებს გამოაქვეყნებდნენ, სამხედრო ტრიბუნალს გადასცემდნენ. საბოლოოდ კი 1922 წლის 6 ივნისს შეიქმნა სპეციალური ცენზურის ორგანო, რომლის სახელწოდება ასეთი იყო: главное управление по делам литературы, აქ წინასწარ ეცნობოდნენ გამოსაქვეყნებელ მასალებს. ეს ორგანო ბოლო დრომდე – საბჭოთა კავშირის დაშლამდე არსებობდა.

ორი ლენინის ორდენის და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებული გაზეთი "პრავდა" ისე დახურეს, რომ 80 წლის იუბილეს აღნიშვნა არ აცალეს. თუმცა, "პრავდა" უკვალოდ არ გამქრალა - 1999 წლიდან პრავდისტებმა ვირტუალურ სამყაროში გადაინაცვლეს, რომელიც პრავდის ძველი თანამშრომლებით დაკომპლექტდა.

დღეს თბილისში აღარც საფოსტო ყუთებია სადარბაზოებში, არც ფოსტალიონები დადიან და აღარც გაზეთების გამოწერას აიძულებენ ვინმეს. გაზეთების შეძენა დუხჭირი საქართველოს შვილებისთვის ძვირი სიამოვნება გახდა, ამიტომ ერთი ყიდულობს ხოლმე და მერე 5 კაცი კითხულობს.




მეორე მსოფლიო ომის დროინდელი პლაკატი

კალეიდოსკოპი

### ჰავანური სიგარები და მაღალი მოდა

ჰავანაში ყოველწლიურად იმართება ფესტივალი Habanos, რომელიც სახელგანთქმულ კუბურ სიგარებს ეძღვნება. წელს მის ჩარჩოებში პირველად მოეწყო მოდების ჩვენება, რომელშიც ევროპელი და ადგილობრივი დიზაინერები იღებდნენ მონაწილეობას და რომელიც, რაც არ უნდა გასაოცრად გეჩვენოთ, თამბაქოს ეძღვნებოდა. მოწვეულთა შორის "კრისტიან დიორიც" იყო.

კუბურმა მოდის სახლმა, "აბრაჰამმა", თამბაქოს თემა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო: მისი მოდელები უხეში ქსოვილის მომწვანო-მოყავისფრო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი და თავსაბურავიც თამბაქოს ფოთლებს მიუგავდათ.

### "ოსკარის" და შვილის მოლოდინში

რვა თვის ორსული ჰოლივუდის მსახიობი, კეტრინ ზეტა ჯონსი, აცხადებს, რომ "ოსკარის" გადაცემის ცერემონიისათვის "სრულ მზადყოფნაშია": "ჩვეულებრივ, წითელ ხალიჩაზე პანიკა მეწყება, სანამ მანქანიდან გადმოვალ, ლამის წნევამ დამარტყას ხოლმე". ახლა კი შიშისთვის არ ცხელა, სხვა რამა აქვს სადარდელი და ნაკლებად ფიქრობს, კაბა არ გამეხეს, ფეხი არ დამიცდეს, სისულელე არაფერი ვთქვაო...

33 წლის მსახიობი წელს მიუზიკლ "ჩიკაგოში" ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლის ნომინაციაშია გასული. სასურველი ჯილდოს გადაცემა 23 მარტს, ლოს ანჟელესში მოხდება. სავსებით დასაშვებია, რომ კეტრინისა და მაიკლ დუგლასის მეორე შვილი ქვეყანას სწორედ ამ დროს მოევლინოს, ამიტომ ორგანიზატორები ზეტა-ჯონსის სამშობიარო სახლში წასაყვანად მანქანას უკვე ამზადებენ – რა იცი, რა ხდება...

### ჯულიან მურის დიდი გეგმები

მსახიობი ჯულიან მური ბოლო დროს დიდი წარმატებით სარგებლობს – როგორც ჩანს, ცხოვრების ახალი ეტაპი და ჟურნალ Variety-ს ცნობით, რომანტიკული კომედიის, "მიზიდულობის კანონის" გადაღების დასრულების შემდეგ მური ჯოზეფ რაბენის ფსიქოლოგიურ თრილერში ითამაშებს. ფილმში "დავიწყებული", მან დედის სახე უნდა შექმნას, რომელიც რვა წლის ვაჟის გარდაცვალებას ვერ ეგუება. ფსიქიატრი მისთვის იმის ჩაგონებას ცდილობს, რომ შვილი არასოდეს ჰყოლია და ეს ყველაფერი მისი ფანტაზიის ნაყოფია. "საათებისთვის" ის "ოსკარის" ორ ნომინაციაშია გასული, და მომავალი წელიც უკვე დაგეგმილი აქვს.

#### დღეს ხუთშაბათს, 13 მარტს



1999 წელს მძიმეწონიან მოკრივეთა შეხვედრა ევანდერ ჰოლიფილდსა და ლენოქს ლუისს შორის მსოფლიოში პირველად დამთავრდა ასეთი საფეხურის შედეგით - ფრედ.

1781 წელს სერ უილიამ ჰერშელმა აღმოაჩინა პლანეტა ურანი.

1894 წელს პარიზული მიუზიკ ჰოლის სცენაზე მსოფლიოში პირველად დაიდგა პროფესიონალური სტრიპტიზ-შოუ.

1972 წელს 22-წლიანი "შესვენების" შემდეგ ბრიტანეთსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღდგა.

1978 წელს ჰოლანდიის ქალაქ ასენში მოლუკელმა ტერორისტებმა 72 ადამიანი აიყვანეს მძევლად.

1992 წელს გამოვიდა ლენინის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტიის გაზეთ "პრავდას" უკანასკნელი ნომერი.

2002 წელს ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობაზე განხორციელებული მუქარის კამპანიის შემდეგ ზიმბაბვეს საპრეზიდენტო არჩევნებში რობერტ მუგაბემ გაიმარჯვა.

© GRAPHIC NEWS



# ქალი - ლეგენდა: „მე იმანი ვარ"


REUTERS

*"ლამაზი ის ქალია, რომელსაც საკუთარი თავი მოსწონს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, მრავალ ქალს ეს არ ესმის. მე გაახალგაზრდავება არ მჭირდება, სულ არ მინდა, არაბუნებრივად გამოვიყურებოდე. რა ასაკშიც ვარ, ძალიან მყუდროდ ვგრძნობ თავს."*

***იმანი***

სახელგანთქმული იმანი, რომლის კარიერაც 70-იან წლებში დაიწყო და რომელიც სულ მალე ვარსკვლავად აღიარებული პირველი შავკანიანი მოდელი გახდა, შვედური მაღაზიების ქსელის, H&M-ის ახალ რეკლამაში იღებს მონაწილეობას. ამით მან დაამტკიცა, რომ 47 წლისაც კი ბევრ ახალგაზრდას სჯობია.

უკვე ათი წელია, რაც იმანმა მოდელობას თავი დაანება – ის როკ-მუსიკოსს, დევიდ ბოვის გაჰყვა ცოლად, მეორე შვილი გააჩინა, საკუთარი კოსმეტიკური ხაზი შექმნა და ავტობიოგრაფიული წიგნიც დაწერა: "მე, იმანი". ამიტომ მისი H&M-ის საგაზაფხულო კოლექციის რეკლამაში გამოჩენამ დიდი გაოცება გამოიწვია.

H&M-ის სარეკლამო კამპანიებში ყოველთვის ცნობილი მოდელები იღებდნენ ხოლმე მონაწილეობას: ელიზაბეტ ჯაგერი, კრისტი ტარლინგტონი, ნადია აუერმანი, კლაუდია შიფერი, ნაომი კემპბელი... ახლა ამ ბრწყინვალე საზოგადოებას იმანიც შეემატა.

იმანი სომალის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, პოლიტიკურ მეცნიერებებს ეუფლებოდა, როცა ფოტოგრაფმა პიტერ ბიარდმა შენიშნა და სამუშაო შესთავაზა.

პიტერ ბიარდი ამაყად ჰყვებოდა, იმენი პირველად სომალის პატარა ტომის, მარეჰანის სოფელში ვნახე, უდაბნოში ფეხშიშველი დარბოდაო, მაგრამ სინამდვილესთან ამ ლეგენდას არაფერი აქვს საერთო.

იმენის მამა დიპლომატი იყო და სომალის მმართველთა წრეს მიეკუთვნებოდა. 1973 წელს მან თავის 17 წლის ქალიშვილი კიევში, სამხედრო მეთაურთა სასწავლებელში გაგზავნა – გოგონა ოფიცერი უნდა გამხდარიყო. მაგრამ სამხედრო კარიერა მას მოსაწყენად ეჩვენა და კვლავ აფრიკაში დაბრუნდა – პოლიტიკურ მეცნიერებათა სასწავლებლად.

შესაბამისად, ქალი, რომელიც ბიარდს შეხვდა, ნახევრად ველური აფრიკელი არ ყოფილა: ის ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და იტალიურ ენებს ფლობდა და თარჯიმნად მუშაობდა. როცა ბიარდმა თანამშრომლობა შესთავაზა, იმანი უმალვე დათანხმდა, და ასე ამოყო ამერიკაში თავი.

იმანის უჩვეულო სილამაზემ უმალვე მიიქცია ყურადღება. მას კინოში იღებდნენ, მსოფლიოს უდიდესი მოდელიორები თავიანთი სამოსის დემონსტრირებას სთხოვდნენ. ორი, მისი თქმით, "უაზრო" ქორწინების შემდეგ, ის 1992 წელს დევიდ ბოვის გაჰყვა ცოლად.

"ვიცი, თავიდან რაც მოგწონდათ, რატომ ამირჩიეთ. ეგზოტიკური გარეგნობის გამო. მე რომ მკითხო, ეგზოტიკური შეიძლება ხილი იყოს, და არა კანის ფერი," წერს თავის ბიოგრაფიაში იმანი. "გამოდის, რომ მე იმანი ვარ, თქვენ კი – რასისტები."


*ჰელმუტ ნიუტონის ფოტო. იმანი*

## გაშიშვლებული მადონა


*მადონა*

ჟურნალ W-ს აპრილის ნომერს მადონას ფანები სულმოუთქმელად ელიან. გამოცემის მთელი 44 გვერდი მიეძღვნება მომღერალს, რომელმაც ბოლო წლების განმავლობაში "ცუდი გოგონას" იმიჯი მზრუნველი დედის სტატუსით მკვეთრად შეიცვალა. თუმცა, სტივენ კლეინის ფოტოებზე მადონა ყველანაირ პოზაშია აღბეჭდილი. ზოგი მათგანი მართლაც ხელოვნების რანგშია აყვანილი, ზოგიც, უბრალოდ, მიზნად ისახავს, მადონა სხვადასხვა რაკურსით დაგვანახოს. პროექტის სახელწოდებაა: "გაშიშვლებული მადონა". ჟურნალის გამოშვება დაემთხვევა მომღერლის ახალი ალბომის American Life-ის გამოსვლასაც. როგორც წინასწარვე გახდა ცნობილი, ერთ-ერთი სიმღერა ანტი-საომარი განწყობის არის და ქვეყნების ლიდერებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, უარი თქვან ერაყში ომზე.

მიუხედავად იმისა, რომ მადონა დღესაც აქტიურად მუშაობს, ის თავის უმთავრეს მოწოდებად დედობას მიიჩნევს. თავის წარსულს ახასიათებს, როგორც "შეშლილი ადამიანის ეგოცენტრულ გამოხდომებს" და აცხადებს, რომ შვილები, ლურდესი და როკო მისი მთავარი ხელოვნებაა.

## წითელი ხალიჩის გეგმები



*გერი ჰოლიველ*

პოპ-მომღერალ გერი ჰოლიველს "ოსკარის" ცერემონიალთან წესით არაფერი უნდა აკავშირებდეს. მით უფრო, რომ მას ბოლო ხანს არც ერთ ჰოლივუდურ პროექტში მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა, 23 მარტისთვის ლოს ანჯელესში ჰოლიველმა საქმე მაინც გამოიჩინა. ის წითელ ხალიჩაზე დადგება, კინო-აკადემიის ცერემონიალზე მისულ სტუმრებს დააკვირდება და მათ ჩაცმულობას შეაფასებს. ჰოლიველი აცხადებს, რომ გულწრფელი და პირდაპირი იქნება და რომ უგემოვნოდ გამოწყობილ ცნობილ სახეებს დაუნდობლად ამხელს. მისი კომენტარები ტელე-არხ ABC-ს ეთერით გადაიცემა. თავად ჰაოლიველს 23 მარტის საღამოს თანამემამულე დიზაინერის, ჯონ გალიანოს კაბა ეცმევა. პოპ-მომღერალს იმედი აქვს, რომ ეს ახალი სტატუსი მას შტატებში წამყვანის კარიერის გაკეთებაში დაეხმარება.

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში